

საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები

სარჩევი

1 “საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები” შესახებ	2
2 თავი I. მოკლე მიმოხილვა	3
3 თავი II. ეროვნული ანგარიშები და ეკონომიკის მთავარი მიმართულებები	7
4 თავი III. სახელმწიფო ფინანსები	19
5 თავი IV. ფული და ფინანსები	25
6 თავი V. საერთაშორისო ვაჭრობა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები	32
7 თავი VI. პრივატიზაცია	39
8 თავი VII. დასაქმება, შემოსავლები და სოციალური უზრუნველყოფა	45
9 თავი VIII. საქართველო-ევროპავმირის ურთიერთობები	56
10 კალენდარი	60
11 დანართი I. საგარეო ვალების კრიზისი და მისი დაძლევის გზები საქართველოში	69
რომან გოცირიძე, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსი	
12 დანართი II. საგადასახადო ფედერალიზმი: თანხმობა, სეპარატიზმი?	84
გლადიომერ პაპავა, სტრატეგიული და საერთაშორისო	
კვლევების საქართველოს ფონდის უფროსი მკვლევარი,	
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი	
13 ეკონომიკური გლოსარიუმი	93
14 სტატისტიკური დანართი	104
15 აბრევიატურები	117

“ტასისის” და “ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის” შესახებ

„საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები“ არის პროექტი, რომლის დაფინანსებას ახორციელებს „ტასისის“ პროგრამის ფარგლებში მომუშავე „ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი“.

„ტასისის“ პროგრამა არის ევროპავმირის ინიციატივა, რომელიც ხელს უწყობს ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებსა და მონძოლეთს და ევროპავშირს შორის ეკონომიკისა და პოლიტიკის დარგში ურთიერთობების პარმონიულ განვითარებას.

„ტასისი“ გრანტების ფორმით აფინანსებს „ნოუ-პაუს“, რაც ხელს უწყობს საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებზე გადასვლას. იგი ძალზე დიდი პროგრამაა და თავისი დაარსებიდან (1991) 3 000-ზე მეტი პროექტი აქვს დაფინანსებული, რომლის საერთო ღირებულება 4 220 მილიონ ეკუივ აღემატება.

„ტასისი“ მჭიდროდ თანამშრომლობს პარტნიორ ქვეყნებთან და უზრუნველყოფს „ნოუ-პაუს“ გადმოცემას ევროპის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების ფართო სპექტრიდან: ახორციელებს ქონსულტაციებსა და სწავლებას, საკანონმდებლო და მმართველობის სისტემის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გარდაქმნასა და განვითარებას, საპარტნიორო ურთიერთობების დამყარებას, საერთაშორისო ქსელების ჩამოყალიბებას, ერთობლივ საცდელ პროექტებს.

„ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი“ შეიქმნა 1998 წელს “ტასისის” ფარგლებში, რათა დაეხმაროს საქართველოში ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმის განხორციელებას. ცენტრის სამოქმედო გეგმა მოიცავს “საქართველოს ეკონომიკის მიმართულებების” და ანალოგიური იურიდიული მიმოხილვის გამოცემას და საქართველოს მთავრობისთვის ეკონომიკური და სამართლებრივ საკითხებში კონსულტაციას.



ეს პუბლიკაცია დაფინანსებულია ევროპავმირის ტასისის პროგრამის მიერ, რომელიც გრანტების მეშვეობით აფინანსებს ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში და მონძოლეთში საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის ნოუ-პაუს.

“საქართველოს ეკონომიკის მიმართულებების” შესახებ

“საქართველოს ეკონომიკის მიმართულებების” (სემ) გამოცემის მიზანია, საქართველოში ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობით დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ეკონომიკური განვითარების მსვლელობის მიმოხილვა. სემი დაარსდა 1995 წელს და ქვეყნება ქართულ და ინგლისურ ენებზე. ეს და წინა გამოცემები ხელმისაწვდომია ინტერნეტის საშუალებით:

www.geplac.org

გამოცემა ინფორმაციას დებულობს რიგი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, მათ შორის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან, საქართველოს ეროვნული ბანკიდან, სახელმწიფო გაერთიანებული სოციალური უზრუნველყოფის ფონდიდან, ფინანსთა სამინისტროდან, ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროდან, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროდან, ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროდან, საგარეო ურთიერთობათა სამინისტროდან და სხვა სამინისტროებიდან და სახელმწიფო დეპარტამენტებიდან. წყარო მითითებულია უკეთების, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის მომწოდებლებთან მქიდრო თანამშრომლობის (რეგულარული კონსულტაციების) და მათი მხარდაჭერის გარეშე ამ მიმოხილვის მომზადება შეუძლებელი იქნებოდა. სემის მიზანია, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დამყარებული, ეკონომიკის განვითარების ტენდენციების დამოუკიდებელი ანალიზის წარმოდგენა. გარდა ამისა, მოცემულია რჩევები ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების, ეკონომიკური და სხვა ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების დარგში. გამოცემა მიზნად ისახავს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის მხარდაჭერას, მასში წარმოდგენილია მხოლოდ გამომცემულთა აზრი და იგი არ ასახავს ეგროპული კომისიის, ტასისის ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრისა თუ საქართველოს მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მკითხველს შეუძლია მისი ციტირება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, იმ პირობით, რომ წყარო სათანადოდ იქნება მითითებული.

დაახლოებით ერთი წელია რაც სემ-ში დაიწყო სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელ (საქართველოს პარლამენტი, მთავრობა, აკადემიური წრეები) ავტორთა სტატიების გამოქვეყნება. სტატიების ავტორთა აზრი და შეხედულება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით წარმოადგენს მხოლოდ მათ პირად პოზიციას და შეიძლება არ ემთხვეოდეს როგორც სემის სარედაქციო კოლეგიის, ასევე ეგროპული კომისიის, ტასისის ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრისა თუ საქართველოს მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაუკავშირდეთ:

ვერონიკა შნაიდერს
საქართველოს ეკონომიკის მიმართულებების
მთავარ რედაქტორს
ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების
ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი (**GEPLAC**)
თბილისი, ალ-ყაზბეგის გამზირი 42,
ტელ: (995 32) 53 71 40 / 53 71 42 / 53 71 43
53 71 45 / 53 71 46
ფაქსი: (995 32) 53 71 38
ტელ/ფაქსი: (995 32) 53 71 39 (პირდაპირი)
ელ-ფოსტა: schneide@geplac.org

“საქართველოს ეკონომიკის მიმართულებების” ამ გამოშვებაზე მუშაობდნენ (ალფაგიტის მიხედვით):
ნატალია კაკაბაძე, გოჩა კერესელიძე, ვახტანგ მარსაგიშვილი, ერეკლე ნათაძე, დიმიტრი ქემოკლიძე, ვერონიკა შნაიდერი, ირაკლი წერეთელი, სოფიკო ხმალაძე, დავით ჯინჯოლია

თავი პირველი. მოკლე მიმოხილვა

ეროვნული ანგარიშები და მირითადი მიმართულებები

2001 წლის მეორე კვარტალში ეკონომიკური ზრდის ტემპი გაიზარდა და 8,6 პროცენტს მიაღწია. 2001 წლის პირველ ნახევარში მშპ-ს რეალურმა ზრდამ 5,2 პროცენტი ჟეადგინა. ეს ზრდა ძირითადად უკავშირდება პროგრესს სოფლის მეურნეობის სექტორში და მომსახურების სფეროს გაფართოებას. მეორე კვარტალში მრეწველობისა და მშენებლობის სექტორებში აღნიშნული გარკვეული გამოცოცხლების მიუხედავათ, ვერ მოხერხდა იმ გარღვევის ბოლომდე დაძლევა, რომელსაც ადგილი პქონდა წლის დასაწყისში. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ეკონომიკური ზრდის დადებითი ტენდენციები ძირითადად დაკავშირებულია სამეწარმეო სექტორის განვითარებით.

მიმდინარე წელს შეინიშნებოდა თამბაქოს წარმოების არსებითი ზრდა, რამაც დადებითი გავლენა იქონია საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაზე. ევროკომისიის სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წლის პირველი შეიდი თვის განმავლობაში სოფლის მეურნეობის სექტორის საჭიროებებზე გამოყოფილი იქნა 4,8 მილიონი აშშ დოლარი.

2001 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნულმა ვალმა 4 660 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 11,5 მილიონი აშშ დოლარით ნაკლებია, ვიდრე 2000 წლის ბოლოს. ეროვნული ვალის ოდენობა შემცირდა როგორც საგარეო, ისე შიდა ვალის მოცულობის მიხედვით. პარიზის კლუბის ოფიციალური კრედიტორების წინაშე საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების თანახმად, ორმხრივი მოლაპარაკებები 31 აგვისტოსთვის უნდა დასრულდეს. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებები კრედიტორ ქვეყნებთან აქტიურად მიმდინარეობს, მოლაპარაკებათა დასრულების საბოლოო ვადები გადაიწია.

სახელმწიფო ფინანსები

2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად, მოსალოდნელი იყო რომ წლის პირველ ნახევარში მთლიანი შემოსავლების მოცულობა 407,4 მილიონ დოლარს მიაღწევდა, რაც წლიური შემოსავლების 48 პროცენტია. ხარჯებს კი 407,4 მილიონი აშშ დოლარი უნდა შეეძგინა, რაც წლიური გეგმის 40 პროცენტია. შესაბამისად, დეფიციტი 72,6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით იქნა შეფასებული. რეალურად მიღებულმა სახელმწიფო შემოსავლებმა 357,3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც დაგეგმილზე 50 მილიონი აშშ დოლარით ნაკლებია. საგარეო წყაროებიდან მოსალოდნელი შემოსავლები არასრული ოდენობით იქნა მიღებული. შესაბამისად, რეალური ხარჯებიც 397,5 მილიონ აშშ დოლარამდე, ანუ თავდაპირველად გათვალისწინებული მოცულობის 82,8 პროცენტამდე შემცირდა. გადასახადების ადმინისტრირება გაუმჯობესდა წლიური ზრდის აბსოლუტურ და პროცენტულ გამოსახულებაში. ვარაუდობენ, რომ საგადასახადო სამსახურებში მიმდინარე რეფორმის შედეგად საგადასახადო შემოსავლები მეტად გაიზრდება.

უსლი და ფინანსები

2001 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში, ჩატარდა 14 28-დღიანი სახაზინო ვალდებულებების აუქციონი; ემისიის მთლიანმა მოცულობამ 18 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ასევე ჩატარდა 12 91-დღიანი აუქციონი; ემისიის მთლიანმა მოცულობამ 18,6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2001 წლის აგვისტოში, სტბ-მა გადაწყვიტა უბჟ REPO-ოპერაციების განხორციელება, რათა მოკლე ვადით გამოესყიდა სახაზინო ვალდებულებები კომერციული ბანკებისგან შემდგომში მათი გაყიდვის მიზნით. თუმცა, 2001 წლის აგვისტოში მხოლოდ ერთი ასეთი აუქციონი გაიმართა.

აპრილი-აგვისტოს განმავლობაში გაცვლითი კურსი უმნიშვნელოდ მერყეობდა, მცირე კორიდორის ფარგლებში. ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილებებს ფასებზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია. 2001 წლის იანვარ-აგვისტოს განმავლობაში, სვი 2 პროცენტით გაიზარდა, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ინფლაციის დონე გვაგმით გათვალისწინებულ ფარგლებში იქნება შენარჩუნებული (წლიური 6 პროცენტი).

საპრთაშორისო ვაჭრობა

2001 წლის ნოემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაიზარდა საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. 217 მილიონი აშშ დოლარის სავაჭრო დეფიციტი დაახლოებით 83 მილიონი აშშ დოლარით მეტია ვიდრე 2000 წლის პირველ ნახევარში. 2001 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი 51 პროცენტიდან (2000 წლის I ნახევარში) 40 პროცენტამდე დაეცა.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტის მოცულობა თურქენეთში (სამხედრო თვითმფრინავების ექსპორტი) 14 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა, საქართველოს ექსპორტი სტრატეგიული მნიშვნელობის პარტნიორ ქვეყნებში – აზერბაიჯანში, უკრაინასა და გერმანიაში – მკეთრად შემცირდა.

2001 წლის პირველ ნახევარი სამხედრო თვითმფრინავების ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდით (ძირითადად თურქენეთში) ხასიათდებოდა, რამაც შეცვალა ექსპორტის შემადგენლობა. თვითმფრინავების ექსპორტის წილი ექსპორტის მთლიანი მოცულობის 10 პროცენტამდე გაიზარდა. ასევე თანდათანობით იცვლება იმპორტის სტრუქტურაც. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც დანადგარების, მექანიკური ხელსაწყოებისა და ელექტრო მოწყობილობების წილმა 16,5 პროცენტს მიაღწია. ამის ახესა შეიძლება ინვესტიციების ზრდით. თანდათანობით მცირდება სურსათის ხვედრითი წილი მთლიან იმპორტში.

2001 წლის 29 ივნისს, აშშ-ს პრეზიდენტმა საქართველოს პრეზენტიციების საერთო სისტემის ბენეფიციარი განვითარებადი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა. ამასთან, საქართველოდან ზოგიერთი ნაწარმის იმპორტთან მიმართებაში დაშვებულია აგრეთვე აშშ-ს ბაზარზე საბაჟო გადასახადებისგან თავისუფალი შეღწევის უფლებაც.

2001 წლის ნოემბერში დაგეგმილია მინისტრთა კონფერენციის ჩატარება კატარის დედაქალაქ დოხაში. ამან შეიძლება დააჩქაროს ახალი მრავალმხრივი მოლაპარაკებების რაუნდის დაწყება. მომავალი მოლაპარაკებები მოიცავს მომსახურებით გაჭრობის ყველა სფეროს, მოთხოვნისა და გასაღების პრინციპების სრული გათვალისწინებით. ვინაიდან

საქართველოს მიერ მსო-ს ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ითვალისწინებს საკმაოდ ლიბერალურ რეჟიმს მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში, საქართველოს ძირითად ინტერესებში შედის, რომ აღმოფხვრას (ან თუნდაც შემცირდეს) ის გადახრები, რომლებიც შეინიშნება სხვადასხვა ქვეყნების მომსახურების ბაზრების ლიბერალიზაციის პროცესში.

პრივატიზაცია

2001 წლის მეორე კვარტალში, საშუალო და მსხვილ საწარმოთა პრივატიზაციის მხრივ, უმნიშვნელო წინსვლას პქონდა ადგილი. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო განაგრძობს მსხვილ საწარმოთა გასაყიდად ან სალიკვიდაციოდ მომზადებას. ის ობიექტები, რომელთა პრივატიზაცია სირთულეს არ წარმოადგენდა, უკვე გადაცემულია კერძო საკუთრებაში, მაშინ როცა ეკონომიკისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტების პრივატიზაცია მეტ ყურადღებას და დროს მოითხოვს. მიმდინარეობს “თბილგაზის” – გაზის გამანაწილებელი კომპანიის – ტენდერის მომზადება და დაწყებულია წყლის მომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის პრივატიზაციაში გადაცემის პროცესი. გასულ წელს ზოგიერთი მსხვილი საწარმოს გაკოტრებასთან დაკავშირებით აღძრულ საქმეები ჯერჯერობით არ დასრულდებულა.

დასაქმება, შემოსავალი და სოციალური უზრუნველყოფა

მროვის ბაზარი

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური მდგრადებელი მაჩვენებლები, გასულ წლებთან შედარებით მცირეოდენ გაუმჯობესდა, უმუშევრობის საერთო მდგრადებელი მეტწილად არადამაქმაყოფილებელი რჩება, ხოლო დასაქმების ტენდენციები კი, რომლებიც შრომის ბაზარზე არსებულ არასახარბიერო პერსპექტივებს ასახავს – უცვლელი. სამუშაო მაღის უდიდესი ნაწილი არის უმუშევარი, არასრულად დასაქმებული (იძულებულია დამატებითი სამუშაო ექიმების) ან იმაზე ბევრად ნაკლებს შოულობს, ვიდრე ეს ოჯახის სიღარიბისგან დასაცავად არის საჭირო. დაუცველი ან არაჯანსაღი სამუშაო პირობები, ისევე როგორც სამუშაოსა და შემოსავლების არასტაბილურობა და ხანგრძლივი უმუშევრობა, ფართოდაა გავრცელებულ პრობლემებს წარმოადგენს.

დასაქმებისა და სამუშაო მაღის მაჩვენებლებში კვლავაც ჭარბობს თვითდასაქმების წილი. ძირითადად, თვითდასაქმებულები (სოფლის მეურნეობის სექტორის გარდა) დაბალუმეტოსავლიანი და არასტაბილური საქმიანობით არიან დაკავებული, მეტწილად არაფორმალურ სექტორში. მთლიან დასაქმებაში დაქირავებულ მუშაოთა წილი კლებულობს. 2001 წლის პირველ კვარტალში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაქირავებულ მუშაკთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 82,8 ლარი იყო.

2001 წლის პირველ კვარტალში, ეროვნული უმუშევრობის დონე, სსდ-ს შინამეურნეობათა გამოკვლევის თანახმად, შსო-ს “მკაცრი” შეფასების მეთოდით 12 პროცენტი, ხოლო “შერბილებული” მეთოდით კი - 17,2 პროცენტი იყო. როგორც ყოველთვის, უმუშევრობის დონის ამსახველი ციფრები დიდი სიზუსტით არ გამოირჩევა, სოფლად უმუშევრობის მაჩვენებელთა გამო: ეს ციფრები ყოველთვის მეტისმეტად დაბალია, რაც უფრო მოქმედი კანონით არის განპირობებული, ვიდრე რეალური ვითარებით სოფლად.

2001 წლის პირველ პერტალში მონაწილეობის კოეფიციენტი ისევ ძალზედ მაღალი იყო – 63,1 პროცენტი, მიუხედავად იმისა რომ 1998 წლიდან იგი ყოველწლიურ ვარდნას განაგრძობდა.

სოციალური უზრუნველყოფის სისტემა

მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა, თვითდასაქმებულთა და უმუშევრობის გათვალისწინებით და მათი ოჯახის წევრთა ჩათვლით, სოციალური უზრუნველყოფა საერთოდ არ გააჩნია. განსაკუთრებით მწვევედ დგას ხანდაზმულთა სიდარიბის პრობლემა, ვინაიდან დღეს-დღეობით არსებული საპენსიო სისტემა არაგადახდისუნარიანი აღმოჩნდა. სოციალური პოლიტიკის რეფორმა, რომელიც გამიზნულია არსებული სისტემის ქმედითუნარიანობის განმტკიცებაზე, ქვეყანაში დასახულ უმთავრეს პრიორიტეტებს შორის დგას. სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემა საფუძვლიან გარდაქმნას მოითხოვს და ამასთან, საჭიროა ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი, ხელმისაწვდომი და სამართლიანი სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შექმნა.

მათვის, ვისაც შესაძლებლობა გააჩნია ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში იზრუნოს თავის მომავალ პენსიებზე, ხდება მრავალსაფეხურიანი სისტემის შემოღება, რომელიც შესაძლებლობათა ნაირსახეობას და არჩევანის შესაძლებლობას უზრუნველყოფს. მრავალსაფეხურიანი საპენსიო სისტემა ითვალისწინებს სამ საფეხურს: უნივერსალურ სახელმწიფო საპენსიო სქემას, სავალდებულო კერძო საპენსიო სქემასა და ნებაყოფლობით კერძო საპენსიო სქემას. ამა წლის მაისში დაარსდა საქართველოში პირველი კერძო საპენსიო უზრუნველყოფის კომპანია – საქართველოს საპენსიო საინვესტიციო პოლიტიკური კომპანია.

სიდარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის შემუშავების სამთავრობო კომისიის სამდივნოს მიერ მზადდება აღნიშნული პროგრამის საბოლოო ვარიანტი. პროგრამის მთავარი მიზნებში შედის სიდარიბის აღმოფხვრა ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერის გზით, რასაც შედეგად მოჰყვება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება; და ქვეყნის განვითარების პროცესში ყველა მოქალაქის მონაწილეობის უზრუნველყოფა.

საქართველო-ევროპაშირის ურთიერთობები

2001 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდის მონაცემები მიუთითებენ ევროპაშირი-საქართველოს შორის ვაჭრობის მოცულობის ზრდაზე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. 2001 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში, სავაჭრო ბრუნვამ 142,0 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ეს 18,3 მილიონი აშშ დოლარით მეტია, ვიდრე 2000 წლის იმავე პერიოდში.

ეკონომიკური ურთიერთობები დამოუკიდებელ საქართველოსა და იტალიას შორის 1992 წელს დაიწყო. 1995 წლის შემდეგ ამ ორ ქვეყნას შორის სავაჭრო ურთიერთობები გაფართოვდა და 1998 წელს უმაღლეს დონეს მიაღწია. აღნიშნულ წელს სავაჭრო ბრუნვამ 37,7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა; აქედან, ექსპორტზე მოღიოდა 8,9 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო იმპორტზე - 28,7 მილიონი აშშ დოლარი. მომდევნო წელს ვაჭრობაში გარკვეული ვარდნა შეინიშნებოდა და სავაჭრო ბრუნვამ მხოლოდ 23,9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. მიმდინარე წელს იტალიიდან საქართველოში იმპორტის მოცულობა შემცირდა 15,7 მილიონი აშშ დოლარით და 13,1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

თავი მეორე. ეროვნული ანბარიშები და ეპონომიკის ძირითადი მიმართულებები

მშა და ძირითადი ტენდენციები

სსდ-ს წინასწარი შეფასებით საქართველოს მშპ-ზ 2001 წლის I ნახევარში შეადგინა 3 080,9 მილიონი ლარი (1 500,7 მილიონი აშშ დოლარი), როცა 2000 წლის პირველ ნახევარში იგი 2 786 მილიონი ლარი იყო (1 405,6 მილიონი აშშ დოლარი). მშპ-ზ ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 2001 წლის პირველ ნახევარში შეადგინა 666,1 ლარი (324,5 აშშ დოლარი), როცა შესაბამისი მაჩვენებლები გასულ წელს იყო 603,4 ლარი (304,4 აშშ დოლარი). მშპ-ს რეალური ზრდაშ I კვარტალში შეადგინა მხოლოდ 1,7 პროცენტი, მაშინ როცა II კვარტალში 8,6 პროცენტს მიაღწია. საერთო ჯამში რეალურმა ზრდაშ წლის პირველ ნახევარში შეადგინა 5,2 პროცენტი. სოფლის მეურნეობა ინარჩუნებს წამყვან პოზიციებს (მიმდინარე წელს ზრდაშ შეადგინა 9,9 პროცენტი). სტაბილური ზრდა შენარჩუნდა მომსახურების სექტორებშიც (ვაჭრობა, ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაციები, ფინანსები, რესტორნები და სასტუმროები). წლის II კვარტალში მრეწველობის სექტორში აღნიშნული გამოცოცხლების ტენდენციის მიუხედავად, მთლიანობაში წლის პირველ ექვს თვეში შექმნილი დამატებული დირექტულება მრეწველობისა და მშენებლობის სექტორში წინა წელთან შედარებით 2 პროცენტით შემცირდა. 2001 წელს საქონლისა და მომსახურების წარმოების ზრდის ტემპი კვლავ მაღალი იყო კავშირგაბმულობის სფეროში, რაც ძირითადად დაკავშირებულია ქვეყანაში ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელების მომსახურების გაფართოებასთან. თანდათანობით ფართოვდება სამეწარმეო სექტორიც საქართველოს ეკონომიკაში, პირველ რიგში, კერძო ინიციატივის ხარჯზე. მართლაც, 2001 წლის I ნახევარში მსხვილი, საშუალო და მცირე არასახელმწიფო საწარმოების წილად მოდიოდა გამოშვებული პროდუქტისა და მომსახურების 63,1 პროცენტი (53,8 პროცენტან შედარებით გასული წლის შესაბამის პერიოდში).

მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში ინფლაციაშ შეადგინა 2,3 პროცენტი, როცა მაისსა და ივნისში შეიმჩნეოდა საპირისპირო ტენდენცია (რაც დამახასიათებელია საქართველოს ეკონომიკისათვის). კერძოდ, ფასების დეფლაციაშ შეადგინა 1,4 პროცენტი. საერთო ჯამში, 2001 წლის პირველი ექვსი თვისათვის ინფლაციის ზრდის ტემპი 0,9 პროცენტი იყო. ამავე პერიოდში, 2000 წლის დეკემბერთან შედარებით ეროვნული გალუბების საშუალო ნომინალური გაცვლითი კურსი (აშშ/ლარზე) შემცირდა მხოლოდ 3,9 პროცენტით.

მროველი ანბარიშები და ეკონომიკის ძირითადი მიმართულებები

**ცხრილი 2.1: საქართველოს მშპ და მისი სტრუქტურის დინამიკა 2001 წლის I ნახევარში
(პროცენტი)**

	2001 წლის I ნახ. 2000 წლის I ნახ.-თან შედარებით	წლი მშპ-ში 2001 წლის I ნახევარში
სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, მეტევეობა	109,9	20,6
მრეწველობა და მშენებლობა	98,0	20,4
მრეწველობა	96,9	13,1
შინამცურნეობების მიერ სასოფლო-სამცურნეო პროდუქტების გადამუშავება	105,2	3,5
მშენებლობა	94,9	3,8
მომსახურება	103,7	53,2
ვაჭრობა	101,1	12,4
სასტუმროები და რესტორნები	118,4	2,6
ტრანსპორტი	105,6	10,7
პარმიტირება	124,5	2,8
ფინანსური შემავლობა	101,9	1,6
ოპერაციები უძრავი ქონებით, კომერციული საქმიანობა	103,5	6,8
სახელმწიფო მართვა, თავდაცვა	100,4	3,7
განათლება	105,5	4,1
ჯანდაცვა	96	5,1
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	95,8	3,1
შინამცურნეობების მიერ დაქირავებული მომსახურება	72,2	0,3
წმინდა გადასახადები	24,5	6,8
შესწორება ფინანსური შემავლობის გამოყენების მიხედვით	87,6	-1,1
მშპ	105,2	100

წერილი: სსკ

ეკონომიკის სექტორები

მრეწველობა

სამრეწველო წარმოების მცველობის შემცირება 2001 წლის I კვარტალში უარყოფითად აისახა წლის პირველი ნახევრის შედეგებზე. II კვარტალში აღნიშნულმა ზრდამ ვერ შეძლო მანამდე დაიფიქსირებული ვარდნის კომპენსირება. ელექტროენერგიის მიწოდების გაუმჯობესებამ II კვ-ში პოზიტიურად იმოქმედა მსხვილი საწარმოების საქმიანობაზეც. გასული წლის I ნახევართან შედარებით ლითონური მაღნების მოპოვება გაიზარდა 69 პროცენტით, თამბაქოს ნაწარმის წარმოება 3,3-ჯერ, პლასტმასისა და რეზინის 77,2 პროცენტით, მინერალური პროდუქტების 8,4 პროცენტით, სატრანსპორტო მოწყობილობების 62,7 პროცენტით, ელექტროტებენიკური მოწყობილობებისა და აპარატების 17,9 პროცენტით და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია თამბაქოს პროდუქციის წარმოების მკვეთრი ზრდა (657,6 მილიონი ცალი წლის პირველ ნახევარში, როცა გასულ წელს შესაბამისი მაჩვენებელი 177,6 მილიონი ერთეული იყო), სულ უფრო მეტი ადგილობრივი მომსმარებელი უპირატესობას ანიჭებს ქართულ პროდუქციას. შედეგად თამბაქოს

ინდუსტრიის წილი მთლიან სამრეწველო წარმოებაში გაიზარდა 1,9 პროცენტამდე გასული წლის 0,6 პროცენტან შედარებით, ხოლო თამბაქოს რეგისტრირებული იმპორტის მოცულობა შესაბამის პერიოდში განახევრდა.

ნავთობი

ქვეყნის ენერგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს ეკონომიკური და სამრეწველო განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული საკითხია. 2001 წლის პირველ ნახევარში მოპოვებული იქნა 52,4 ათასი ტონა ნავთობი, როცა გასული წლის შესაბამის პერიოდში—55,5 ათასი ტონა. 2001 წლის პირველ ნახევარში შემცირდა ბუნებრივი აირის წარმოებაც 24,4 მილიონ კუბურ მეტრამდე, როცა გასული წლის შესაბამისი მაჩვენებელი 37 მილიონი კუბური მეტრი¹ იყო. მართალია, საწვავის ადგილობრივი წარმოება შედა მოხმარების მხოლოდ მცირე ნაწილს აქმაყოფილებს, მაგრამ თვითონ ქვეყანაში არსებობს ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების გაფართოების კარგი პერსპექტივები. ეს დაკავშირებულია შიდა რესურსების ათვისებასა და ნავთობით მდიდარ კასპიის ზღვის რეგიონთან სიახლოვით. საბოლოო ჯამში, ეს საშუალებას მისცემს ქვეყანას შეამციროს დამოკიდებულება იმპორტზე და გამოიყენოს შიდა სიმძლავრეები.

ამჟამად ქვეყანაში ნავთობმოპოვების სექტორში რამდენიმე სერიოზული კომპანია მუშაობს. საქართველოში ნავთობისა და ბუნებრივი აირის უმსხვილესი მწარმოებელია შპს "ნინოწმინდის ნავთობკომპანია", რომელიც CanArgo Energy Corporation-ის ერთ-ერთი ფილიალია საქართველოში. იგი ქვეყანაში ნავთობს აწარმოებს 1996 წლიდან, ხოლო ბუნებრივ აირს კი—1999 წლის ბოლოდან. ამ პერიოდის განმავლობაში Canargo-ს შიერ განხორციელებულ იქნა 55 მილიონი აშშ დოლარზე მეტი მოცულობის ინვესტიცია² ნავთობის საძიებო და მომპოვებელ საქმიანობაში. კანარგოს ნავთობის საძიებო პროგრამა და სეისმური კვლევის მონაცემები მიუთითებენ ბუნებრივი აირის რესურსების მოპოვების კარგ პერსპექტივებზე ცარცოვანი ფენების ქვეშ ნინოწმინდისა და ნორიო-მარტყოფის საბადოებზე. მიმდინარე წელს ორი ჭაბურღილის ბურღვა უკვე დაწყებულია. კორპორაცია აი-ი-ეს-ი, რომელიც საქართველოში ენერგოგენერაციის სფეროში ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა, მეტად დაინტერესდა ამ პროექტით და მონაწილეობას კიდეც მის განხორციელებაში.

რაც შეეხება ნავთობის გადამუშავებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საქმიანობას, GAOR-ში (ქართულ-ამერიკული ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა) კანარგო ფლობს აქციათა 51 პროცენტს. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ახლო მდებარეობა ნინოწმინდის საბადოსთან ხელს უწყობს ადგილზე ნავთობის გადამუშავებასა და ადგილობრივი ბაზრის მომარაგებას სხვადასხვა ნავთობპროდუქტებით (მაგ., დაბალოკტანური ბენზინით, ნავთით, დიზელითა და მაზუთით). GAOR-ის სიმძლავრე შეადგენს დღეში 4 000 ბარედი ნავთობის გადამუშავებას, მაგრამ ეს ქარხანა გაჩერებულია ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში. შესაბამისად, გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით მკვეთრად დაეცა ნავთობის პირველადი გადამუშავება ქვეყანაში. ეს ხედლებულის შემოტანაზე, კერძოდ კი GAOR-ის მიერ პიროლიზული ფისის იმპორტზე მაღალი აქციზის შემოღებასა და ქარხნის სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემებით შეიძლება აიხსნას. CanArgo Corporation-ი განიხილავს აგრეთვა ქვეყანაში დიდი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის პროექტს, რომლის დირექტულება

¹ ინფორმაცია მოწოდებულია "საქავთოების" მიერ.

ეროვნული ანბარიშვილი და ეკონომიკის მირითადი მიმართულებები

150-200 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს და რომლის სიმძლავრეც დღე-დამეში 40 000 ტონა ნაკობის გადამუშავება იქნება. თუმცა, ამ გეგმის რეალიზაცია მოითხოვს სხვადასხვა ფაქტორების მხედველობაში მიღებას: უცხოური ინვესტიციებისათვის პროგნოზირებადი გარემოს შექმნას, მათ შორის საგადასახადო დაბეგვრის სფეროში და რეგიონში სხვადასხვა ქვეწების ინტერესების გათვალისწინებას. ამჟამად უკვე შემუშავდა კანონპროექტი საქართველოს კანონში "ნავთობისა და ბუნებრივი აირის შესახებ" დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ნავთობის გადამუშავებაზე ისეთივე რეექტის გავრცელებას, როგორიც მოქმედებს მის მოპოვებასა და მოძიებაზე. კანარგოს კორპორაცია დიდ ფურადღებას უთმობს ნავთობპროდუქტებით საცალო ვაჭრობის ქსელის გაფართოებას. ამ მიზნით მას ქართველ პარტნიორებთან ერთად დაფუძნებული აქცე ცალკე კომპანია. მიმდინარე წლის მაისისათვის უკვე გაიხსნა 11 ბენზინგასამართი სადგური, ხოლო წლის ბოლომდე დაგეგმილია მათი რაოდენობის 20-მდე გაზრდა. კანარგოს მარტო ამ სექტორში უკვე დაბანდებული აქცე 3,5 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციები.

შპს "იორის ველი" მოქმედებს გმოლოგიურ ბლოკზე მე-11 ბ (სამგორი-პატარძეულის საბადო), რომელიც მოიცავს 622 ათას კვ. კმ. თბილისიდან აღმოსავლეთით. 1995 წლიდან 2001 წლის 30 მაისამდე "National Petroleum Ltd" (NPL)³ იყო თანამფლობელი ამ კომპანიისა საქართობთან ერთად. მიუხედავად სერიოზული ინვესტიციებისა (34,3 მილიონი აშშ დოლარი), შედეგი მოკრძალებული აღმოჩნდა და წარმოების თავდაპირველი ზრდის შემდეგ, მისი მოცულობა შემცირდა, რასაც მოჰყვა გარკვეული უთანხმოება პარტნიორებს შორის. 1999 წლიდან JKX-ი მენეჯმენტის თაობაზე კონტრაქტის მეშვეობით ჩაერთო ამ პროცესის დარეგულირებაში. 2001 წლის 30 მაისს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოსთან და საქართობთან, რამაც ინვესტორის საქმიანობა მოიყვანა 1999 წლის "ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. NPL-ზ თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა ნავთობის ძიებასა და მოპოვებაზე მე-11 ბ ბლოკიდან. რაც შეეხება შპს "იორის ველს", მისი წესდება შეიცვალა და ის ჩამოყალიბდა NPL-ის "არაკომერციულ" აგენტად, რომლის საქმიანობა გამოიხატა სამუშაო პროგრამის შესასრულებლად. ის დარჩა კომპანიად, NPL-ისა და საქართობის თანაბარი წილობრივი მონაწილეობით, და დღესაც ფლობს მოცემულ ბლოკზე სამუშაოების წარმოების დიცენზიას. კონტრაქტი პროდუქციის განაწილების შესახებ ითვალისწინებს ჩასატარებელი სამუშაოებისა და ინვესტიციების მინიმალურ დონეს, რომლის არ შესრულების შემთხვევაში ლიცენზია ჩამორთმეული იქნება⁴.

ამერიკულ-ქართული ერთობლივი საწარმო "ფრონტერა ისტერნ ჯორჯია ლიმიტედ"⁵ ამერიკული კორპორაცია Frontera Resources და "საქართობის" მიერ დაფუძნებული კომპანიად მე-12 ბლოკის ათვისების მიზნით, რომელშიც შედის ექვსი საბადო სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში და მოიცავს 5 252 კვ. კმ. ფართობს დადოფლისწყაროს რაიონში. კომპანია Frontera Resources-ის განხორციელებული აქცე მნიშვნელოვანი ინვესტიციები ტარიბანის ნავთობის საბადოს ათვისებაში და მის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგებიც საკმაოდ ოპტიმისტურია. საცდელი ბურღვები მიუთითებენ იმაზე, რომ საბადოში ნავთობისა და ბუნებრივი აირის საკმაოდ მნიშვნელოვანი რეზერვები არსებობს. დღეს, ტარიბანის ნავთობის

² ინფორმაცია მოწოდებულია CanArgo-ს წარმომადგენლობის მიერ საქართველოში.

³ NPL-არის ბერმუდის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია, რომლის შტაბ-ბინა მდებარეობს შენევაში (შვეიცარია).

⁴ ინფორმაცია მოწოდებულია JKX-ის წარმომადგენლობის მიერ საქართველოში.

საბადოზე მიმდინარეობს დამატებითი ტექნიკური, ტექნოლოგიური და გეოლოგიური სამუშაოები⁵.

JKX Navtobi (ბრიტანული კომპანია JKX oil and gas-ის შვილობილი კომპანია) არის მონაწილე პროდუქციის წილობრივი განაწილების იმ ხელშეკრულებისა, რომელიც ეხება 2 400 კვ. კმ. ფართობის ტერიტორიას თბილისიდან დასავლეთით. კომპანიამ ჩაატარა გეოლოგიური გამოკვლევები და მიიღო დამატებითი მონაცემები 320 კვ. კმ. ფართობის შესახებ, იმ მონაცემებზე დამატებით, რაც საქანავთობს გააჩნდა და ამ მონაცემთა შეკრებისა და ანალიზის ფონზე, ამჟამად ამზადებს მომავალი ძიებისათვის სამოქმედო პროგრამას. ეს პროგრამა და 2001 წლის დარჩენილი პერიოდისა და 2002 წლის ბიუჯეტი წარედგინება ბრიტანული კომპანიის დირექტორთა საბჭოს უახლოეს მომავალში. სხვა შვილობილი კომპანიის მეშვეობით, JKX oil and gas-ს დადებული აქცები კონტრაქტი შვეიცარიულ კომპანია NPL-თან მე-11 ბლოკის მენეჯენტის თაობაზე. JKX-მ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ ახალი ხელშეკრულების დადებაში. აგრეთვე JKX-მ შეინარჩუნა წილი წმინდა მოგებაში (პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების თანახმად) 4%-ის ოდენობით შავი ზღვის შელფის რესურსების ათვისების საქმეში, სადაც კონტრაქტორს წარმოადგენს ანადარკო ჯორჯია კომპანია⁶.

ბრიტანულმა კომპანიამ **Ramko energy**-მ ხელი მოაწერა პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ ხელშეკრულებას "საქანავთობთან" კახეთის მე-10 ბლოკის ათვისების მიზნით. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1999 წლის ბოლოდან. კომპანია "კახეთი თილ ლიმითიდ" (რომელსაც მთლიანად ფლობს Ramco) არის ოპერატორი და კონტრაქტორი მე-10 ბლოკისა, რომელსაც უკავია 3 350 კვ. კმ. ალაზნის ველის ტერიტორიაზე და კავკასიონის მთისწინეთში. კომპანია Ramco-ს სამუშაო პროგრამა შეიცვდა შეფასებასა და სეისმური და ადრე მიღებული ტოპოგრაფიული მონაცემების ანალიზს. კომპანია Ramco-მ განახორციელა აგრეთვე საკუთარი სეისმური კვლევაც, რომელიც მოიცვდა 202 კვ. კმ. ტერიტორიას. შედეგად აღმოჩენილი იქნა ნავთობისა და ბუნებრივი აირის რამდენიმე პოტენციური სტრუქტურა. Ramco-ს დაგევმილი აქცების ფარგლების გაბურღვის დაწყება 2001 წლის მეოთხე კვარტალში⁷.

ანადარკო ჯორჯია კომპანიი, არის Anadarko Petroleum Corporation-ის შვილობილი კომპანია და წარმოადგენს სამი ბლოკის კონტრაქტორს, რაც მოიცავს 8,900 კვ. კმ. საქართველოს შავი ზღვის კონტინენტალური შელფის ფარგლებში. Anadarko Petroleum Corporation-ის არის მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია ნავთობისა და გაზის დაზერვისა და მოპოვების სფეროში. ანადარკო ფლობს უფლებას გამოიკვლიოს ეს ბლოკები საქანავთობთან, ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სახელმწიფო სააგენტოსა და JKX (Navtobi)-თან ერთად პროდუქციის წილობრივი განაწილების შესწორებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც დაიდო 2000 წლის 26 ივნისს. დღეისათვის ანადარკომ დაამთავრა სეისმური, აერომაგნიტური და სხვა სახის მონაცემების პირველადი ანალიზი და აგრძელებს ბლოკების შესწავლის პროცესს⁸.

⁵ წყარო: საქანავთობი და Frontera Resources Corporation-ის ვებგვერდი.

⁶ ინფორმაცია მოწოდებულია JKX Navtobi-ის წარმომადგენლობის მიერ საქართველოში.

⁷ ინფორმაცია მოწოდებულია Ramko energy-ის მიერ.

⁸ ინფორმაცია მოწოდებულია ანადარკო ჯორჯია კომპანიის მიერ.

"საქანავთობის" პარტნიორული ურთიერთობა გააჩნია გერმანულ კომპანია GWDF-თან, რომელმაც დაიწყო თავისი საქმიანობა საქართველოში გასული წლის ბოლოს. თუმცა, გერმანული კომპანია უკვე ინტენსიურად ახორციელებს სუფსა-ჭადადიდის რაიონში ნავთობის არსებული საბადოების რეაბილიტაციასა და ახალი საბადოების ათვისებას⁹.

"საქანავთობი" (ნავთობის ეროვნული კომპანია, რომელიც 100 პროცენტით სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს) თავადაც აწარმოებს საქართველოში გეოფიზიკურ საძიებო სამუშაოებს, მოიპოვებს ნავთობსა და წარმოადგენს ქვეყნის ინტერესებს უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობებში.

სოფლის მეურნეობა

ამინდის ხელსაყრელმა პირობებმა 2001 წლის I ნახევარში ხელი შეუწყო აგრარულ სექტორში წარმოების ზრდას. 5 ივლისისათვის თავთავიანი კულტურების მოსავლიანობამ ჰქებარზე შეადგინა 27,3 ცენტნერი, მაშინ როცა გასული წლის ანალოგიური მაჩვენებელი იყო 9,9 ცენტნერი. მიმდინარე წელს თავთავიანი კულტურების, მათ შორის ხორბლის მაღალი მოსავლიანობა აღინიშნა კახეთში (3 ტონაზე მეტი ერთ ჰა-ზე), რომელიც წამყვანი რეგიონია ამ კულტურის წარმოების მიხედვით ქვეყანაში. თუმცა, საქართველო მიმდინარე წელსაც ვერ გადაურჩა გვალვას, რომელმაც ამჯერად მნიშვნელოვნად დააზიანა დასავლეთ საქართველოს რეგიონები (იმერეთი, სამეგრელო, გურია). ბევრ რაიონში სიმინდის, სოიას, ლობიოსა და ბოსტნეულის ნათესები, ხეხილი, თხილისა და ციტრუსების პლანტაციები, ასევე ვენახები დაზიანდა 70-დან 100 პროცენტამდე. 25 აგვისტოსათვის გვალვით მიუწებული ზარალი შეფასებული იყო 175 მილიონ ლარად.

საქართველოში სოფლის მეურნეობის სტაბილური ზრდის პერსპექტივები მნიშვნელოვნადად დამოკიდებული აგრარული ინფრასტრუქტურის, მათ შორის, მელიორაციისა და დრენაჟის სისტემის გამართულობაზე. ქართველი სპეციალისტების გათვლით მიმდინარე წელს მოირწყვება დაახლოებით 200 000 ჰა მიწა, როცა გასულ წელს მოირწყა მხოლოდ 146 ათასი ჰა. უნდა აღინიშნოს, რომ სამელიორაციო ინფრასტრუქტურა მოიცავს დაახლოებით 469 ათას ჰა-ს. თუმცა ბოლო ათი წლის განმავლობაში მისი გარკვეული ნაწილი გამოვიდა მწყობრიდან ან გაიძარცვა. გარდა ამისა, სერიოზულ პრობლემად რჩება მოხმარებული წელის საფასურის ამონება. საშუალო გადასახადი 1 000 კუბურ მეტრ სარწყავ წყალზე არის 4 ლარი, რაც დაახლოებით 10-ჯერ ჩამორჩება მის თვითდირებულებას¹⁰. მაგრამ ამ მცირე გადასახადსაც არ იხდიან წლის მოხმარებლები. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ არსებული მელიორაციისა და დრენაჟის სისტემა შეიქმნა საბჭოთა ეპოქაში მსხვილი კოლექტიური მეურნეობების არსებობის დროს. სასოფლო-სამეურნეო მიწის დაყოფამ მცირე ნაკვეთებად დღის წესრიგში დააყენა მელიორაციის სისტემის გარდაქმნის საკითხი ახალი წვრილი მიწათმფლობელების (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლების) მოხხოვნათა შესაბამისად. სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტაში საქართველოსთვის დახმარების მიზნით მსოფლიო ბანკმა შეიმუშავა ახალი 12-წლიანი პროგრამა, რომელიც, საგარაუდოდ, დაიწყება მომავალი წლიდან (საქართველოს ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტი). პროგრამის ფარგლებში გამოიყოფა 110 მილიონი აშშ დოლარი ამ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის.

⁹ ინფორმაცია მოწოდებულია საქანავთობის მიერ.

¹⁰ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამენტი.

პროგრამის არსი იმაშია, რომ ხელი შეუწყოს საქართველოში წყლის მომხმარებელთა ორგანიზაციების ჩამოყალიბებას 255 ათას პა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე, მელიორაციისა და დრენაჟის სისტემების სრულ რეაბილიტაციას 125 ათას პა ფართობზე და წყლის მიწოდების შიდა სისტემების აღდგენას 130 ათას პაზე. პროგრამის პირველი ფაზა გათვლილია 5 წელზე, რაც გულისხმობს 32 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას, საიდანაც 27 მილიანი აშშ დოლარი იქნება IDA (განვითარების საერთაშორისო ასოციაციის) კრედიტი, ხოლო დანარჩენი მოდის საქართველოს მთავრობისა და აღგილობრივი ფერმერების მონაწილეობაზე. აქედან 20 მილიონი დოლარი უშაულოდ წარიმართება კაპიტალდაბანდებებზე, ხოლო დანარჩენი კი წყლის მომხმარებელთა საზოგადოებების ინსტიტუციური ჩამოყალიბების მხარდაჭერაზე. მოცემული სესხის პირობები ძალიან შედავათიანია. ის უნდა დაბრუნდეს 40 წელიწადში, წლიური საპროცენტო განაკვეთია 0,75 პროცენტი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდაჭერის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკომისიის სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამა. მარტო მიმდინარე წლის შვიდ თვეში ამ პროგრამის ფარგლებში უკვე გამოიყო 4,8 მილიონი ლარი. ეს თანხები წარიმართა მელიორაციისა და დრენაჟის სისტემის მართვის (3,45 მილიონი ლარი წლის პირველ ნახევარში), ასევე ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურების დაფინანსებაზე. წლის ბოლომდე გამიზნულია დამატებით 6 მილიონი ევროს გამოყოფა ამ პროგრამის ფარგლებში. ეს თანხები წარიმართება აგრარული სექტორისა და სოციალურ სფეროს მხარდასაჭერად. მოცემული ტრანსფერტები გაწერილი იყო ევროკომისიის სასურსათო უზრუნველყოფის 1996-1999 წლების პროგრამის ფარგლებში. მაგრამ ქართული მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო თანხების გამოყოფა დროში გაიწელა. შედეგად საქართველომ სერიოზული ფინანსური დახმარება დაკარგა 14 მილიონი ევროს ოდენობით, რომელიც გამაგრებული იყო ევროკომისიის მხრიდან. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები სენებული პროგრამის გაგრძელებაზე საქართველოში 2002-2003 წლების პერიოდისათვის. შეიძლება ითქვას, რომ მთავრობის მხრიდან აგრარული სექტორის სუსტი დაფინანსება ქვეყანას უბრუნდება მრავალმილიონიანი დანაკარგების სახით, რაც საბოლოო ჯამში აფერხებს არა მარტო სოფლის მეურნეობის განვითარებას, არამედ მთლიანად ეკონომიკური ზრდის ტემპს.

შ0და ვაჭრობა

ვაჭრობის სექტორს ერთ-ერთი წამყვანი პოზიციები უკავია საქართველოს შიდა ეროვნულ პროდუქტში (12,4 პროცენტი 2001 წლის პირველ ნახევარში). მსხვილი საწარმოების გაჩერებისა და ლტოლევილთა დიდი მასის არსებობის პირობებში, მომსახურების სექტორი, მათ შორის ვაჭრობა, გადაიქცა დასაქმების ერთ-ერთ ძირითად სფეროდ. ამჟამად ადგილობრივი ბაზარი გაჯერებულია საქონლით და არ არსებობს დეფიციტი. თუმცა, შიდა ვაჭრობის სექტორის განვითარება მიმდინარეობდა სპონტანურად. ჩამოყალიბდა ბაზრობები, რომლებიც ზოგან არაორგანიზებულ ხასიათს ატარებენ და გაწნდა ქუჩის ვაჭრობა. თკერაციები ამ ბაზრებზე არ ექვემდებარება აღრიცხვას, რაც ხელს უწყობს საბანკო ქსელის გვერდის ავლით ნაღდი ანგარიშსწორების პრაქტიკის გავრცელებას. შესაბამისად, ბიუჯეტი განიცდის მნიშვნელოვან ზარალს. ამჟამად არ მოქმედებს სისტემა, რომლის მიხევითაც მოხდება სავაჭრო და კვების ობიექტების (სუპერმარკეტები, უნივერმაციები, სასურსათო მაღაზიები, რესტორნები, კაფეები და სხვ) კლასიფიკაცია. აუცილებელია შემუშავდეს სტანდარტები და მოხდეს ობიექტების დაყოფა კლასიფიკაციის ერთიანი სისტემის

მროვლი ანბარიშები და ეკონომიკის ძირითადი მიმართულებები

საფუძველზე. ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზას წარმოადგენს ამ ობიექტების სერთიფიკაცია, რასაც გვთავაზობს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო.

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სექტორში წესრიგისა და აღრიცხვიანობის დასამუარებლად საქართველოში შემუშავდა საქართველოში მისი ცხოვრებაში რეალური განხორციელების დონე. მომხმარებელთა უფლებები დაუცველია, კინადან საცალო ვაჭრობის ქსელში ხშირად ხვდება ფალსიფიცირებული და დაბალი ხარისხის პროდუქცია. ამ კუთხით აუცილებელია გატარდეს სამთავრობო პოლიტიკა, რომლის მიზანიც იქნება მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და ბაზარზე "თამაშის" ერთნაირი წესების დადგენა.

ტრანსპორტი

სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის სექტორი, აგრეთვე ტვირთების გადამუშავება საქართველოს შავი ზღვის პირტებში კვლავ სტაბილურად მზარდი ტენდენციით ხასიათდება. წლის პირველ ნახევარში რკინიგზით გადაზიდული იქნა 14,6 მილიონი ტონა ტვირთი, ხოლო ტვირთბრუნვამ შეადგინა 2 356,3 მილიონი ტონა/კილომეტრი, რაც შესაბამისად, 9,3 და 8,3 პროცენტით მეტია ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მუშაობის მაჩვენებლები, ასევე სარკინიგზო ბორნების დატვირთვა ფორთისა და ბათუმის პორტებში, სადაც წლის პირველ ნახევარში მიღებული და გაგზავნილი იქნა 4 356 ვაგონი (65,5 პროცენტით მეტი ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში). საერთო ჯამში, ფორთისა და ბათუმის საზღვაო პირტებში 2001 წლის პირველ ექს თვეში გადამუშავებული იქნა 5,4 მილიონი ტონა ტვირთი, როცა გასული წლის I ნახევარში 4,7 მილიონი ტონა. სუვსის პორტიდან 2001 წლის პირველ ნახევარში გაიგზავნა 2,8 მილიონი ტონა ნავთობი. ტვირთებისა და მგზავრთბრუნვა განხილულ პერიოდში შარშანდელთან შედარებით გაიზარდა საავტომობილო ტრანსპორტზეც შესაბამისად, 1,6 და 2,2 პროცენტით. საავიაციო სექტორში ვარდნის ტენდენცია კვლავ გრძელდება. საქართველოს აეროპორტებიდან გაგზავნილი და ქართული ავიაკომპანიების მიერ გადაევანილი მგზავრების რაოდენობა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გასულ წელთან შედარებით შემცირდა. მიუხედავად საავიაციო პარკის გარემოების განახლებისა (ორი ბოინგი-737 უკვე წარმოადგენს ერთ-ერთი წამყვანი ქართული ავიაკომპანიის აირზენას სამგზავრო თვითმფრინავებს) დარგში ვარდნის ტენდენცია დაკავშირებულია, პირველ რიგში, საავიაციო ტრანსპორტზე შედარებით მკვეთრ შემცირებასთან (საქართველოს მოქალაქეებისათვის თვითმფრინავით მგზავრობა ძვირი სიამოვნებაა). რაც შეეხება უცხოელებს ისინი უპირატესობას ანიჭებენ თვითმფრინავით ეროვნულ ავიაკომპანიებს, რომელთაც მაღალი რეპუტაცია გააჩნიათ. არაეფექტური საბაზო რეგულირება და ინფრასტრუქტურის გაუმართაობა ასევე ხელს უშლის ზრდას საავიაციო ტრანსპორტის სექტორში.

ორი წლის წინ "საქართველოს საზღვაო სანაოსნო" ფლობდა ოფშორული რეგისტრაციის 26 გემს, რომელთა დიდი ნაწილი დაკავებულ იქნა საზღვარგარეთის პორტებში. სულ სანაოსნოს ვალი 138,5 მილიონ ამერიკულ აშშ დოლარს შეადგენდა, რომლის უდიდესი ნაწილი-102 მლნ აშშ დოლარი კომპანიას ემართება "Hamburgische Landesbank"-ისათვის. ბანკის მოთხოვნით სხვა დონისძიებებთან ერთად, საქართველოს მთავრობამ ფლობის მთლიანად დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით დაარსა ახალი კომპანია

"საქართველოს საერთაშორისო საზღვაო სანაოსნო", რომლის მემკვიდრეს დღეს წარმოადგენს შპს "საოკეანო სანაოსნო კომპანია" (რეგისტრირებულია საქართველოში). ის გერმანულ პარტნიორთან "Columbia Ship management Ltd" ერთად ახორციელებს საქართველოს ფლოტის მართვას. დღეისათვის სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. 30 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი "Hamburgische Landesbank"-იდან გამოყენებულ იქნა დაპატიმრებული გემების გამოსახსნელად, ასევე მათი შეკეთების, მეზღვაურებისათვის ხელფასის დავალიანების გასტუმრებისა და სხვა კრედიტორების უზრუნველსაყოფად. ამასთან საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად 13 გემი გაიყიდა აღნიშნული ვალის მომსახურებისათვის. დანარჩენი გემები ჩადგნენ მწყობრში, ამაღლდა მეზღვაურთა კვალიფიკაცია, ხოლო ფლოტის საქმიანობის ანგარიშგება უფრო გამჭვირვალე გახდა. აღნიშნულმა გემებმა უკვე მიიღეს აღიარება ისეთი დიდი ნავთობკომპანიების მხრიდან როგორიცაა: შეკრონი, ბრიტიშ პეტროლიუმი და ვება. შესაბამისად, გასული წლის დეკემბრიდან ფლოტმა გარკვეული შემოსავალი მოიტანა. 2001 წლის პირველ ნახევარში შემოსავალმა შეადგინა 2,5 მილიონ აშშ დოლარი. თუმცა, ეს თანხა მიმართული იყო ვალის დაფარვაზე. 2001 წლის პირველ ნახევრის ბოლოსათვის ფლოტის მთლიანი დავალიანება შემცირდა 58 მლნ. აშშ დოლარამდე. შემოსავლების მიდების ფაქტის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ არსებობს 2005 წლისათვის ვალის სრულად დაფარვის რეალური პერსპექტივა. თუმცა, ამ დროისათვის ნაწილი გემებისა 20 წლის ასაკს მიაღწევს, რაც ამცირებს მათ საფრანგეთი დირექტულებას, ამიტომ აუცილებელია ეროვნული ფლოტის განახლებაზე ფიქრი. შპს "საოკეანო სანაოსნო კომპანიამ" ხელი მოაწერა შევრონის ნავთობის კორპორაციასთან განზრახელებათა ოქმს 5 მილიონი ტონა კასპიის ზღვის ნავთობის ტრანსპორტირებაზე. ეს გარემოება შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც გარანტია ახალი გემების შესყიდვისათვის. ასევე განიხილება საზღვაო ტანკერების მშენებლობის შესაძლებლობა კორეაში, სადაც შედარებით დაბალი ფასები და მისაღები ხარისხია. მოსალოდნელია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს ფლოტი 50-60 მილიონი აშშ დოლარის დირექტულების მომსახურებას გასწევს. ამ თანხის ნახევარი წავა მიმდინარე დანახარჯების დასაფარავად და დანარჩენი კი - ვალის მომსახურებასა და გემების შეკეთებაზე.

საბარეო ვალი

2001 წლის 31 ივლისისათვის საქართველოს მიერ იქნა დადგებული სავალო ხელშეკრულებები (სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებული სესხების ჩათვლით) 2 110 მილიონ აშშ დოლარზე. წლის პირველ შვიდ თვეში ქვეყანამ მიიღო 46,9 მილიონი აშშ დოლარის საგარეო კრედიტები, საიდანაც ნახევარი 23,5 მილიონი აშშ დოლარი საერთაშორისო სავალუტო ფონდზე მოდის, 3,4 მილიონი აშშ დოლარი გერმანიის მთავრობაზე და 17,1 მილიონი ლარი მსოფლიო ბანკზე. "პარიზის კლუბში" გამართული მოლაპარაკებების თანახმად საქართველო არ უხდის სხვა ქვეყნებს საგარეო ვალის მირითად ნაწილს 2001-2002 წლების პერიოდში, მაგრამ ეს არ ეხება საერთაშორისო და რეგიონულ საფინანსო ორგანიზაციებს. 2001 წლის 31 ივლისისათვის მხოლოდ ამ კრედიტორებისათვის გადახდილი იქნა 11,5 მილიონი აშშ დოლარი; აქედან 8,9 მილიონი დოლარი საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, პირველ შვიდ თვეში გადახდილი იქნა 23,2 მილიონი დოლარი, მირითადად ევროკავშირის, სსფ-ს, აშშ-ს, მსოფლიო ბანკის, ავსტრიის, რუსეთის, თურქეთისა და თურქმენეთისათვის, აქედან გადავადებულ კრედიტებზე მოდის - 12,2 მილიონი ლარი. საერთო ჯამში, 31 ივლისისათვის ქვეყნის საგარეო

ეროვნული ანბარიშვილი და ეკონომიკის მირითადი მიმართულებები

ვალმა შეადგინა 1 540 მილიონი აშშ დოლარი, 4 მილიონით ნაკლები ვიდრე გასული წლის ბოლოს.

რა თქმა უნდა, მოკლევადიან პერიოდში საქართველო საქიროებს საგარეო ფინანსურ მხარდჭერას დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მხრიდან, მაგრამ კრედიტების პირობები უნდა იყოს მაქსიმალურად შედავათიანი, ხოლო ზედამხედველობა მათ ეფექტიან გამოყენებაზე უნდა გამკაცრდეს.

რაც შეეხება საქართველოს საგარეო ვალების მომსახურების ახალი განრიგის შედგნის საკითხს, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების თანახმად ოფიციალური კრედიტორების მიმართ "პარიზის კლუბის" ფარგლებში, ეს პროცესი უნდა დასრულებულიყო 31 აგვისტოსათვის, თუმცა, როგორც რეალობა გვიჩვენებს ეს ვადა გადაიწევს. 2001 წლის 31 აგვისტოსათვის მიღწეული იქნა შეთანხმება აგსტრიასა და თურქეთთან ვალის გადავადების შესახებ საკმაოდ მისაღებ პირობებზე (საპროცენტო განაკვეთი - 3 პროცენტი წლიდიწადში). ასევე ამ დროისათვის პარაფირებულია შეთანხმებები ირანთან, აზერბაიჯანთან, უკრაინასთან და რუსეთთან. რაც შეეხება მოლაპარაკებებს სხვა ქვეყნებთან (სომხეთი, უზბეკეთი, ჩინეთი, თურქმენეთი, აშშ და ნიდერლანდები) ისინი მიმდინარეობენ.

შიდა ვალი

საქართველოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად ქვეყნის შიდა ვალმა უნდა შეადგინოს (1 450 მილიონი ლარი), როცა გასული წლის ბოლოს შეადგენდა 1 497 მილიონ ლარს. 2001 წლის 31 ივლისისათვის შიდა ვალი შემცირდა 1 474 მილიონ ლარამდე. ეს შესაძლებელი გახდა იმ ფასიანი ქაღალდების დაფარვის ხარჯზე, რომელთა ემისია განახორციელა ფინანსთა სამინისტრომ ეროვნული ბანკის აქტივების რეგაპიტალიზაციის მიზნით (28 მილიონი ლარი). თუმცა, სახაზინო ვალდებულებებთან დაპავშირებული დაუფარავი სახელმწიფო ვალდებულებები იმავე პერიოდში გაიზარდა 6,3 მილიონი ლარიდან 10,1 მილიონ ლარამდე. რაც შეეხება ეროვნული ბანკის კრედიტებს, ისინი მირითადად ერთოვანი პერიოდით გაიცემა და ამიტომ არ უნდა ჩაითვალოს შიდა ვალად.

მიმდინარე წელს შიდა ვალი შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც თავისთავად დამაიმედებელია. სახელმწიფო ფინანსების დასაბალანსებლად ქვეყანა სულ უფრო მეტად უნდა ეყრდნობოდეს შიდა წეაროებს. ამ მხრივ ფასიანი ქაღალდების (მათ შორის სახაზინო ვალდებულებების) ბაზრის განვითარება და ეროვნული ბანკიდან კრედიტების აღებაზე უარის თქმა შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე ოპტიმალურ გზად. თუმცა, ეს პროცესი დაპავშირებულია საქართველოში ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განვითარებასთან, ასევე ინვესტორთა ნდობაზე სახელმწიფო ვალდებულებების მიმართ. საბიუჯეტო კრიზისის პირობებში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვის რისკი საკმაოდ მაღალია, ამიტომაც სახაზინო ვალდებულებების მირითადი მყიდველი გახლავთ ბანკები და არა ფიზიკური პირები.

2001 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად შიდა ვალის შესამცირებლად და სახელმწიფოს მხრიდან იმ ვალდებულებების დასაფარავად, რომლებიც დაპავშირებულია დაუმთავრებელი კოოპერატიული ბინების მშენებლობასა და მუნიციპალური საწარმო "თბილტრანსის" მდღოლების ბინებით უზრუნველყოფასთან, გათვალისწინებულია

მათვის საპრივატიზაციო ქონებისა და მიწის ნაკვეთების გადაცემა. ამჟამად ქონების მართვის სამინისტრო ამუშავებს ამ ქონების გადაცემის წესებს.

საბაზამხდელო ბალანსი

მიმდინარე წლის I ნახევარში აღინიშნა საგაჭრო დეფიციტის სერიოზული ზრდა, რამაც მიმდინარე ანგარიშის საერთო დეფიციტზე უმნიშვნელო ზეგავლენა იქონია. საგაჭრო დეფიციტმა შეადგინა 275,3 მილიონი აშშ დოლარი¹¹ (29,8 მილიონი აშშ დოლარით შეტი ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში). მომსახურებით ვაჭრობის, შემოსავლებისა და მიმდინარე ტრანსფერტების ქვეთავების მიხედვით დადებითმა ბალანსმა შეადგინა 136,7 მილიონი აშშ დოლარი. შესაბამისად, 2001 წლის პირველ ნახევარში მიმდინარე ანგარიშის ბალანსის დეფიციტი იყო 138,6 მილიონი აშშ დოლარი (შხვლოდ 2,1 მილიონი აშშ დოლარით შეტი ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში).

2001 წლის I ნახევარში სსდ-ს ინფორმაციით მოკლევადიანი პერიოდით უცხოეთში წასული საქართველოს მოქალაქეების მხრიდან ტრანსფერტების მოცულობაში მნიშვნელოვანი შემცირება განიცადა¹². კვლავ მცირდება უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობაც, მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში მათ შეადგინეს 56,8 მილიონი აშშ დოლარი, როცა გასული წლის შესაბამის პერიოდში მათი მოცულობა 62,8 მილიონი აშშ დოლარი იყო. პორტფელური ინვესტიციები ძალიან უმნიშვნელო როლს თამაშობენ ქვეყანაში კაპიტალის მოზიდვისა და ბიზნესის გაფართოების ხელშეწყობის ჯუთხით.

2001 წლის I ნახევარში ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის მნიშვნელოვან მასტაბილიზირებელ ფაქტორებს წარმოადგენდა: სახელმწიფო სექტორისადმი საგარეო სესხები (მარტო სსდ-ს მხრიდან 19,2 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით), მთავრობის მხრიდან მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა (51,9 მილიონი აშშ დოლარი, როცა გასულ წელს შესაბამისი მაჩვენებელი 45 მილიონი აშშ დოლარი იყო), აგრეთვე ტრანსფერტები ცენტრალური მთავრობისადმი და იმ პირების მხრიდან, რომლებიც ქვეყნიდან გრძელვადიანი პერიოდით არიან გასულები¹³, ასევე არა-სახელმწიფო სექტორის მიერ საგაჭრო კრედიტების მიღება (33,5 მილიონი აშშ დოლარი).

მიუხედავად ელექტროენერგიის მკეთრი დეფიციტისა, მიმდინარე წლის I ნახევარში საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 47,4 მილიონ აშშ დოლარამდე გასული წლის შესაბამისი პერიოდის 37,7 მილიონ აშშ დოლართან შედარებით. ტურიზმიდან შემოსავლების ზრდა დარგში აღრიცხვიანობის გარკვეული გაუმჯობესებითა და უცხოელ ტურისტთა შემადგენლობის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებით შეიძლება აიხსნას, კერძოდ, გაიზარდა არა-დსტ-ს წევრი ქვეყნების მოქალაქეების წილი. ეს უკანასკნელი საშუალოდ უფრო მეტ ფულს ხარჯავენ ვიდრე დსტ-ს ქვეყნებიდან ჩამოსული მოქალაქეები. ტურიზმის კუთხით საქართველოს პოტენციალი ამჟამად უმნიშვნელოვანადაა გამოყენებული. განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, ჩეჩენეთში მიმდინარე საბრძოლო

¹¹ სსდ-ს მიერ არარეგისტრირებული ვაჭრობის გათვალისწინებით.

¹² 49,5 მილიონი აშშ დოლარი 2001 წლის I ნახევარში და 78,7 მილიონი აშშ დოლარი 2000 წლის I ნახევარში.

¹³ საქართველოდან გრძელვადიანი პერიოდით გასულ პირთა ტრანსფერტებმა 2001 წლის I ნახევარში შეადგინა 48,1 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო სახელმწიფო სექტორისათვის ტრანსფერტებმა 19,5 მილიონი აშშ დოლარი, მათიც როცა გასული წლის I ნახევარის შესაბამისი მაჩვენებლებით იყო 42,2 მილიონი აშშ დოლარი და 0.

მროველი ანგარიშები და ეკონომიკის ძირითადი მიმართულებები

მოქმედებები და მძიმე კრიმინოგენური სიტუაცია საქართველოში, აფრთხობს უცხოელ ტურისტებს და ხელს უშლის მათი ნაკადის ზრდას ქვეყანაში.

**ცხრილი 2.2: საქართველოს საგადამხდელო ბალანსი 1999, 2000, 2001 წლების I ნახევარი
(მილიონი აშშ დოლარი)**

	1999 წ.		2000 წ.		2001 წ.	
	I ძვ.	II ძვ.	I ძვ.	II ძვ.	I ძვ.	II ძვ.
მიმდინარე ანგარიში	-68,7	-57	-72,8	-63,7	-73,5	-65,2
საფურო ბალანსი	-154,2	-142,6	-128,6	-116,9	-141,3	-134
ექსპორტი	52,2	75,5	97,8	128,1	94,5	124,2
იმპორტი	-206,4	-218,1	-226,5	-245	-235,8	-258,2
მომსახურება	-2,5	4,4	4	5,2	9,1	8,8
ექსპორტი	46,6	63,3	50,6	48,4	61,1	67,4
იმპორტი	-49	-58,9	-46,6	-53,7	-52	-58,6
შემოსავალები	30,6	32	21,1	29,7	13,1	12,4
კრედიტი	42,6	45,3	36,2	42,5	24,3	27,6
დებეტი	-12	-13,3	-15,1	-12,7	-11,3	-15,1
მიმდინარე ტრანსფერტები	57,3	49,1	30,8	28,6	45,7	47,6
კრედიტი	63,3	56,3	35,8	35,5	50,8	53,4
დებეტი	-6	-7,1	-5,1	-6,9	-5,2	-5,8
კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში	80	68,4	25,8	22,3	64,7	47
კაპიტალის ანგარიში	-1,7	-1,8	-1,2	-1,1	-1,6	-1,1
ფინანსური ანგარიში	81,7	70,2	27,1	23,3	66,3	48,1
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	19,2	22,1	33	30,2	21,3	35,6
საპორტფლო ინვესტიციები	0	0	2,5	0,2	-1,3	1,2
სხვა ინვესტიციები	43,7	36,5	-17,9	-20,1	51,4	12,5
სარგებლობა აქტივები	18,9	11,6	9,4	13	-5	-1,2
შპინგა შეცდომები და გამოტოვებები	-11,3	-11,4	46,9	41,5	8,8	18,2

წერილი: სხვ

თავი მესამე. სახელმწიფო უნიანება

2001 წლის ბიუჯეტის კანონის თანახმად წლის პირველ ნახევარში მთლიანი შემოსავლები დაგეგმილი იყო 407,4 მილიონი ლარის ოდენობით, რაც მოსალოდნელი შემოსავლების 48 პროცენტია, ხარჯების გეგმა კი განისაზღვრა 480 მილიონი ლარით რაც წლიური მაჩვენებლის 40 პროცენტია. შესაბამისად დეფიციტი უნდა ყოფილიყო 72,6 მილიონი ლარი. ფაქტურმა შემოსავლებმა 357,3 მილიონი ლარი შეადგინა რაც გეგმურ მაჩვენებელზე 50 მილიონი ლარით ნაკლებია. სრულად არ იქნა მიღებული თანხები საგარო წყაროებიდან. ფაქტური ხარჯები შესაბამისად შემცირდა და 397,5 მილიონი ლარი შეადგინა რაც თავდაპირველი გეგმის 82,8 პროცენტია. გადასახადების ამოღება გაუმჯობესდა წლის განმავლობაში როგორც აბსოლუტური ასევე პროცენტული მაჩვენებლებით.

სახელმწიფო პიუჯეტის შემოსავლები

თავდაპირველი პროგნოზით 2001 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს 416,7 მილიონი ლარი უნდა შეედგინა. რეალურად მიღებულია 357,3 მილიონი ლარი რაც დაგეგმილის 85,7 პროცენტია. 60 მილიონი ლარის დანაკლისი ძირითადად აიხსნება მოსალოდნელზე მცირე შემოსავლებით საბაჟო დეპარტამენტიდან და საქართველოს ერთ-ერთი რეგიონიდან გადმორიცხვების დაგვიანებით. ასევე არ იქნა მიღებული ზოგიერთი უცხოური გრანტი რომელიც გათვალისწინებული იყო ბიუჯეტის კანონში. საგადასახადო შემოსავლების გეგმა განსაზღვრული იყო 251,6 მილიონი ლარით რაც წლიური გეგმის 48 პროცენტია. რეალურად მიღებული 225,9 მილიონი ლარი ახლოსაა დაგეგმილთან და 89,8 პროცენტიან შესრულებას აჩვენებს.

არასაგადასახადო შემოსავლების ხაზით მიღებულია 30,9 მილიონი ლარი, რაც 11 მილიონი ლარით ნაკლებია გეგმით გათვალისწინებულზე. აქედან 22 მილიონი ლარი არის ეროვნული ბანკის მოგება. კაპიტალური შემოსავლების გეგმა შესრულდა 53 პროცენტით. სახელმწიფო ბიუჯეტის ამ მუხლით 2,4 მილიონი ლარი მიიღო.

ცხრილში ნაჩვენებია 2001 წლის შემოსავლების შედარება დაგეგმილ მაჩვენებლებთან და წინა წლის ფაქტურ შემოსავლებთან.

**ცხრილი 3.1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, 2001 წლის I ნახევარი
(მილიონი ლარი)**

	2001 წლის I ნახევარი გეგმა	2001 წლის I ნახევარი ფაქტური	გეგმის შესრულება (პროცენტი)	2000 წლის I ნახევარი ფაქტური	ზრდა წლის განმავლობაში (პროცენტი)
სულ შემოსავლები და გრანტები	416,7	357,3	85,7	273,4	31
სულ შემოსავლები	394,1	351,5	89,2	273,4	29
საგადასახადო შემოსავლები	251,6	226,0	89,8	195,7	15
არასაგადასახადო შემოსავლები	34,7	30,9	89,0	9,3	232
საეცილური სახელმწიფო ფონდები	107,8	94,6	87,8	68,4	38
გრანტები	22,6	5,8	25,7	0,0	

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

იმის მიუხედავად რომ ფაქტიური შემოსავლები ჩამორჩება საპროგნოზო მაჩვენებლებს, წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვანი ზრდაა მიღწეული. არასაგადასახადო შემოსავლების 232 პროცენტიანი ზრდა ეროვნული ბანკის მოგების გადმორიცხვის შედეგია. 2000 წელს ანალოგიური გადმორიცხვა უფრო გვიან მოხდა და შესაბამისად არ აიხახა წლის პირველი ნახევრის მაჩვენებლებში. საგადასახადო შემოსავლების 15 პროცენტიანი და სპეციფიკური შემოსავლების 38 პროცენტიანი ზრდა, გადასახადების ამოღების გაუმჯობესებაზე მიუთითებს. ფინანსთა სამინისტროს გამოვლებით, რომლებიც ითვალისწინებს ინფლაციისა და ეონომიკური ზრდის მაჩვენებლებს, ადმინისტრირების გაუმჯობესების გარეშე საგადასახადო დეპარტამენტის მიერ ამოღებული გადასახადების ნომინალური ზრდა 8,1 პროცენტი უნდა ყოფილიყო. ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებელი უნდა მივაწეროთ ადმინისტრირების გაუმჯობესებას. სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავლების 38 პროცენტიანი ზრდა ადმინისტრირების გაუმჯობესებასთან ერთად ასახავს საკანონმდებლო ცენტრულებებს რომლებმაც ერთ დასაქმებულზე მინიმალური სოციალური შენატანი 16 ლარამდე გაზარდა. ანალოგიურად იმპორტის და სავალუტო კურსის ცენტრულებების გათვალისწინებით, ფინანსთა სამინისტროს გათვლებით, იმპორტზე გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ნომინალური ზრდა ადმინისტრირების გაუმჯობესების გარეშე 15 პროცენტი უნდა ყოფილიყო.

საგადასახადო შემოსავლები ცალკეული გადასახადის მიხედვით მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 3.2: ცენტრალური ბუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, 2001 წლის I ნახევარი (მილიონი ლარი)

	2001 წლის I ნახევარი გეგმა	2001 წლის I ნახევარი ფაქტიური	გეგმის შესრულება (პროცენტი)	2000 წლის I ნახევარი ფაქტიური	ნომინალური ზრდა წლის განმავლობაში (პროცენტი)
საგადასახადო შემოსავლები	251,6	226,0	89,8	195,7	15
საშემოსავლო გადასახადი	8,0	8,4	106,2	17,2	-51
მოგების გადასახადი	5,8	3,2	54,7	14,5	-78
დღგ	153,2	154,3	100,7	115,5	34
ადგილობრივ პროდუქციაზე იმპორტზე	91,9	93,4	101,6	72,0	30
აქციები	61,3	60,9	99,4	43,5	40
ადგილობრივ პროდუქციაზე იმპორტზე	62,7	39,3	62,7	33,6	17
ადგილობრივ პროდუქციაზე იმპორტზე	6,8	10,7	156,8	4,5	138
საბაჟო გადასახადი	55,9	28,6	51,2	29,1	-2
	34,7	30,9	89,2	14,6	112

წერილი: ფინანსთა სამინისტრო

საშემოსავლო და მოგების გადასახადების უარყოფითი ზრდა ასახავს საკანონმდებლო ცენტრულებებს. ამჟამად ცენტრალური ბიუჯეტი ამ გადასახადების ნაკლებ პროპორციას იღებს წინა წელთან შედარებით. კველა დონის ბიუჯეტისთვის საშემოსავლო გადასახადის ადმინისტრირება გაუმჯობესდა 20 პროცენტით, ხოლო მოგების გადასახადიდან შემოსავლები 30 პროცენტით შემცირდა. მოგების გადასახადის შემცირება ნაწილობრივ განპირობებულია მისი ადმინისტრირების სირთულით, მეორე ქმნივ ეს შეიძლება ჩავთვალით სამეწარმეო სექტორის რეაქციად გზრდილ ფაქტიურ საგადასახადო დატვირთვაზე სხვა გადასახადების მხრიდან.

დღგ-ს ამოდება როგორც ადგილობრივ ასევე იმპორტირებულ პროდუქციაზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ნომინალურმა ზრდამ შესაბამისად 30 და 40 პროცენტი შედგინა. მაკროეკონომიკური ცვლილებების გათვალისწინებით, ფინანსთა სამინისტრო თვლის, რომ ადმინისტრიული გაუმჯობესება ადგილობრივი დღგ-ს ამოდებაში 14,7 პროცენტია, იმპორტზე კი 9,9 პროცენტი. ეს განსხვავება ასახავს ადმინისტრაციული რეფორმის მიმდინარეობას, რომელიც საგადასახადო დეპარტამენტში უფრო ადრე დაიწყო ვიდრე საბაჟო დეპარტამენტში. ასეთივე მდგომარეობაა აქციზთან მიმართებაში, სადაც ადგილობრივი პროდუქციიდან შემოსავლების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, იმპორტიდან კი მხოლოდ ნახევრად.

შემოსავლები აქციზური საქონლიდან

აქციზის ადმინისტრირება კვლავ პრობლემატურია. ცენტრალურმა ბიუჯეტმა ნავთობპროდუქტების დაბეგვრიდან 38,8 მილიონი ლარი მიღიო, საიდანაც 20,7 მილიონი ლარი არის დღგ ხოლო 18,2 მილიონი ლარი აქციზი. ეს ორჯერ აღემატება წინა წლის შემოსავლებს. მიუხედავად ამისა ბენზინიდან მიღებულმა შემოსავლებმა დაგეგმილის 88 პროცენტი შეადგინა, სხვა ნავთობპროდუქტებიდან კი მხოლოდ 44 პროცენტი. საბაჟოს ადმინისტრაციაში აშკარაა გაუმჯობესება, მაგრამ იდეალურისგან ჯერ შორსაა რადგან ნავთობპროდუქტების რეგისტრირებული იმპორტი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ნავთობპროდუქტების მოხმარების მაჩვენებლებს. შემოსავლების გეგმა იმპორტირებული თამბაქოდან მხოლოდ 23,2 პროცენტით შესრულდა. აქციზის სახით მიღებული მიღებული 6,6 მილიონი ლარი 4,5 მილიონი ლარით ჩამორჩება წინა წლის შესბამის მაჩვენებელს. მთლიანობაში თამბაქოს პროდუქტების დაბეგვრიდან ცენტრალურმა ბიუჯეტმა 14,4 მილიონი ლარი მიიღო. ალკოჰოლური სასმელების დაბეგვრიდან შემოსავლებმა 1,7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც ძირითადად ადგილობრივი პროდუქციაზე მოდის.

საეციალური სახელმწიფო უონდები

სპეციალური სახელმწიფო ფონდების საკუთარი შემოსავლები 107,8 მილიონი ლარი უნდა ყოფილიყო. გეგმა 87 პროცენტით შესრულდა და მიღებულმა თანხამ 94 მილიონი ლარი შეადგინა.

ცხრილი 3.3: სახელმწიფო გაერთიანებული სოციალური უზრუნველყოფის ფონდის შემოსავლები და ხარჯები, 2001 წლის I ნახევარი

(მილიონი ლარი)

შემოსავლები	97,3
გადასახადები	75,5
ტრანზერი ცენტრალური ბიუჯეტიდან	21,8
ხარჯები	96,7
პენსიები	91,8
სოციალური დახმარებები	3,5
ადმინისტრაცია	1,4
ანგარიშები დარჩენილი თანხა	0,6

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო გაერთიანებული სოციალური უზრუნველყოფის ფონდის საკუთარი შემოსავლები (სოციალური გადასახადები) დაგეგმილზე 9 მილიონი ლარით ნაკლები იყო, მაგრამ მაინც აღემატებოდა წინა წლის მაჩვენებელს. ფინანსთა სამინისტროს გამოთვლებით, ადმინისტრაციული გაუმჯობესება ამ შემოსავლების მობილიზაციის 9,4 პროცენტი იყო. ფონდმა ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერტის მხოლოდ 80 პროცენტი მიიღო. პენსიები დაფინანსდა 90 პროცენტით, სხვადასხვა სოციალური დახმარებები კი მხოლოდ 67 პროცენტით. ადმინისტრაციულმა ხარჯებმა ფონდის მთლიანი ხარჯების 2 პროცენტი ნაკლები შეადგინა.

საპირისპიროდ, დასაქმების ფონდში შემოსავლების ადმინისტრირება 11 პროცენტით გაუარესდა. ეს გასაკვირია, რადგან სოცუზრუნველყოფის ფონდი და დასაქმების ფონდი ერთი საგადასახადო ბაზიდან ივსება. ადმინისტრაციული გაუმჯობესების სხვადასხვა დონე მიუთითებს გადამხდელების (დამქირავებლების) დაბალ ფინანსურ დისციპლინაზე და საგადასახადო ორგანოების უუნარობაზე გააკონტროლონ ისინი. დასაქმების ფონდის შემოსავლებმა 2,3 მილიონი ლარი შეადგინა ნაცვლად დგეგმილი 2,6 მილიონისა. უმუშევართა დახმარების პროგრამები 28,7 პროცენტით დაფინანსდა; დროებითი დასქმების პროგრამები – 66,7 პროცენტით ხოლო დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები – 37,5 პროცენტით. 2000 წლის პირველ ნახევარში ფონდის მთლიანმა ხარჯებმა 1,1 მილიონი ლარი შეადგინა დაგეგმილი 2,5 მილიონი ლარის ნაცვლად. პერიოდის ბოლოს ფონდის ანგარიშზე ირიცხებოდა 1,1 მილიონი ლარი.

საგზაო ფონდმა დაგეგმილი 20 მილიონი ლარის ნაცვლად 16 მილიონი ლარი მიიღო. დანაკლისის მთავარი მიზეზი დაბალი აქციზური შემოსავლები იყო. ფონდის ხარჯებმა 15,6 მილიონი ლარი შეადგინა, საიდანაც 11 მილიონი ლარი გზების მოვლაზე დაიხარჯა, 1,1 მილიონი ლარი გადაერიცხა სხვადასხვა ორგანიზაციებს წინა წლებში მოწოდებული საქონლისა და მომსახურებისათვის. 1,7 მილიონი ლარი მიმართულ იქნა საერთაშორისო კრედიტებით დაფინანსებული პროგრამების თანადაფინასებაზე.

სახელმწიფო პირველ ნახევარში დაფინანსება

2001 წლოს პირველ ნახევარში, სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებდა 72 მილიონ ლარს დეფიციტის დაფინანსების წყაროებში. პერიოდის განმავლობაში შემოსავლები გაუთვალისწინებლად დაბალი იყო როგორც პრივატიზაციიდან, ასევე სახაზინო ვალდებულებებიდან და საგარეო წყაროებიდან. ამის გამო ეროვნულმა ბანკმა ბიუჯეტს გაუთვალისწინებელი 24 მილიონი ლარის კრედიტი გამოუყო. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 63 მილიონი ლარით დაფინანსდა, რაც დაგეგმილის 87 პროცენტია. ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების დეტალური მაჩვენებლებია მოყვანილობა ქვემოთ ცხრილში.

**ცხრილი 3.4: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროები
(მიღიონი ლარი)**

	2001 წლის I ნახევარი გეგმა	2001 წლის I ნახევარი ფაქტიური	გეგმის შესრულება პროცენტი
ეს დეფიციტის დაფინანსება	72,6	63,2	87,1
ადგილობრივი წყაროები	9,9	32,3	325,6
ქინების პრივატიზაცია	4,5	2,1	52,7
სახაზინო ვალიდურებები	5,4	4,6	14,2
ეროვნული ბანკის კრედიტი	-	24,1	-
წინა წლის ბალანსი	-	5,0	-
საგარეო წყაროები	62,7	31,8	49,2
სტრუქტურულ გარდაქმნათა კრედიტი	30,4	-	-
მხრივით ბანკის ინვესტიციური კრედიტი	32,3	30,8	95,5

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო პირების ხარჯები

თავდაპირველი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი 1 120,8 მიღიონი ლარის ხარჯებს ითვალისწინებდა. მოგვიანებით მარტში ბიუჯეტში შევიდა ცვლილებები და წლიური ხარჯები განისაზღვრა 1 195,6 მიღიონი ლარის ოდენობით. აქედან 997,6 მიღიონი ლარი ცენტრალურ ბიუჯეტზე მოდიოდა. ბიუჯეტის ცვლილებები ძირითადად ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების ზრდას მიეკუთვნება შემდეგ კატეგორიებში : 65 მიღიონი ლარი ეროვნული ბანკისთვის ძირითადი თანხის დაბრუნებას, 3 მიღიონი პრეზიდენტის ფონდს ლტოლვილთა მიერ მოხმარებული ელოქტროენერგიის საფასურის დასაფარავად და 1,6 მიღიონი ლარი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.

წლის პირველი ნახევრისთვის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 381,4 მიღიონი ლარის ოდენობით რაც წლიური გეგმის 38 პროცენტია. ასეთი დაბალი პროპორცია განპირობებულია მოსალოდნებლი მნიშვნელოვანი ხარჯებით წლის მეორე ნახევარში. საგარეო ვალის ძირითადი და მომსახურების თანხების ორ მესამედზე მეტი წლის მეორე ნახევარზე მოდის. ეროვნული ბანკისთვის ძირითადი თანხის გასტუმრება 65 მიღიონი ლარის ოდენობით მთლიანად წლის მეორე ნახევარში უნდა მოხდეს.

ვაქტიურმა ხარჯებმა წლის პირველ ნახევარში 305 მიღიონი ლარი შეადგინა, რაც გეგმით გათვალისწინებულის 81 პროცენტია. მიუხედავად ამისა, წინა წელთან შედარებით 31,5 მიღიონი ლარით მეტი დაიხსარჯა. პრიორიტეტი ენიჭებოდა სოციალურ ხარჯებს. სოციურუნველყოფის მუხლით დახარჯული 48,2 მიღიონი ლარი ბუჯეტით გათვალისწინებულის 91 პროცენტია. ამის საპირისპიროდ, ჯანდაცვამ და განათლებამ დაგეგმილთან შედარებით ყველაზე ნაკლები დაფინანსება მიიღო, დაახლოებით 12 მიღიონი ლარი თითოეული კატეგორიისთვის შესაბამისად გეგმის 67 და 66 პროცენტს შეადგენდა. 2001 წელს განათლების ზოგიერთი დაწესებულება ცენტრალური ბიუჯეტიდან თბილისის მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე გადავიდა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, განათლების ხარჯები 2001 წელს აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. ხარჯები ჯანდაცვაზე ორჯერ მეტი იყო წინა წელთან შედარებით.

უსაფრთხოება მთლიანი ბიუჯეტის შესრულების შესაბამისად დაფინანსდა. თავდაცვაშ 16 მიღიონი ლარი მიიღო რაც გეგმით გათვალისწინებულის 83 პროცენტია, კანონიერება და წერიგი (პოლიცია, სასამართლოები და ა.შ.) 36,5 მიღიონი ლარით ანუ გეგმის

81 პროცენტით დაფინანსდა. ორივე კატეგორიისთვის ფაქტიური ხარჯები წინა წელთან შედარებით 52 პროცენტით გაიზარდა.

ყველაზე დიდი ხარჯებით კატეგორია “სხვა ხარჯები” ძირითადად შედგება საგარეო გალის გადახდისაგან და ადგილობრივ ბიუჯეტიების ტრანსფერტებისგან. ამ კატეგორიით გაწეული 96 მილიონი ლარის ხარჯები 7 მილიონი ლარით ჩამორჩება 2000 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

თავდაპირველი ბუჯეტის 66 პროცენტი მოდიოდა დაცული მუხლების დაფინანსებაზე. ფაქტიურ ხარჯებში დაცული მუხლების წილმა 72 პროცენტი შეადგინა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხელფასს იღებს დაახლოებით 150 000 ადამიანი, 270 000 სარგებლობს სხვადასხვა ტიპის დახმარებით, 900 000 არის პენსიონერი, 50 000 იღებს ფულს ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის გაწეული ტრანსფერტებიდან. მთლიანობაში საქართველოს მოსახლეობის თითქმის მესამედისთვის (1,4მილიონი ადამიანი) სახელმწიფო ბიუჯეტი არის შემოსავლის წყარო. სახელმწიფო ვალის მირითადი და საპროცენტო თანხების გადახდა კიდევ ერთი მსხვილი დაცული მუხლია. ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით მოყვანილი ცხრილში ქვემოთ.

**ცხრილი 35: ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით,
2001 წლის I ნახევარი**

(ათასი ლარი)

კატეგორია	ფაქტიური ხარჯი	გეგმის შესრულება (პროცენტი)
ხელფასები	35 322	83
სოციალური ანარიცხები	7 706	77
მივლინებები	2 161	71
სხვა ხაქტნები და მომსახურება	38 461	64
პროცენტების გადახდა	53 907	85
სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერტები	107 643	89
კაპიტალური ხარჯები	642	40
მიზნით პროგრამები	11 692	55
წმინდა დაკრედიტება	48 312	83
სულ	305 846	80

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

ხელფასის ხარჯები 59 პროცენტით ადგემატება წინა წლის მაჩვენებელს, მივლინებებზე კი 10 პროცენტით ნაკლები დაიხარჯა. სხვა ხარჯების და მომსახურების მუხლით ოფისების შენახვა გეგმის 59 პროცენტით დაფინანსდა, კომუნალური ხარჯები – 73 პროცენტით. კვების პროდუქტების შეძენაზე დაგევმიდინის 94 პროცენტი გამოიყო. წინა წლებისგან განსხვავებით სახელმწიფოს ხარჯით პრიორიტეტებში იგრძნობა სოციალური ორიენტაცია.

პროცენტების გადახდის მუხლში 21 მილიონი ლარი იყო საგარეო ვალის მომსახურება, ხოლო 31,6 მილიონი ლარი გადახდილ იქნა ეროვნული ბანკისთვის. 11,5 მილიონი ლარი დაიხარჯა საგარეო ვალის მირითადი თანხის გადახდაზე წმინდა დაკრედიტების კატეგორიაში.

თავი მეოთხე. ფული და ზონასები

ფულად საპრედიტო ინსტრუმენტები

სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებები

2001 წლის ბიუჯეტის დეფიციტის შეგსების პროგრამული მაჩვენებელი 20 მილიონი ლარით განისაზღვრება, რაც წლის განმავლობაში საშუალოდ 65-70 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულებების ემისიას საჭიროებს. სახაზინო ვალდებულებების ემისია ხდება ფინანსობა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მიერ ერთობლივად შემუშავებული საქმისიო კალენდრის მიხედვით. მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში ჩატარდა 14 28-დღიანი სახაზინო ვალდებულებების აუქციონი 18 მილიონი ლარის მთლიანი ემისიის ოდენობით და 12 91-დღიანი სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. ემისიის ნომინალურმა თანხამ 18,6 მილიონი ლარი შეადგინა. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს ემისიების მოცულობას, მოთხოვნას და აუქციონებზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთებს. 2001 პირველ ნახევარში მთლიანად დაიფარა 2000 წლიდან გადმოსული დავალიანება საერთო თანხით - 6.2 მილიონი ლარი.

ცხრილი 4.1.: სახაზინო ვალდებულებების აუქციონების შედეგები, 2001 იანვარი-აგვისტო

ვადიანობა	თარიღი	ემისიის მოცულობა (ლარი)	მოთხოვნა (ლარი)	საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი (%)
28 დღიანი	10-01-01	1,000,000	1,650,000	19.77
	31-01-01	1,800,000	4,080,000	16.54
	21-02-01	1,750,000	1,950,000	18.17
	21-03-01	1,800,000	980,000	26.82
	28-03-01	1,000,000	350,000	26.82
	18-04-01	1,050,000	1,050,000	28.77
	25-04-01	550,000	992,300	26.54
	16-05-01	1,100,000	1,389,000	28.75
	30-05-01	1,000,000	1,293,000	32.16
	13-06-01	1,500,000	3,213,100	27.95
	27-06-01	1,500,000	3,525,000	20.39
	18-07-01	1,500,000	1,335,500	20.55
	8-08-01	1,000,000	2,050,500	22.37
	15-08-01	1,500,000	2,351,500	22.16
91 დღიანი	7-02-01	1,500,000	1,700,000	21.28
	28-02-01	1,950,000	800,000	20.97
	7-03-01	1,950,000	1,300,000	32.45
	10-05-01	1,600,000	2,366,100	32.28
	23-05-01	1,000,000	1,911,000	31.41
	6-06-01	1,500,000	1,744,400	41.44
	4-07-01	1,000,000	1,744,400	21.07
	11-07-01	2,000,000	3,022,500	21.32
	25-07-01	1,750,000	1,704,000	28.85
	8-08-01	1,750,000	1,962,300	40.96
	22-08-01	1,300,000	1,962,300	31.60
	29-08-02	1,300,000	1,220,600	34.35

წერილი: საქართველოს ეროვნული ბანკი

2001 წლის პირველ კვარტალში ლარის კურსისა და სავაჭრო ბალანსის გაუარესებამ საინვესტიციო რისკის ზრდა გამოიწვიეს. შესაბამისად დაეცა მოთხოვნა სახაზინო ვალდებულებებზე. მიწოდება აჭარბეგდა მოთხოვნას, განსაკუთრებით 91-დღიან სახაზინო ვალდებულებებზე (იხ. ცხრილი).

სახაზინო ვალდებულებების აუქციონებზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები ცვალებადობით ხასიათდებოდა. იანვრიდან მაისამდე საპროცენტო განაკვეთები ორივე ვაღიანობის ფასიან ქაღალდებზე ზრდის ტენდენციას ასახავდა. ზაფხულიდან, როდესაც სეზონურად იზრდება საქმიანი აქტივობა, კომერციული ბანკები უფრო დიდ ინტერესს იჩენენ სახაზინო ვალდებულებების მიმართ. ივნისიდან მოთხოვნა სახაზინო ვალდებულებებზე გაიზარდა და შემცირდა დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები, მაგრამ შემდეგ თვეებში, წლის ბოლომდე, შესაძლებელია, რომ საპროცენტო განაკვეთები კალავ გაიზარდოს. წლის ბოლომდე ბიუჯეტის დეფიციტის 5-7 მილიონი ლარით შესავსებად ფინანსთა სამინისტროს 35-40 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულებების ემისია ესაჭიროება. ამ პირობებში დიდია აღბათობა იმისა, რომ ემისის მოცულობა კვლავ გადააჭარბებს არსებულ მოთხოვნას, რაც საპროცენტო განაკვეთების ზრდით ხასიათდება.

2001 წლის დასაწყისიდან შეიცვალა სახაზინო ვალდებულებების ბაზრის სტრუქტურა. 2001 წლის მარტში ერთი კომერციული ბანკი ემიტირებული სახაზინო ვალდებულებების 75 პროცენტს ფლობდა. სებ-ის მონაცემებზე დაყრდნობით, აგვისტოში ამ ბანკის წილი 25 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო ემიტირებული სახაზინო ვალდებულებების დანარჩენი რაოდენობა სხვა სამ შევილ კომერციულ ბანკს მორის განაწილდა.

სახაზინო ვალდებულებების მოერადი ბაზარი ისევ განუვითარებელია. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველ რიგში, მცირეა ემისიების მოცულობა. ბაზარი დივერსიფიცირებული არ არის, ვინაიდან ინვესტორებს მხოლოდ საბანკო ინსტიტუტები წარმოადგენენ და მისი რიცხვი ძალზე მცირეა. სერიოზულ შეფერხებას წარმოადგენს შეორად ბაზარზე გაყიდული სახაზინო ვალდებულებების შემოსავლის დაბეგვრა, რომელიც 20 პროცენტს შეადგენს, მაშინ როდესაც პირველად ბაზარზე ანალოგიური გარიგებიდან მიღებული შემოსავალი 10 პროცენტით იბეგრება.

რეალ ბარიგებები

2001 წლის პირველ კვარტალში ჩატარდა მხოლოდ ორი რეპო გარიგება სახაზინო ვალდებულებებით. იმის გამო, რომ სებ-ის მიერ პირველად ბაზარზე სახაზინო ვალდებულებების შესყიდვა მთავრობის ვალის მომსახურების ხარჯებს ზრდის, ეროვნული ბანკი ვერ ახორციელებს უშუალოდ ფინანსთა სამინისტროსგან სახაზინო ვალდებულებების შეძენის გზით საკუთარი პორტფელის შექმნას. ამის გამო, კომერციული ბანკებისათვის რეპო შეთავაზება ვერ ხორციელდება.

2001 წლის აპრილიდან სებ-მა უკურებო ოპერაციების გამოცხადება დაიწყო, რაც ნიშნავს რომ კომერციული ბანკები მიჰყიდიან ეროვნულ ბანკს სახაზინო ვალდებულებებს მოკლე ვადით მათი შემდგომი გამოსყიდვის ვალდებულებებით. ეს ოპერაციები საშუალებას აძლევს კომერციულ ბანკებს გამოიყენონ მათ ხელთ არსებული სახაზინო ვალდებულებები მოკლევადიანი ლიკვიდურობის შესაძენად, ხოლო ეროვნულ ბანკს - შექმნას თავისი პორტფელი. მაგრამ აპრილიდან აგვისტომდე მხოლოდ ერთ რეპო გარიგებას ჰქონდა ადგილი (იხ. შემდეგი ცხრილი). ეს ფაქტი იმის მანიშნებელია, რომ კომერციული ბანკები, რომელთაც

გააჩნიათ სახაზინო ვალდებულებების პორტფელი, არ საჭიროებენ დამატებით ლიკვიდურობას.

ცხრილი 4.2: უკუ რეპო აუქციონების შედეგები, 2001 წ.

თარიღი	გარიგებების მოცულობა (ლარი)	გარიგებების რაოდენობა	ვადიანობა (დღეები)	წლიური საპროცენტო განაკვეთი (პროცენტი)
13.08.01	5,000	1	7	7

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორისი საპრედიტო აუქციონები

ცხრილი 43: ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონების შედეგები, 2001 წ. აპრილი-აგვისტო

თვე	მოცულობა (ლარი)				(%-ით) წლიური საპროცენტო განაკვეთი			
	7-დღიანი	30-დღიანი	60-დღიანი	90-დღიანი	7- დღიანი	30-დღიანი	60-დღიანი	90-დღიანი
აპრილი	0	727 000	0	0	-	18.5	-	-
მაისი	0	389 000	0	480 000	-	16.5	-	20
ივნისი	1000 000	197 000	0	180 000	5	14	-	15
ივლისი	0	330 000	0	165 000	-	15	-	14
აგვისტო	0	850 000	0	0	-	25	-	-

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2001 წლის 7 ივნისს ჩატარდა ერთი 7-დღიანი საკრედიტო რესურსების აუქციონი 1 მილიონი ლარის მოცულობით. სებ-მა მთლიანი თანხა შეისყიდა. ამ ვადიანობის საკრედიტო რესურსების აუქციონების ბაზრის სტაგნაციის მიზეზი შეიძლება იყოს ის ფაქტი რომ არსებული საპროცენტო განაკვეთის პირობებში (საშუალო შეწონილი წლიური 5 პროცენტი) ლიკვიდურობის მქონე ბანკებს ამგვარი ფულადი დაბანდება არ მიაჩნიათ მომგებიანად.

2001 წლის აპრილ-აგვისტოში 30-დღიან საკრედიტო რესურსების აუქციონების მოცულობამ 2.5 მილიონ ლარს შეადგინა, სადაც მხოლოდ 26 ათასი ლარი შესყიდული იყო ეროვნული ბანკის მიერ. დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და 30 აგვისტოს 23 პროცენტები დაფიქსირდა.

2001 წლის აპრილ-აგვისტოში 90-დღიან საკრედიტო რესურსების აუქციონების მოცულობამ 825 ათას ლარს შეადგინა, სადაც 710 ათასი ლარი ბანკთაშორისი ვაჭრობა იყო. ეროვნულმა ბანკმა 115 ათასი ლარი შეიძლო. საპროცენტო განაკვეთი ამ ვადიანობის აუქციონებზე უფრო დაბალი იყო ვიდრე 30-დღიანზე და მაისში დაფიქსირებული 20 პროცენტიდან ივნისში 14 პროცენტამდე შემცირდა. აგვისტოში 90-დღიანი აუქციონები არ ჩატარებულა.

ვალუტის ბაცვლითი კურსი და უცხოური ვალუტის აღგილობრივი ბაზარი.

2001 წლის პირველ კვარტალში უცხოური ვალუტის საზონურმა გადინებამ (იმპორტის გადასახადები), ექსპორტის (ანუ ვალუტის შემოდინების წყარო) შემცირებამ და ბიუჯეტში საგადასახადო შემთხვევების სიმცირემ გამოიწვიეს ლარის კურსის დაცემა. 2001 წლის 22 თებერვალს ლარი/აშშ დოლარის კურსმა 2,1650-ს მიაღწია, რაც ლარის ნომინალური კურსის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო 1999 წლის დასაწყისიდან. საშუალო თვიურმა

კურსმა თებერვალში 2,0636 შეადგინა. მარტში ლარის საშუალო ოფიციალურმა კურსმა აშშ დოლარის მიმართ 2,0651 შეადგენდა. შემდეგ თვეებში ლარის ნომინალური კურსი არ ხასიათდებოდა ზრდის სტაბილური ტენდენციით. აპრილიდან აგვისტომდე კურსი მერყეობდა ვიწრო კორიდორში. ნომინალური კურსის ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა არ იქონიეს ფასების დონეზე.


2001 წლის აპრილში ლარის აშშ დოლარის მიმართ მინიმალური კურსი 2,0700-ს შეადგენდა, ხოლო საშუალო ოფიური კურსი 2,0511 იყო.

მაისში ლარის კურსის მაქსიმალურმა დაცემამ აშშ დოლარის მიმართ 2,0801-ს შეადგინა, საშუალო ოფიური კურსი კი 2,0654-ს შეადგენდა.

ინგისში სუშუალო ნომინალური კურსი ლარი/აშშ დოლარი 2,0600 იყო, ხოლო ივლისში ის 2,0670-მდე დაიწია. აგვისტოში ლარის ოფიციალური კურსი ისევ გაიზარდა და 2,0643-ს მიაღწია. სავარაუდოა, რომ შემდეგ თოს თვეში ნომინალური კურსის მერყეობა ლარი/აშშ დოლარი 2,0700-ს ფარგლებში მოხდება.

2001 წელს სებ-მა გააგრძელა გაცვლითი კურსის დადგენაში ჩაურევლობის (თავისუფალი კურსის) პოლიტიკა; ამავე დროს იგი იძენდა ვალუტას ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების შევსების მიზნით იმ დონემდე, რომელიც უდრის ქვეყნის მიერ 1,025 თვის განმავლობაში განხორციელებული საქონლისა და მომსახურების იმპორტს. 2001 წლის იანვარ – აგვისტოს განმავლობაში სებ-მა შეიძინა 26 მილიონი □აშშ დოლარი.

ნახ. 4.1: 01ბსბ-ს ვაჭრობა და სებ-ის მიერ შეძენილი ვალუტის მოცულობა.



2001 წ. იანვარი-აგვისტო


წერილი: სებ-ის გათვალები ხაძართვების ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის გარეთ არსებულ ბაზრზე კომერციული ბანკების უმსხვილესი პარტნიორები იურიდიული და ფიზიკური პირები არიან. ყოველ თვე კომერციული ბანკების მთლიანი გაყიდული ვალუტის 50 პროცენტი იურიდიულ პირებზე

მოდის, ხოლო კომერციული ბანკები მთლიანი ნაყიდი ვალუტის 65 პროცენტს იურიდიული პირებისგან ყიდულობენ. ფიზიკური პირების წილი გაყიდული ვალუტის საერთო თანხაში 40 პროცენტს შეადგენენ, ხოლო ნაყიდი ვალუტის საერთო თანხაში კი 25 პროცენტს.

ფულის მიწოდება

სახ. 4.2: ფულის მიწოდება, 2000 წ. დეკემბერი - 2001 წ. ივლისი



წერთ: ხელმისაწვდომი მონაცემები აღნიშნულია ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით.

2001 წელს სებ-მა გააგრძელა მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს წმინდა ადგილობრივი აქტივების კონტროლს პროგრამული მაჩვენებლების ფარგლებში ინფლაციური ემისიის თავიდან ასაცილებლად. 2001 წლის იანვრიდან ივლისამდე მიმოქვევაში არსებული ფულის მასა 14,7 მილიონი ლარით გაიზარდა. ამავე პერიოდში ბანკების გარეთ არსებული ფული 7,3 მილიონი ლარით გაიზარდა, სადეპოზიტო გალდებულებები კი - 27,6 მილიონი ლარით. ამის შედეგად M3 35,1 მილიონი ლარით გაიზარდა, მაშინ როდესაც M2 - 1,3 მილიონით.

ცხრილი 4.4: ფულის კოეფიციენტები

	2000	2001					
		იან	თებ	მარ	აპრ	მაი	ივნ
საფალდებულო რეზერვები/ქ/ბ-ს ხადეპოზიტობის ფასოდებულები (%)	12.8	13.2	14	13.6	14.3	14.1	14.5
ქ/ბ-ს საერთო დენეგრიუმი ანგარიში სებ-ში/ქ/ბ-ს ხადეპოზიტო გალდებულებები (%)	7.6	6.9	3.7	2.8	1.6	2.9	4.5
ნაღდებული კომერციულ ბანკებში/ ქ/ბ-ს ხადეპოზიტო ფასოდებულები (%)	4.7	5.4	6.5	5	5.6	5.1	5.8
ქ/ბ-ს შოთანი რეზერვები/ ქ/ბ-ს ხადეპოზიტო ფასოდებულები (%)	25.1	24.4	24.1	20.9	21.8	21.9	24.5
სოფორის აოცილი კომერციული (%)	77.9	81.5	81.9	83.3	83.7	82.3	81.5
ფულის მუდრობის დატოვო (2)	0.98	0.94	0.95	0.96	0.96	0.96	0.95
ფულის მუდრობის დატოვო (3)	1.58	1.6	1.61	1.66	1.66	1.66	1.61

წერთ: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2001 წლის იანვრიდან ივლისამდე დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 33,8 მილიონი ლარით გაიზარდა, ხოლო დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 6 მილიონით შემცირდა. დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი ისევ მაღალი რჩება: აპრილში იგი

83,7 პროცენტამდე ავიდა, მაგრამ შემდგომ შემცირდა და ივლისში 81,5 პროცენტს შეადგენდა. M2 ფულის მულტიპლიკატორი ერთზე ნაკლებია, M3 კი წლის დასაწყისიდან ივნისამდე 1,66-მდე გაიზარდა, ივლისში კი 1,61-მდე შემცირდა.

შიდა ინფლაცია

2001 წლის "2001 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებში" დაგემილი ინფლიაციის დონე წლიური 6 პროცენტით განისაზღვრა.

2001 წლის მაისში, ივნისში და ივლისში დაფიქსირდა დეფლაცია (სულ - 2,1 პროცენტი) რაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის სეზონური გაიაფებით იყო გამოწვეული. შვიდი თვის განმავლობაში სვი 2 პროცენტით გაიზარდა, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ინფლიაციის პროგრამული წლიური დონე დაცული იქნება.

ცხრილი 4.5: სამომხმარებლო ფასების ინდექსი და ინფლაცია

(1998 წ. დეკემბერი=100)


(პროცენტი)

პერიოდი		ფასების ინდექსი	ინდაციის დონე
			წინა პერიოდთან შედარებით
2000	იან	111,30	0,40
	თებ	109,30	-2,00
	მარ	109,20	-0,10
აპრ	აპრ	109,00	-0,20
	მაი	108,90	-0,10
	ივნ	108,60	-0,30
ივლ	ივლ	108,30	-0,30
	აგვ	109,50	1,20
	სექ	111,30	1,80
ოქტ	ოქტ	112,50	1,20
	ნოე	112,56	0,6
	დეკ	113,06	0,5
2001	იან	111,13	0,7
	თებ	113,19	0,6
	მარ	113,19	0,0
აპრ	აპრ	114,19	1,0
	მაი	113,19	-1,0
	ივნ	113,15	-0,4
ივლ	ივლ	113,08	-0,7

წერილი: სემ-ის გათვალისწინების სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების დაყრდნობით.

საპროცენტო განაკვეთები

ნახ. 4.3: საპროცენტო განაკვეთები, 1995 წ. დეკემბერი – 2001 წ. ივნისი



წერო: სეზოს გათვალისწინებული გროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით.

2001 წელს აპრილიში და მაისში ლარებში გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთები უფრო მაღალი იყო, ვიდრე საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაში. ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ლარებში სტაბილური იყო, უცხოურ ვალუტაში კი შემცირებისაკენ ტენდენციით ხასიათდებოდა.

საბანკო სექტორი

სესხებიდან მიღებული შემოსავლები კომერციული ბანკების შემოსავლების ძირითად წეროს წარმოადგენს. 2001 წლის იანვრიდან ივნისამდე პროცენტული შემოსავალი იურიდიული პირების სესხებიდან 65 პროცენტს წარმოადგენდა პროცენტული და სხვა შემოსავლებიდან, მაშინ როდესაც პროცენტული შემოსავალი ფიზიკური პირების სესხებიდან 34 პროცენტს წარმოადგენდა. პროცენტული შემოსავალი ბანკთაშორისი სესხებიდან მხოლოდ 1 პროცენტს შეადგენდა.

საქართველოში არაპროცენტული შემოსავლის წილი 45 პროცენტია, რაც ნაკლებია სესხებიდან მიღებულ შემოსავლებზე, თუმცა ეს წილი ბოლო წლების მანძილზე გაიზარდა. არაპროცენტულ შემოსავლში გაწეული მომსახურებიდან მიღებული საკომისიოებისა და შემოსავლების წილი 33 პროცენტია მთლიანი არაპროცენტული შემოსავლებიდან, საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება 13 პროცენტს შეადგენს. 2001 წლის იანვრიდან ივნისამდე არაპროცენტული შემოსავლის უდიდესს წეროს (53 პროცენტს) წარმოადგენდა შემოსავალი სხვა არაპროცენტული შემოსავლის ოპერაციებიდან, რაც ძირითადათ უცხოურ ვალუტაში აქტივების გადაფასებას მოიცავს.

კომერციული ბანკების სესხების სტრუქტურა ეკონომიკის სექტორების მიხედვით შეუცვლელი რჩება. ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, 2001 წლის ივნისში სესხების 69 პროცენტი გაცემული იყო ვაჭრობაზე. მრეწველობაზე გაიცა სესხების 22 პროცენტი. გაცილებით დაბალი იყო მშენებლობის და სოფლის მეურნეობის დაკრედიტება, შესაბამისად - 6 და 3 პროცენტი.


თავი მეხთი. სამრთაშორისო გაფრთხე და საბარეო ეკონომიკური ურთიერთობები

საბაზო ბრუნვა, საგაფრთხო ბალანსი და გაფრთხის მიმართულებები

2001 წლის 1 ნახევარის განმავლობაში საქართველოს საგაფრთხო ბალანსი კიდევ უფრო გაუარესდა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. რეგისტრირებულმა საგარეო ვაჭრობამ მიაღწია 511,1 მილიონ აშშ დოლარს, საიდანც რეგისტრირებული ექსპორტი შეადგენდა 147,1 მილიონს, ხოლო იმპორტი 364 მილიონ აშშ დოლარს. საგაფრთხო დეფიციტი 217 მილიონი აშშ დოლარი არის 83 მილიონით მეტი, ვიდრე ეს იყო 2000 წლის I ნახევარში. ქვეყნის ექსპორტის იმპორტით გადაფარვის კოეფიციენტი ითვლება მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის მდგომარეობისა და მისი საგაფრთხო ბალანსის დამახასიათებელ საუკეთესო მაჩვენებლად. საქართველოს იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი ა.წ. პირველ ნახევარში 40 პროცენტს შეადგენდა იმ დროს როდესაც აღნიშნული კოეფიციენტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდი 51 პროცენტი იყო.

2001 წლის მეორე ნახევარში საქართველოს უარყოფითი საგარეო საგაფრთხო ბალანსი პქნდა 81 პარტნიორ ქვეყანასთან. საგაფრთხო დეფიციტი დსთ-ს ქვეყნებთან შეადგენდა მთელი დეფიციტის 35 პროცენტს.

**ნახ.5.1: რეგისტრირებული ექსპორტი, იმპორტი და საგაფრთხო ბალანსი, 1997 –2001 (II კვ.)
(ათასი აშშ დოლარი)**



წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

ათი ძირითადი საგაფრთხო პარტნიორის წილმა რეგისტრირებულ ვაჭრობაში შეადგინა 75 პროცენტი. როგორც ნაჩვენებია 5.1 ცხრილში, საანგარიშო პერიოდში საქართველოს ძირითადი პარტნიორები იყვნენ თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი და გერმანია. მათზე მოდის საქართველოს მთელი რეგისტრირებული საგაფრთხო ბრუნვის 40 პროცენტი.

მეზობელი ქვეყნების: თურქეთის, რუსეთის და თურქმენეთის ბაზრები კვლავაც რჩება ქართული პროდუქციის გასაღების ძირითად ბაზრებად. მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იყო მნიშვნელოვანი ზრდა ქართული ექსპორტისა თურქმენეთში, რომელმაც შეადგინა 14 მილიონ აშშ დოლარი (ძირითადად საავიაციო ქარხნის ნაწარმი),

საგრძნობლად შემცირდა ექსპორტი ისეთ სტრატეგიულად პარტნიორ ქვეყნებთან, როგორიცაა აზერბაიჯანი, უკრაინა და გერმანია. კერძოდ, აზერბაიჯანში ექსპორტი შემცირდა 20,7 მილიონიდან (2000 წ. პირველი ნახ.) 5,1 მილიონამდე, უკრაინაში 11,5 მილიონიდან 4,8 მილიონ აშშ დოლარამდე, ხოლო გერმანიაში 20,4 მილიონიდან 3,7 მილიონ აშშ დოლარამდე.

ცხრილი 5.1: რეგისტრირებული საერთაშორისო გაჭრობის ტვირთბრუნვა და ვაჭრობის მიმართულება, 2001 წ. I ნახევარი

საერთაშორისო გაჭრობის ტვირთბრუნვა	იმპორტი (CIF)		ექსპორტი (FOB)		სავაჭრო ბრუნვა	
	აშშ დოლარი	პროცენტი	აშშ დოლარი	პროც ენტი	აშშ დოლარი	პროცენტი
სულ	364 039,9	100	146 079,40	100	511 119,3	100
მირიანდი პარტნიორი ქვეყნები (სულ)	267 940,8	73,6	114 408,8	78,3	382 349,3	74,8
რუსეთი	53 334	14,6	30 292,6	20,7	83 626,6	16,4
თურქეთი	50 397,7	13,8	33 090,5	22,6	83 488,2	16,3
აზერბაიჯანი	37 532,6	10,3	5 141,4	3,5	42 674	8,8
გერმანია	33 587,3	9,2	3 716,2	2,5	37 303,5	7,3
უკრაინა	28 393,9	7,8	4 785	3,3	33 178,9	6,5
აშშ	28 904,9	7,9	2 821,3	1,9	31 726,2	6,2
თურქეთი	7 246,1	2	14 338,4	9,8	21 584,4	4,2
გაერთიანებული სამეფო	12416,4	3,4	6 077	4,2	18 493,3	3,6
იტალია	10 054,7	2,8	5 114,2	3,5	15 168,9	3
შვეიცარია	6 073,2	1,7	9 032,2	6,2	15 105,4	3
სხვა	96 099,1	26,4	31670,6	21,7	128 770	25,1

წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

ცხრილი 5.2: საქართველოს რეგისტრირებული იმპორტი რეგიონების, ქვეყნების, და მისი წარმოშობის მიხედვით და ექსპორტი დანიშნულების მიხედვით

2001 პირველი ნახ.	იმპორტი		ექსპორტი	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტი
დსთ (რუსეთის ჩათვლით)	138 955,7	38,2	62 968,2	42,8
ვერკავშირის	90 360	24,8	27 961	19
თურქეთი	50 397,7	13,8	33 090,5	22,5
აშშ	28 904,9	8	2 821,3	2
სხვა	55 421,7	15,2	20 238	13,7

წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ევროკავშირი იყო დასთ-ს შემდეგ მეორე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი. ევროკავშირი გახდა ქართული ექსპორტის თითქმის 20 პროცენტის დანიშნულების ადგილი.

რეგისტრირებული ექსპორტის სტრუქტურა

საქართველოს რეგისტრირებული ექსპორტის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ 12 სასაქონლო ჯგუფი შეადგენდა ქართული ექსპორტის დაახლოებით 74 პროცენტს. 2001 წლის I ნახევარში შავი ლითონების ჯართი და ფეროშენადნობები შეადგენდნენ საქართველოს ექსპორტის 16 პროცენტს. აღნიშნული პროდუქციის გასაღების მთავარი ბაზრები იყო თურქეთი, რუსეთი, იტალია და ესპანეთი.

საერთაშორისო ვაჭრობა და საბარეო ეკონომიკური ურთიერთობები

ძვირფასი ლითონების მადანი, სპილენძის მადანი და კონცენტრატები წარმოადგენდნენ მთელი ექსპორტის 10 პროცენტს. ბელგია და შვეიცარია არიან აღნიშნული პროდუქციის ძირითადი მომხმარებლები.

2001 წლის პირველი ნახევარი გამოირჩეოდა სამხედრო თვითმფინავების ექსპორტის მკვეთრი ზრდით, ძირითადად თურქენებით. აღნიშნულმა ფაქტმა გარკვეულწილად შეცვალა ექსპორტის სტრუქტურა, სახელმომბრ სამხედრო თვითმფრინავების ექსპორტმა მიაღწია მთლიანი ექსპორტის 10 პროცენტს, რაც უდაოდ დადგენით ტენდენციას წარმოადგენს. ეს სექტორი პერსპექტივაში შეიძლება ჩაითვალოს გრძელვადიან საექსპორტო სექტორად, რომელშიც საქართველოს გააჩნია გარკვეული უპირატესობა.

ღვინის ექსპორტი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 22 პროცენტით გაიზარდა. ამ ჯგუფის ექსპორტის დანიშნულების ქვეყნებიდან რუსეთი, უკრაინა, აშშ და სხვ.

სხვა ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფებია: ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები (9,2 პროცენტი), ალუმინი (6,8), თხილი (4 პროცენტი), ნატურალური და მინერალური წყლები, სპილენძის ჯართი და სხვ.

ცხრილი 5.3 გვიჩვენებს რეგისტრირებული ექსპორტის ძირითად სახეობებს პარმონიზებული სასაქონლო სისტემის (HS96) მიხედვით, 2001 წ. I ნახევარი

	2001 წარველი ნახ.	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტი
ექსპორტი - სულ	147 079,4	100
შავი ლითონის ჯართი-7204, ფეროშენადნობები -7202	23 305,6	15,8
ძვირფასი ლითონების მადანი და კონცენტრატები-2616; სპილენძის მადანი და კონცენტრატები- 2603 და სხვ.	14 849,8	10
საფრენი აპარატები და მისი ნაწილები - 8802, 8803	14 174,3	9,6
ყვრძნის ღვინი ნატურალური -2204; მინერალური წყლები- 2201, 2202; ეთილის სპირტი- 2207	13 961,1	9,4
ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები -2709; ნავთობი და ნავთობპროდუქტები -2710; ელექტროგაზი - 2716 და სხვ.	13 630,8	9,2
ალუმინის ნარჩენები და ჯართი-7602; დაუმუშავებელი ალუმინი - 7601 და სხვ.	10 004,0	6,8
კაპარი, ახალი ან გამხმარი - 0802;	5 891,3	4
წყალი, მათ შორის ნატურალური ან მინერალური - 2201, 2202.	5 489,7	3,7
სპილენძის ნარჩენები და ჯართი - 7404	3 859,7	2,6
აზოტის სასუქები -3102.	3 448,3	2,3
სხვა	38 464,8	26,2

წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

რეგისტრირებული იმპორტის სტრუქტურა

იმპორტის სტრუქტურა ხასიათდება თანდათანობითი ცვლილებით. კერძოდ, მექანიკური და ელექტრო მოწყობილობებისა და მათი ნაწილების წილმა მთლიან იმპორტში მიაღწია 16,5 პროცენტს. ეს დადგენითი ტენდენცია შეიძლება ახსნილ იქნას ქართულ ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდით. საკვები პროდუქტების (ხორბალი, ფქვილი და ა.შ.) წილი კი ნელნელა

იქლებს. ოუმცა საქართველოს დამოკიდებულება იმპორტულ ენერგომატარებლებზე კვლავაც მნიშვნელოვანი იყო 2001 წლის პირველ ნახევარში.

ცხრილი 5.4 გვიჩვენებს უმსხვილეს საიმპორტო სასაქონლო ჯგუფებს, რომელთა საერთო წილი რეგისტრირებულ იმპორტში არის 59 პროცენტი. ბუნებრივი გაზისა და ნავთობისა და ნავთობპროდუქტების წილი 2001 წლის პირველი კვარტალის მთლიან იმპორტში იყო 20 პროცენტზე მეტი.

სხვა მთავარი საიმპორტო სახეობებია: მექანიკური და ელ. მოწყობილობები (ერთად 16,5 პროცენტი), სამკურნალო საშუალებები (6,4 პროცენტი), ელექტროენერგია (3,2 პროცენტი), და სხვა.

ცხრილი 5.4: საქართველოს რეგისტრირებული იმპორტის სტრუქტურა, პარმონიზებული სასაქონლო სისტემის (HS96) მიხედვით, 2001წ. I ნახევარი

	2001 პირველი ნახ.	პროცენტი
ათასი აშშ დოლარი		
იმპორტი - სულ	364 039,9	100
ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 2710	39 576,9	10,8
ნავთობის აირები - 2711	35 217,7	9,6
დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები, მათი ნაწილები - 8411, 8419, 8431 და 8471	25 378,4	6,9
ელ. მანქანები მოწყობილობები, მათი ნაწილები - 8504, 8517, 8525, 8529, 8536 და 8544	23 753,6	6,5
სამკურნალო საშუალებები - 3004	19 958,2	6,4
ელექტროენერგია - 2716	11 669,6	3,2
საფრენი საშუალებები (ვერტმურენები, თვითმფრინავები) - 8802	11 546,2	3,1
საზომი, საკონტროლო და სხვა მოწყობილობები და აპარატები, მათი ნაწილები - 9018, 9028, 9031	10 987,6	3
სიგარები და სიგარეტები, თამბაქო - 2402, 2401	10 079,2	2,7
ფენილი და სხვ.- 1101 და 1107	10 004,5	2,7
მსუბუქი ავტომობილები - 8703; აგტიმობილები, განსაზღვრული არანაკლებ 10 კაცის გადასაყვანად - 8702.	9 142,0	2,5
სხვა	6 865,1	1,8

წერილი: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

მომსახურების ეძსაორული და იმპორტი

მომსახურებით ვაჭრობას უკავია საქართველოს საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი. აშკარად უარყოფითი სავაჭრო ბალანსი კომპერსირდება მომსახურებით ვაჭრობის დადებითი ბალანსით (იხ. ცხრილი 5.5). საქართველოს საგადამხდელო ბალანსის¹ მიხედვით 2001 წლის პირველ ნახევარში მომსახურების ექსპორტის 57 პროცენტს შეადგენდა შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან.

თუ გავითვალისწინებთ მომსახურებით ვაჭრობის საქონლით ვაჭრობასთან შედარებით როგორცხვიანობას, მაშინ ნათელი გახდება, რომ რეგისტრირებული მომსახურებით ვაჭრობა საკმაოდ ჩამორჩება რეალურ სურათს, და რომ არარეგისტრირებული მომსახურებით ვაჭრობის წილი გაცილებით დიდია, ვიდრე არარეგისტრირებული საქონლით ვაჭრობის

¹ სემ-ის გამოცემისას მხოლოდ ა.წ. პირველი ნახევრის საგადამხდელო ბალანსი იყო ხელმისაწვდომი.

შემთხვევაში. მაგალითად, სსდ საერთოდ ვერ აღრიცხავს საგანმანათლებლი, ჯანდაცვით, ბიზნეს და სხვა სახის მომსახურებას.

ცხრილი 5.5: მომსახურების რეგისტრირებული ექსპორტი და იმპორტის, 2001 I ნახევარი
(ათასი აშშ დოლარი)

	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი
სულ მომსახურება	128 576	110 662	99 070	100 282
სატრანსპორტო მომსახურება	73 209	45 841	56 853	44 134
- საზღვაო ტრანსპორტი	13 999	16 492	15 308	21 421
- საჰაერო ტრანსპორტი	12 559	15 218	9 108	14 288
- სარკინიგზო ტრანსპორტი	33 858	6 163	29 286	2 884
- საავტომობილო ტრანსპორტი	9 550	7 969	0	5 542
- მილსადენები	3 243	0	3 153	0
ტურიზმი	47 343	51 032	37 675	48 580
სხვა მომსახურება	8 024	13 789	4 542	7 567

წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

აშშ-ს პრეზიდენტი საქართველოს ანიჭებს GSP-ით მოსარგებლების სტატუსს

2001 წლის 29 ივნისს აშშ-ს პრეზიდენტმა საქართველოს მიანიჭა GSP (პრეფერენციების ზოგადი სისტემა)-ით მოსარგებლე განვითარებადი ქვეყნის სტატუსი. აღნიშნული ვაქტი უდაოდ შეუწყობს ხელს საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების აქტივზაცია, აშშ-ში არსებული პრეფერენციების სისტემის გამოყენებით. პრეფერენციების ზოგადი სისტემა წარმოადგენს სავაჭრო პოლიტიკის ერთ-ერთ კლასიკურ ინსტრუმენტს, რომელსაც გამოიყენებენ განვითარებული ქვეყნები და რომელიც მიზნად ისახავს ვაჭრობის განვითარებისათვის ხელშეწყობას. მისი მიზანია განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შესთავაზონ ისეთი ტარიფები, რომლებიც განვითარებული ქვეყნების მიმართ გამოიყენებულზე დაბალია, დაუშვას მათი ექსპორტის პრეფერენციული მოხვედრა თავიანთ ბაზებზე. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანას აქვს პრეფერენციების საკუთარი სისტემა.

აშშ-ს პრეფერენციების სისტემა არის ფართოდ გავრცელებული სისტემა, რომლითაც სარგებლობს 140 განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა დაახლოებით 4 650 სახეობის საქონელზე. GSP-ის პროგრამა ამოქმედებული იქნა 1976 წლიდან 10 წლის ვადით და რეგულირდება 1974 წლის ე.წ. ვაჭრობის აქტით. ვადის გასვლი შემდეგ აღნიშნული პროგრამა გაგრძელდა რამდენიმეჯერ. ბოლო გაგრძელება მოხდა 1999 წლის 30 ივნისს, რომელსაც ვადა გაუვიდა ა.წ. 30 სექტემბრს.

ბევრი ქვეყანა ძალზედ ევაქტურად იყენებს აშშ-ს პრეფერენციების სისტემას მაგ. 1999 წლის მონაცემებით აშშ-ში პრეფერენციებით შესული წილი ქვეყნის მოლიან ექსპორტში საქმიან მნიშვნელოვანია ყაზახეთისათვის (82 პროცენტი), პოლონეთისთვის (36,3 პროცენტი), სლოვენიისთვის (35,1 პროცენტი), ჩეხეთისთვის (27,2 პროცენტი), სლოვაკიისთვის (25,7 პროცენტი), ხორვატიისთვის (22,7) და ა.შ.²

² USTR და GEPLAC-ის გამოთვლები.

ჩანართი 5.1**შეერთებული შტატები აუქმებენ უკრაინისთვის მინიჭებულ პრეფერენციებს ვაჭრობაში**

2001 წლის 7 აგვისტოს შეერთებული შტატების მთავრობამ გადაწყვიტა გაეუქმებინა უკრაინის ნაწარმთან მიმართებაში სპეციალური უბაჟო პროდუქციის - პრეფერენციების ზოგადი სისტემის (GSP) - სტატუსი და გამოსცა იმ პროდუქტების წინასწარი ჩამონათვალი, რომელთა მიმართაც შეიძლება იგივე სანქციები იქნას გამოყენებული. ამის მიზეზი გახდა ის, რომ უკრაინა ვერ ახერხებს არასანქციონირებული ოპტიკური მედია პროდუქციის (მაგ. CD, CD-ROM და სხვა) წარმოების შეწერებას. აშშ-ს ინდუსტრიაში ამგარი მასობრივი მეკობრეობით მიყენებული დანაკარგები შეფასდა 200 მილიონ აშშ დოლარზე მეტი წლიური ზარალის ოდენობით, რამაც დაარღვია ბაზრის მუშაობა არა მარტო რეგიონში არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ერთი წლით ადრე აშშ-მ პრეფერენციების ზოგადი სისტემის სტატუსი გაუუქმა ბელორუსიას.

გასული ორი წლის განმავლობაში შეერთებული შტატების მთავრობა აწარმოებდა მოლაპარაკებებს უკრაინის სახელმწიფო მოხელეებთან ამ პრობლემის თაობაზე. უკრაინის მთავრობას უნდა მოვარგინონა ფართოდ გავრცელებული მეკობრეობის პრობლემა. აკრძალული ოპტიკური დისკების რეპროდუქცია კვლავაც გრძელდება.

უკრაინას სპეციალური სტატუსი მიენიჭა აშშ-ს პრეფერენციების ზოგადი სისტემის (GSP) საფუძველზე - პროგრამის, რომელიც შემუშავდა აშშ-სა და აშშ-ს ბენეფიციარი განვითარებადი ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების გაძლიერების მიზნით.

აშშ-ს სამთავრობო წყაროების თანახმად, უკრაინა ევროპაში არალეგალური ოპტიკური მედია პროდუქციის უმსხვილესი მწარმოებელი და ექსპორტიორია. უკრაინის არალეგალური კომპაქტური დისკების ექსპორტი მთელს რეგიონში და მის ფარგლებს გარეთაც იწვევს საბაზრო ოპერაციების რდველს. უკვე ორ წელიწადზე მეტია შეერთებული შტატები მოითხოვს რომ უკრაინამ მიიღოს ზომები მეკობრეობის შესაჩერებლად და ამგვარი შემთხვევების გამოირების შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად. მიუხედავად ნაკისრი ვალდებულებებისა, უკრაინის მთავრობამ ვერ მოახერხა მეკობრეობის შემთხვევათა აღკვეთა. უკრაინის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ორი მთავარი პუნქტი იყო 1) უკრაინას დაუყოვნებლივ უნდა გამოვეყენებინა სამართალდამცავი ორგანები მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში და 2) 2000 წლის ნოემბრისათვის უნდა შემოედო ოპტიკური მედიის წარმოების ლიცენზირების რეჟიმი, რომელიც საჭირო იყო შემდგომში ასეთი შემთხვევების განმეორების შესაძლებლობათ თავიდან ასაცილებლად. სამწუხაოდ, უკრაინამ ჯერ-ჯერობით ნაკისრ ვალდებულები ვერ შეასრულა.

უკრაინაში დღესაც გრძელდება დიდი რაოდენობით ოპტიკური მედია პროდუქციის მეკობრეობა. ამან აიძულა შეერთებული შტატების მთავრობა გაეუქმებინა უკრაინული ნაწარმის მიმართ დაშვებული პრეფერენციების საერთო სისტემის რეჟიმი. რეჟიმის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2001 წლის აგვისტოდან. თუ კი უკრაინა შემდგომშიც ვერ მოახერხებს მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას არსებული მეკობრეობის შემთხვევათა აღკვეთასთან და მომავალში მეკობრეობის შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით მკაცრი ოპტიკური მედია-პროდუქციის ლიცენზირების რეჟიმის შემთხვებას, აშშ-ს მთავრობამ შეიძლება უკრაინის მიმართ საგაჭრო სანქციები გამოიყენოს.

წყარო: USTR

საქართველო და მსო

ამ მომენტისათვის მსო-ს 142 ქვეყანა გაერთიანებული არიან იმ საერთაშორის ხელშეკრულებებით, რომელიც მიიღეს ურუგვაის რაუნდზე. საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია ეწ. “ათასწლეულის” რაუნდზე მონაწილეობა, რადგან აღნიშნულ რაუნდზე გარკვეულწილად უნდა გადაიხედოს ურუგვაის რაუნდის შედეგები და უნდა შედგეს მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებები მომსახურებით ვაჭრობის სფეროს შემდგომი დიმირალიზაციის მიზნით.

2001 წლის ნოემბერში, კატარის დედაქალაქ დოჰაში დაგეგმილია ჩატარდეს მსო-ს წევრი ქვეყნების მინისტრთა კონფერენცია, რომელიც არის უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. მინისტრთა კონფერენცია იკრიბება ყოველ მეორე წელს და იღებს გადაწყვეტილებებს მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების შესახებ. აღნიშნული კონფერენცია უნდა გახდეს დასაწყისი ახალი მრავალმხრივი სავაჭრო რაუნდისა, რომლის დაწყებაც ჩაიშალა წინა მინისტრთა კონფერენციაზე სიეტლში 1999 წლის ბოლოს.

ჯერ პიდევ ურუგვაის რაუნდის დროს GATT-ის მონაწილე ქვეყნები შეთანხმდნენ დაიწყონ მომსახურებით ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის თაობაზე მრავალმხრივი მოლაპარაკებები არაუგვიანეს 5 წლისა GATS-ის ძალაში შესვლის მომენტიდან. ხოლო ა.წ. აპრილში მსო-ს მომსახურებით ვაჭრობის საბჭომ მიიღო ახალი მრავალმხრივი მოლაპარაკებების პროცედურები და ძირითადი მიმართულებები, რომელიც შეეხო მომსახურებით ვაჭრობის ყველა სფეროს. იმის გამო, რომ მომსახურებით ვაჭრობაში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები ლიბერალულია, საქართველოს ინტერესებში შედის, რომ მრავალმხრივი მოლაპარაკებებისას მოხდეს ამ დარგში არსებულ იმ დისპროპორციის გაუქმება (ან შემცირება მაინც) რომელიც არსებობს სხვასასხვა ქვეყნებს შორის.

საქართველო, როგორც მსო-ს წევრი ქვეყანა, აპირებს ორმხრივი მოლაპარაკებების გაგრძელებას იმ ქვეყნებთან, რომელთაც სურთ მსო-ში გაწევრიანება. საქართველომ უკვე დაიწყო ორმხრივი მოლაპარაკებათა რაუნდები ისეთ მნიშვნელოვან ქვეყნებთან, როგორებიც არიან რუსეთი, ყაზახეთი, მოლდოვა, უკრაინა და აზერბაიჯანი.

თავი მემკვეთი. პრივატიზაცია

2001 წლის მეორე კვარტალში საშუალო და მსხვილი საწარმოებს ფაქტიური პრივატიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი პროგრესი არ ყოფილა. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო (სმს) აგრძელებს საწარმოების მომზადებას გასაყიდად ან სალიკვიდაციოდ. ის ობიექტები, რომელთა პრივატიზება შედარებით ადვილი იყო, უკვე გადავიდა კერძო მფლობელობაში, ხოლო ეკონომიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საწარმოების პრივატიზებას მეტი შესწავლა და დრო ესაჭიროება. გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერი გაზის გამანაწილებელ კომპანია თბილგაზზე, ასევე მიმდინარეობს თბილწყალკანალის მართვაში გადაცემის ტენდერი. ზოგიერთი მსხვილი საწარმოს მიმართ წინა წელს აღძრული გაკოტრების საქმეები ჯერჯერობით არ დასრულებულა.

მცირე საწარმოთა პრივატიზაცია

მცირე საწარმოთა პრივატიზების მიმდინარეობაში ცვლილებები არ შეიმჩნევა. მცირე საწარმოების უმრავლესობა აღარ არის სახელმწიფო მფლობელობაში. 2001 წლის 1 ივლისის მდგომარეობით 13 566 მცირე საწარმო დამტკიცდა საპრივატიზაციოდ და 15 680 ფაქტიურად იქნა პრივატიზებული¹. ცხრილში 6.1 მოცემულია მცირე საწარმოთა პრივატიზება სექტორების მიხედვით. 2001 წლის პირველ ნახევარში 262 მცირე საწარმო გადავიდა კერძო მფლობელობაში. პრივატიზებულ მცირე საწარმოთა უმეტესობა ვაჭრობისა და მომსახურების სფეროებს განეკუთვნება - შესაბამისად 34 და 44 პროცენტი. სტატისტიკური დანართის A6.2 ცხრილში მოცემული რეგიონალური ჩამონათვალის მიხედვით, პრივატიზებული მცირე საწარმოების 31 პროცენტი თბილისშია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა კვლავაც ჩამორჩება სხვა რეგიონებს მცირე საწარმოთა პრივატიზების მხრივ – 2001 წელს ავტონომიურ რესპუბლიკაში არც ერთი მცირე საწარმო არ ყოფილა პრივატიზებული.

**ცხრილი 6.1: მცირე პრივატიზაცია სექტორების მიხედვით (სმს-ს კლასიფიკაციით),
2001 წლის 1 ივლისის მდგომარეობით**

სექტორი	დამტკიცებული	პრივატიზებული	მთლიანად პრივატიზებულის %	privatized until 2001 wels
მრეწველობა	392	311	2,0	6
კურანგოკა	56	54	0,3	5
პურაოდუქტები	142	120	0,8	3
სოფთის მეურნეობა და სურსათი	764	835	5,3	26
მშენებლობა	436	364	2,3	17
საცავო და საბითუმო ვაჭრობა	4,674	5,333	34,0	37
საყოფაცხოვრებო მომსახურება	5,540	6,974	44,5	132
ნავთობაროდუქტები	172	174	1,1	1
ჯანდაცვა	785	618	3,9	7
სოციალური სფერო	415	681	4,3	22
ტრანსპორტი	190	216	1,4	6
სულ	13,566	15,680	100,0	262

წერილი: სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

¹ იმის გამო, რომ აქციონირების პროცესში ზოგიერთი საწარმო გაიყო, გაყიდული საწარმოების რიცხვი შეიძლება აჭარბებდეს გასაყიდად დამტკიცებულოთა რიცხვს. მცირე საწარმოთა სრული რიცხვი, რომელიც მოიცავს საპრივატიზაციოდ დამტკიცებულ მცირე საწარმოებსაც, არ არის ცნობილი. მცირე საწარმოებად ითვლება ისინი, რომელთა აქტივების საბაზისი დირექტულება 1993 წლის 1 აპრილისთვის 44 000 აშშ დოლარს არ აღემატება.

თავდაპირველად საპრივატიზაციოდ განსაზღვრული ობიექტების რაოდენობა მცირდება. მცირე საწარმოთა მნიშვნელოვანი რიცხვი შეუერთდა სააქციო საზოგადოებებს ან ლიკვიდირებულ იქნა (იხ. სტატისტიკური დანართის ცხრილი A6.2). ამავე დროს ზოგიერთი მცირე საწარმო დაიყო ორ ან მეტ საწარმოდ, ხოლო ზოგიერთი მცირე საწარმო საშუალო და მსხვილი საწარმოების რესტრუქტურიზაციის შედეგად წარმოიშვა. ეს პროცესები ახანგრძლივებენ პრივატიზების მიმდინარეობას და ასევე შეტყველებენ მეორადი ბაზრის ფუნქციონირებაზე. ეფექტური ან პოტენციურად ეფექტური საწარმოები ან ცალკეული აქტივები ახალი მეპატრონების ხელში გადადიან. ასე რომ, როგორც ჩანს მცირე საწარმოების პრივატიზების მხრივ რეფორმა საქმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს.

საშუალო და მსხვილი საწარმოების პრივატიზაცია

საშუალო და მსხვილი საწარმოების პრივატიზება სიმნელეებს აწყდება. მსხვილი საწარმოების პრივატიზებას მეტი დრო და ძალისხმევა სჭირდება. ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა ინტერესების მქონე ჯგუფები აბრკოლებენ პრივატიზაციის პროცესს. ზოგი ინვესტორი არ აღმოჩნდა ფინანსურად საქმარისად ძლიერი იმისათვის, რომ ტენდერით დადგენილი საინვესტიციო პროგრამა შეესრულებინა. ზოგიერთი ინვესტორი ვერ შემგვა სამუშაო პირობების სპეციფიკას, როგორიცაა მაგალითად ზამთარში ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხება. ყველაზე მიმზიდველი და ეფექტური საშუალო და მსხვილი საწარმოები უკვე პრივატიზებულია, ხოლო დანარჩენი უმსხვილეს კომპანიებს წარმოადგენს, რომლებსაც სერიოზული რესტრუქტურიზაცია და მნიშვნელოვანი ინვესტიციები ესაჭიროება. მსხვილი საწარმოების პრივატიზების მხრივ 2001 წლის მეორე კვარტალში დიდი პროგრესი არ ყოფილა. მეტი იქნა მიღწეული საშუალო და მსხვილი საწარმოების საპრივატიზაციოდ დამტკიცების და მათი სააქციო საზოგადოებებიდ ჩამოყალიბების მხრივ.

ცხრილი 6.2 გვიჩვენებს რომ 2001 წლის პირველი ივლისის მდგომარეობით საპრივატიზაციოდ დამტკიცებული საშუალო და მსხვილი საწარმოების მთლიანი რიცხვი 1 426-მდე გაიზარდა. უნდა აღინიშნოს რომ 2001 წლის მეორე კვარტალში საპრივატიზაციოდ დამტკიცებული საშუალო და მსხვილი საწარმოების რიცხვი 92-ით გაიზარდა. სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბებული საშუალო და მსხვილი საწარმოების მთლიანმა რიცხვმა 1 359-ს მიაღწია. 2001 წლის მეორე კვარტალში სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბებული საწარმოების რიცხვი 27-ით გაიზარდა.

**ცხრილი 6.2: სააქციო საზოგადოებების დაარსება სექტორების მიხედვით
(სმშ-ს კლასიფიკაციით), 2001 წლის 1 ივლისის მდგომარეობით²**

სექტორი	დამტკიცებული	დაარსებული	დაარსებული 2001 წლის
მრავალობა	230	303	4
პურაოფუქტები	61	45	3
სოფლის მეურნეობა და სურსათი	391	305	2
არქიტექტურა და მუნიციპალიტეტი	228	164	2
საცალო და საბითუმო გაჭრობა	86	62	1
საყოფაცხოვრებო მომსახურება	22	22	1
ნავთობპროდუქტები	49	36	0
საქაზი	60	47	2
ტრანსპორტი	120	131	2
სოციალური სფერო	57	58	3
ჯანდაცვა	56	56	21
ენერგეტიკა	66	130	4
სულ	1,426	1,359	45

წერო: სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

სტრუქტურული გარდაქმნების მესამე კრედიტის პირობების თანახმად, სმშ-ს განაგრძობს ნუსხით განსაზღვრული მსხვილი საწარმოების პრივატიზებაზე მუშაობას. თორმეტი საწარმო პრივატიზებულ იქნა პირველი რიგის საწარმოთა ნუსხიდან და 26 - მეორე რიგის საწარმოთა ნუსხიდან. ექვს საწარმოში დაწყებულია ლიკვიდაცია/გაკოტრების პროცესი. მათ შორის სააქციო საზოგადოებები "საქცეოლიტი", "ელვა", "ტამი", "ქომბოჭო", "საქსამთომეტალურგია" და "აზოტი". წესების დაცვით განხორციელების შემთხვევაში, გაკოტრება ხელს შეუწყობს საწარმოების მუშაობის გაუმჯობესებას ან მათი სიცოცხლისუნარიანი ნაწილის გაფიდვას.

ზოგიერთი მსხვილი საწარმო, რომლებიც, როგორც ჩანს, სიცოცხლისუნარიანია, რესტრუქტურიზაციის პროცესშია. სააქციო საზოგადოებებში "საქართველოს ტრაქტორი", "შედეა" და "კოლხიდა" ჩატარდა რესტრუქტურიზაცია. რესტრუქტურიზებული საწარმოს გამოცალენებული ნაწილები მზადდება სხვადასხვა სახის ტენდერით გასაყიდად ან გასაკოტრებლად.

სააქციო საზოგადოებაში "საქართველოს ტრაქტორი" ჩატარდა რესტრუქტურიზაცია და იგი დაიყო სამ კომპანიად – "საქტრაქტორი", "იმერი" და "რიონი". საქტრაქტორის შემთხვევაში სმშ-ს ელის პოტენციური ინვესტორის წინადადებას. თუ ინვესტორი არ გააკეთებს შემოთავაზებას, საწარმოს აქციათა 5 პროცენტი გაიყიდება ნულოვან აუქციონზე ან სახელმწიფო წილის ხარჯზე საწესდებო კაპიტალიდან გარკვეული ქონება იქნება ამოღებული. თითოეული გადაწყვეტილების შემთხვევაში საწარმოს აქციათა საკონტროლო პაკეტი კერძო მფლობელობაში გადავა. სააქციო საზოგადოება "რიონი" გატანილია ფულად აუქციონზე, ხოლო სააქციო საზოგადოება "იმერში" დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება.

ფინანსთა სამინისტრომ უნდა განიხილოს სააქციო საზოგადოება "შედეას" აქტივების გაყიდვის საკითხი. რაც შეეხება საწარმოს რესტრუქტურიზებულ ნაწილს, მის გაკოტრების საქმის წარმოებაზე შეტანილია სარჩევი და გაკოტრების მმართველი დანიშნულია.

² სმშ-ზე ამ ცხრილში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. სექტორი "სამთო ქიმია" შეტანილ იქნა სექტორში "მრეწველობა". ზოგიერთი საწარმოს პროფილის გადახედვის შედეგად ისინი სხვა სექტორში იქნენ გადატანილი. ასევე შემოღებულ იქნა სექტორი "საყოფაცხოვრებო მომსახურება".

სააქციო საზოგადოება “კოლხიდაში” განხორციელდა რესტრუქტურიზაცია და საწარმო დაიყო 3 სააქციო საზოგადოებად და 8 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად. განიხილება სააქციო საზოგადოებების ფულად აუქციონზე, ხოლო დარჩენილი 8 საწარმოს საინვესტიციო ტენდერით პრივატიზების საკითხი. წერილები საწარმოთა აქციათა პაკეტების შეთავაზებით 5 უცხოურ კომპანიას დაეგზავნა.

სააქციო საზოგადოება “ელმავალმშენებელის” აქციათა საკონტროლო პაკეტი მოხხერ იქნა გამოცხადებული ტენდერი, მაგრამ უშედეგოდ. არც ერთ ტენდერს არ მოჰყოლია განაცხადი. ამის შემდეგ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ექსპერტთა დახმარებით შემუშავდა საწარმოს ორგანუატურიზაციის გეგმა. გეგმის მიხედვით განხორციელდა არასაწარმოო დანიშნულების აქტივების საწესდებო კაპიტალიდან ამოღება. ამჟამად მზადება ტენდერი საწარმოს აქციათა 75 პროცენტის სიმბოლური საწყისი ფასით პრივატიზებისათვის.

რესტრუქტურიზებული ან გამოცალკევებული ობიექტები უფრო მიმზიდველი გახდება პოტენციური ინვესტორებისათვის, რომლებიც თავს იკავებენ ჭარბი ზომის, ვალაუგალ და არაეფექტურ საწარმოებში ინვესტიციების განხორციელებისაგან.

სხვა შესვილი საწარმოების პრივატიზებისათვის სქმს იყენებს ისეთ მეთოდებს როგორებიცაა პრივატიზება ტენდერის მეშვეობით აქციათა საწყისი ფასის ფასდაკლებით ან სიმბოლური საწყისი ფასით, გაყიდვა ფულად აუქციონებზე და აქციების გაყიდვა ნულოვანი საწყისი ფასით.

სქმს-ზე გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით სააქციო საზოგადოება “ელექტრომექანიკოსის” სახელმწიფო მფლობელობაში არსებული აქციები პრივატიზებულ უნდა იქნას ტენდერის მეშვეობით 75 პროცენტის ფასდაკლებით. თუ ტენდერი შედეგს არ გამოიღებს, კომპანია გაიყიდება პირდაპირი მიყიდვის წესით სიმბოლურ ფასად. სააქციო საზოგადოება “საქაბრეშემის” ტენდერით პრივატიზების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, განიხილებოდა საწარმოს ნულოვან აუქციონზე გაყიდვის საკითხი. ეს პროცესი შეჩერებულ იქნა ქუთაისის მერიის და სქმს-ს მიერ. მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ აქციები გაიყიდება მას შემდეგ, რაც სადრენაჟო ქარხანა ამოღებულ იქნება საწარმოს საწესდებო კაპიტალიდან. ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება აქციონერთა კრების მიერ.

სქმს ასევე გეგმავს ნულოვან აუქციონზე გამოიტანოს “ქუთაისის ლითოფონის” ქარხნის აქციათა 5 პროცენტი. ამჟამად საწარმოს აქციათა 53,1 პროცენტი სახელმწიფო საკუთრებაშია. საწარმოში სახელმწიფო ქონების ნაწილი (საწესდებო კაპიტალის 4 პროცენტი) უნდა იქნას პრივატიზებული, რის შედეგადაც საწარმოს აქციათა საკონტროლო პაკეტი კერძო მფლობელობაში გადავა.

ზემოთ აღნიშნული პრივატიზაციის მეთოდებიდან, ყველაზე ეფექტური აქციების ნულოვანი საწყისი ფასით გაყიდვაა. წინა 6 ნულოვანი აუქციონი წარმატებული იყო და მათზე გამოტანილი ყველა აქცია იქნა გაყიდული. თუმცა პრივატიზაციის ამ მეთოდს შესაძლოა უარყოფითი გავლენა პქონდეს საწარმოს შემდგომ ფუნქციონირებაზე. ახალ მეპატრონებს არ გააჩნიათ ვალდებულებები ჩაატარონ პრივატიზებული ობიექტის რეაბილიტაცია ან რესტრუქტურიზაცია. ბევრ შემთხვევაში ახალ მეპატრონებს მხოლოდ და მხოლოდ სურთ ფლობდნენ საწარმოს და იმედოვნებენ რომ მოგვიანებით მიეცემათ შესაძლებლობა განახორციელონ მასში ინვესტიციები. ნულოვან აუქციონზე აქციები ყველა

მყიდველის შორის ნაწილდება, მაშასადამე, იქმნება შესაძლებლობა რომ საწარმოს ბევრი სხვადასხვა მეპატრონები გაუჩნდეს, რომლებსაც არ გააჩნიათ საერთო სტრატეგია, აქვთ სხვადასხვა მიზნები და ამბიციები. ამან შეიძლება მნიშვნელოვნად შეაფეროს საწარმოს ეფექტური ფუნქციონირება და სულაც გააჩეროს მისი ოპერირება. ოუმცა ფულადი აუქციონები ნულოვანი სარეზერვო ფასით საწარმოთა პრივატიზების საბოლოო ზომაა მას შემდეგ, რაც გასაყიდი ფასის 50 და 75 პროცენტიანი ფასდაკლებით გამოცხადებული ტენდერები ვერ მოიზიდავს მყიდველს, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა უმჯობესი იყოს საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყება, ამ საწარმოს ნულოვან აუქციონზე გატანის გარეშე. რამაც შესაძლოა დაზოგოს დრო და უზრუნველყოს საწარმოს აქტივების უფრო მიზანდასახული მყიდველების მიერ შესყიდვა.

წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემა

სააქციო საზოგადოება თბილწყალკანალი უნდა იქნას მართვაში გადაცემული 10 წლის ვადით. იმ კომპანიის სახელი, რომელმაც უნდა მართოს საწარმო შემდეგი 10 წლის განმავლობაში, ნოემბერში გახდება ცნობილი. დარგის რეაბილიტაციისათვის მსოფლიო ბანქს დაგეგმილი აქცეს გამოყოს 25 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი. კრედიტი 35 წლიანია, მისი დაბრუნება სესხის აღებიდან 10 წლის შემდეგ იწყება და წლიური საპროცენტო განაკვეთი 0,75 პროცენტია. კრედიტის მეშვეობით რეფორმის გარდამავალ ეტაპზე უნდა მოხერხდეს დაბალი ტარიფის შენარჩუნება. სატენდერო კომისიის მიერ კომპანიის შერჩევის წინასწარი ეტაპი უკვე დასრულდა. ტენდერში მონაწილეობისათვის კომპანიას უნდა გააჩნდეს 1,5 მილიონიანი მოსახლეობის მომსახურების გამოცდილება და წლიური ფინანსური ბრუნვა არანაკლებ 50 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. წინასწარი მოთხოვები შვიდმა კომპანიამ დაგჭაფულიდა. ეს წამყვანი დასავლეთ ევროპული კომპანიებია, რომლებიც ძლიერები არიან როგორც ფინანსურად, ასევე ტექნიკური და ინსტიტუციონალური მდგომარეობით. მათ უნდა წარმოადგინონ ტექნიკური და ფინანსური წინადადებები და ამის შემდეგ გამოვლინდება ტენდერში გამარჯვებული. გამარჯვებული კომპანია სავარაუდოდ 2002 წლის პირველ კვარტალში შეუდგება მუშაობას.

კავშირგაბმულობის სექტორი

“საქართველოს ელექტროკავშირის” და “საქართველოს ტელეკომის” პრივატიზების ტენდერი 2001 წლის 1 თებერვალს გამოცხადდა. “საქართველოს ელექტროკავშირის” აქციათა 75 პროცენტი და “საქართველოს ტელეკომის” აქციათა 51 პროცენტი უნდა გაყიდულიყო საერთაშორისო ტენდერით ან საკონკურსო პირდაპირი მიყიდვის წესით. პოტენციურ ინვესტორებს 2001 წლის 31 მაისამდე უნდა დაეგზავნათ წინადადებები Commerzbank AG-ს მიერ შექმნილი კომპანიების კონსორციუმისათვის, რომელსაც მიენიჭა კავშირგაბმულობის სექტორის პრივატიზაციის წარმართველი ფინანსური მრჩეველის სტატუსი. მიუხედავად იმისა, რომ ტენდერის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა ჟურნალ ეკონომისტში და გავრცელდა მასშედის სხვადასხვა საშუალებებით და ინტერნეტით, მას შედეგი არ მოჰყოლია. 17 აგვისტოს გამოცხადდა განმეორებითი ტენდერი “საქართველოს ელექტროკავშირის” აქციათა 75 პროცენტზე. განაცხადების მიღება 15 ოქტომბრამდე იწარმოებს. ტელეკომუნიკაციის ობიექტების პრივატიზაცია ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი გამოიწვევს სექტორის რეაბილიტაციას და გააუმჯობესებს მის ფუნქციონირებას, მნიშვნელოვან შემოსავალს მოუტანს სახელმწიფოს და ხელს შეუწყობს რეფორმას.

ენერგეტიკის სექტორი

საქართველოში ელექტროენერგეტიკის სექტორი კვლავაც ვერ უზრუნველყოფს ელექტროენერგიის სათანადო მიწოდებას, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. შემდგომი გაუმჯობესებისათვის აუცილებელია პრივატიზაციის გაგრძელება, ვინაიდან პრივატიზებული ობიექტები, როგორც წესი, უკეთეს შედეგებს იძლევიან. სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტრო თანამშრომლობს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან შემდგომი პრივატიზაციის პროცესის განვითარებაზე. ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიები, რომლებიც ჯერ კიდევ სახელმწიფო მფლობელობაში არიან, აჭარაში, აფხაზეთში და ოსეთში განლაგებული კომპანიების გამოკლებით, ერთ კომპანიად ჯაზუდგება. ეს კომპანია საერთაშორისო ტენდერის მეშვეობით უნდა იქნას პრივატიზებული. გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერი სააქციო საზოგადოება „ელექტროგადაცემის“ და შპს „ელექტროდისპერიზაციის“ მართვაზე და განიხილება ორი კომპანიის ტექნიკური და ფინანსური წინადაღებები. რაც შეეხება ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მართვაში გადასაცემად გამოცხადებულ ტენდერს – გამარჯვებული კომპანია სექტემბერში გამოვლინდა. ესპანეთის კომპანია Iberdrola-ს მიენჯა უფლება მართოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი 5 წლის განმავლობაში. კომპანია შეუდგება სამუშაოს ქართულ მხარესთან ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში. ტენდერების მიზანია შეამციროს სახელმწიფოს მონაწილეობა ელექტროენერგეტიკის სისტემის მუშაობაში, შეამციროს კორუფცია სექტორში და მასში მონაწილე სხვადასხვა მხარეებს შორის ურთიერთობები, საბაზრო პრინციპებზე დააფუძნოს.

სქმს-ზ გამოაცხადა ტენდერი თბილისის გაზის გამანაწილებელი კომპანია „თბილგაზის“ პრივატიზებაზე. ტენდერის პირობები საკმაოდ ლიბერალურია. ტენდერი არ აწესებს შეზღუდვებს ტარიფზე, განსახორციელებელი ინვესტიციების ოდენობასა და განრიგზე. ინვესტორის კაპიტალი არ უნდა იყოს 50 მილიონ აშშ დოლარზე ნაკლები და მას უნდა გააჩნდეს 5 წლიანი გამოცდილება გაზის განაწილების სფეროში. განაცხადების მიღების ბოლო ვადა 27 აგვისტო იყო. მხოლოდ ისრაელის კომპანია ტაჰალმა გადასცა განაცხადი სატენდერო კომისიას.

ტელეკომუნიკაციების, ენერგეტიკის და წევალმომარაგების ობიექტების პრივატიზაცია მოიცავს ამ სფეროებში ინვესტირებას და მათ რეაბილიტაციას. ეს უზრუნველყოფს შესაბამისი სექტორების გაუმჯობესებულ ფუნქციონირებას და შემდგომ განვითარებას, რაც თავის მხრივ დადგებით გავლენას იქონიებს გვონომიკის სხვა სფეროების მუშაობაზე და გააუმჯობესებს ქვეყნაში არსებულ სიტუაციას.

თავი მეშვიდე. დასაქმება, შემოსავლები და სოციალური უზრუნველყოფა

შრომის გაზარი

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური მდგრმარეობი ამსახველი მაჩვენებლები, გასული წლების მონაცემებთან შედარებით, მცირეოდენ გაუმჯობესდნენ, უმუშევრობის საერთო მდგრმარეობა კვლავაც მეტად არადამაკმაყოფილებელი რჩება, ხოლო დასაქმების ტენდენციები, რომლებიც შრომის ბაზარზე არსებული არასახარბიელო მდგრმარეობის ამსახველია - უცვლელი. სამუშაო ძალის უდიდესი ნაწილი უმუშევარია, არასრულად დასაქმებული (უწევთ დამატებითი სამუშაოს ძებნა) ან იმაზე ნაკლებს გამოიმუშავებს, რაც ოჯახის სიდარიბისგან დასაცავად არის საჭირო. დაუცველი და არაჯანსაღი სამუშაო პირობები, ისევე როგორც სამუშაოს და შემოსავლის არასტაბილურობა, ფართოდ გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს.

უშუალობა

რეგისტრაციაზე დაფუძნებული უმუშევრობის მონაცემები უმუშევრობის რეალურ მასშტაბზე მსჯელობის საუკეთესო საშუალებას არ წარმოადგენს - ეს ციფრები სამუშაოს გარეშე დარჩენილთა მხოლოდ გარკვეულ ნაწილს მოიცავს. ამავე დროს, ზოგიერთი მათგანი, ვინც დასაქმების ფონდის სამსახურებშია რეგისტრირებული, სინამდვილეში შეიძლება არაფორმალურ სექტორში იყოს დაკავებული. დღეს-დღეობით, უმუშევრობის რეგისტრაციის გასავალელად ფაქტობრივად არანაირი სტიმულები არ არის: სოციალური დახმარება თითქმის არ არსებობს (დახმარების ოდენობა სიმბოლურ თანხას წარმოადგენს - თვეში დახმარებით 6 აშშ დოლარის ექვივალენტს, რომელიც რეგისტრაციის მხოლოდ პირველი ექვის თვის მანძილზე გაიცემა), ხოლო უმუშევარ სამუშაოს მაძიებელთა სტატუსით რეგისტრაციის მეშვეობით სამუშაოს შორის აღბათობა მინიმალურია.

1999 წლიდან, 1998 წელს მპეტრი ვარდნის შემდეგ, იზრდება იმ უმუშევარ სამუშაოს მაძიებელთა რიცხვი, ვინც თავს იწუხებს რეგისტრაციის გავლით. 2000 წლის პირველ კვარტალში, წინა წელთან შედარებით, იგი გაიზარდა ჯერ 3,5 პროცენტით, ხოლო 2001 წლის პირველ კვარტალში - წლიური 14,4 პროცენტით, რაც შესაბამისად, შეოსახული "მკაცრი" და "შერბილებული" კრიტერიუმების თანახმად გამოკვლევაზე დაფუძნებული უმუშევრობის მაჩვენებელთა 48,4 და 31,8 პროცენტს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევართა მთლიანი რიცხვი, რომელიც ესოდენ მკვეთრად არ შეცვლილა, უფრო მცირეა ვიდრე 1999 წელს და ამასთან, მონაწილეობის კოეფიციენტიც, მთლიანობაში, კლების ტენდენციას ასახავს (უმუშევრობის მაჩვენებლების გაუმჯობესება, მნიშვნელოვანწილად, ამით არის განპირობებული) ამგვარი "სარეგისტრაციო ბუმის" ახსნა მართლაც როგორ ამოცანას წარმოადგენს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არც რეგისტრაციის პროცედურა და არც შესაბამისობის კრიტერიუმი თუ უმუშევრობის შემწეობის ოდენობა არ შეცვლილა.

ამის მეტ-ნაკლებად რეალური ახსნა იმით შეიძლება, რომ რეგისტრაციაში გატარდნენ ის სახელმწიფო მოხელეები, რომელთაც საბიუჯეტო ორგანიზაციებში კადრების შემცირების შედეგად ოფიციალური სამუშაო დაკარგეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბევრი მათგანი, საარსებო წევრობის შორის მიზნით, იძულებული იქნება არარეგისტრირებული საქმიანობით დაკავდეს ან არაფორმალურ სექტორში განაგრძოს მოღვაწეობა. რაც შეეხება შეოსახული "მკაცრი" და "შერბილებული" კრიტერიუმების თანახმად გამოკვლევაზე დაფუძნებული უმუშევრობის მაჩვენებელთა 48,4 და 31,8 პროცენტს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევართა მთლიანი რიცხვი, რომელიც ესოდენ მკვეთრად არ შეცვლილა, უფრო მცირეა ვიდრე 1999 წელს და ამასთან, მონაწილეობის კოეფიციენტიც, მთლიანობაში, კლების ტენდენციას ასახავს (უმუშევრობის მაჩვენებლების გაუმჯობესება, მნიშვნელოვანწილად, ამით არის განპირობებული) ამგვარი "სარეგისტრაციო ბუმის" ახსნა მართლაც როგორ ამოცანას წარმოადგენს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არც რეგისტრაციის პროცედურა და არც შესაბამისობის კრიტერიუმი თუ უმუშევრობის შემწეობის ოდენობა არ შეცვლილა.

განმარტებებს¹, ვინაიდან სსდ-ს გამოკვლევის მიხედვით ასეთი ადამიანები დასაქმებულებად უნდა ითვლებოდნენ, რეგისტრაციის მონაცემები, მათი ზრდისა თუ კლების მიუხედავად, უმუშევრობის რეალურ მდგომარეობაზე ბევრის მეტყველი არ არის. ძირითადად, ისინი რეგისტრაციისადმი უმუშევართა მიღომის ცვლილებაზე მიუთითებენ, რაც შეიძლება ასევე საინტერესო იყოს. რეგისტრაციის მონაცემები გვაძლევს აგრეთვე ინფორმაციას იმის შესახებ, რომ წლის განმავლობაში, უმუშევრობის შემწეობის მიმღებთა რიცხვი 2001 წლის პირველი კვარტლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ გავითვალისწინებთ რომ უმუშევრობის შემწეობის გაცემა ხდება უმუშევრობის რეგისტრაციიდან მხოლოდ პირველი 6 თვის მანძილზე, უნდა ვივარაუდოთ რომ რეგისტრირებულ უმუშევართა დიდი ნაწილი პირველად გადის რეგისტრაციის. შეიძლება ჩაითვალოს რომ ეს შრომის ბაზარზე არსებული არასახარბიელი მდგომარეობის კიდევ ერთი ამსახველი ფაქტია, როდესაც სასოწარკვეთილი უმუშევრები რეგისტრაციის გადიან და დასაქმების ფონდების მეშვეობით მაინც იმედოვნებენ თუნდაც ნებისმიერი სახის სამუშაოს შოგნის. ფორმალურად, ასეთ ადამიანებს "იმედგაცრუებულებს" ვერ უწოდებ, ვინაიდან ისინი სამუშაოს ძებნის პროცესში ოფიციალურ ინსტანციებს მიმართავენ, თუმცა არსებულ პირობებში მნელია ასეთ ზომებს აქტიური ზომები ეწოდოს. მეორეს მხრივ, თუ გავითვალისწინებთ რომ რეგისტრაციის მეშვეობით სამუშაოს შოგნის შანსები ძალზედ თეორიულია და თავად სამუშაო ადგილების დაბალ სარისსხსაც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რეგისტრაციის გავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე მათ სამუშაოს აქტიური ძებნის პროცესში ყველა სხვა საშუალება გამოსცადეს, თუმცა წარმატების გარეშე.

რეგისტრირებული უმუშევრობის მაჩვენებლები, რომლებიც მეტად არაერთგაროვან სურათს იძლევა, სსდ-ს სამუშაო ძალის გამოკვლევის (LFS-ს)² და სსდ-ს შინამეურნეობათა გამოკვლევის³ შედეგად მოპოვებული მონაცემები, რომლებიც მართალია სრულად ვერ ასახავენ შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის მთელ სიმწვავეს ან უმუშევრობის და სიღარიბის რეალურ მასშტაბებს, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის მიზნით არის გამოყენებული. ვინაიდან ამ სვეროში რეალობის იდეალურად ამსახველი ციფრები არ არსებობს, ამ გამოკვლევების შედეგად მიღებული მონაცემები უმუშევრობის დონეებსა და სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტებში, სამუშაო ძალის, უმუშევრობის, დასაქმებისა და სამუშაო ძალის მიღმა დარჩენილი მოსახლეობის სტრუქტურაში არსებული ტენდენციების გამოვლენისას და მათ შესახებ დასკვნების გაკეთების დროს, ყველაზე საიმედოთ არის მიჩნეული.

¹ შსო-ს განმარტების თანახმად, დასაქმებულად ითვლება ის ვინც განხილვის პერიოდში თუნდაც ერთი საათის განმავლობაში მუშაობდა.

² სამუშაო ძალის გამოკვლევას სსდ აწარმოებდა 1998-1999 წწ., შსო-სა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის დახმარებით.

³ მიმდინარე შინამეურნეობათა გამოკვლევას სსდ აწარმოებს 1998 წლიდან, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით და კანადის სტატისტიკის დეპარტამენტის ერთად.

ცხრილი 7.1: ეკონომიკური სტატუსი I კვ. 2000 წ. – I კვ. 2001 წ.

ekonomikuri statusi	2000 w. I kv.	2000 w. II kv.	2000 w. III kv.	2000 w. IV kv.	2001 w. I kv.
sul , 15 wel ze ufrosi asakis mosaxl eoba	3, 123	3, 151	3, 133	3, 199	3, 277
ekonomikurad aqturi i mosaxl eoba, sul (samuSao Zal a) (1)	1, 951	2, 102	2, 064	2, 095	2, 066
ekonomikurad aqturi i mosaxl eoba, sul (samuSao Zal a) (2)	2, 087	2, 199	2, 181	2, 215	2, 195
dasagmebul i	1, 705	1, 890	1, 890	1, 878	1, 818
daqiravebul i	679	695	675	691	681
TviT dasagmebul i	912	1087	1095	1, 080	1, 034
umuSevari (1)	246	212	174	217	248
umuSevari (2)	382	309	292	337	377
umuSevrobis done (procенти) (1)	12.6	10.1	8.4	10.4	12.0
umuSevrobis done (procенти) (2)	18.3	14.0	13.4	15.2	17.2

წეარო: სსდ-ს სამუშაო ძალის გამოქვლევის და სსდ-ს შინამეურნეობათა გამოყლევის მონაცემები
შენიშვნა: (1) შენ-ს სტანდარტით (ან "შპაცრი" კრიტერიუმით)

(2) შენ-ს „შერბილებული“ კრიტერიუმით

* 1998 წ. ციფრები იხ. სტატისტიკური დანართის ცხრილში A7.1.

ეროვნული უმუშევრობის მაჩვენებელი, 2000 წლის მეოთხე კვარტალში 2 პროცენტული პუნქტით ზრდის შემდეგ, კიდევ გაიზარდა 1,6 პროცენტული პუნქტით და 2001 წლის პირველ კვარტალში 12 პროცენტამდე შეადგინა, შეო-ს "შპაცრი" კრიტერიუმით (17,2 პროცენტამდე შეო-ს "შერბილებული" კრიტერიუმით). წლიური ზრდის გამოსახულებაში, შეო-ს "შპაცრი" და "შერბილებული" კრიტერიუმებით ეს შესაბამისად 0,6 და 1,1 პროცენტული პუნქტით ვარდნის ამსახველია. 2001 წლის პირველ კვარტალში უმუშევრობა სოფლად, "იმედგაცრუებულ" მუშაქობა რიცხვის გარეშე სულ 3,6 პროცენტს, ხოლო მათი ჩათვლით კი 8,4 პროცენტს შეადგენდა. ქალაქება უმუშევრობის ღონე, როგორც ყოველთვის, საერთო ეროვნულზე თითქმის ორჯერ მაღალი იყო: 21,6 პროცენტი - "შპაცრი" შეფასების კრიტერიუმით და 27 პროცენტი "შერბილებული" სტანდარტით. უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე თბილისში დაფიქსირდა.

როგორც ყოველთვის, უმუშევრობის დონის ამსახველი მონაცემებში არსებობს გარკვეული უზესტობა სოფლად უმუშევრობის მაჩვენებლთა მიზეზით, რომლებიც, ჩვეულებრივ, მეტისმეტად დაბალია უფრო მოქმედი კანონის⁴ გამო, ვიდრე სოფლად არსებული რეალური მდგრმარეობიდან გამომდინარე. მეტიც, თუ უმუშევრობის ციფრებს დავაკვირდებით, ნათელი ხდება რომ მაშინ როცა "იმედგაცრუებულ" მუშაქობა წილი ქალაქება უმუშევრობის მთლიან რიცხვში 25,6 პროცენტს შეადგენდა, სოფლად უმუშევრობართა წილი უმუშევრობის საერთო რიცხვში 58,6 პროცენტი იყო. ეროვნული უმუშევრობის დონე, რომელიც მეტისმეტად ოპტიმისტურად არის წარმოდგენილი სოფლად უმუშევრობის "ჭარბი" წილით, რეალურზე უფრო დაბალი ეროვნული უმუშევრობის დონის სტატისტიკურ ეფექტს ქმნის და ხელოვნურად ზრდის მონაწილეობის კოეფიციენტს.

საქართველოში მონაწილეობის კოეფიციენტი ძალზედ მაღალია - 63,1 პროცენტი 2001 წლის პირველ კვარტალში, მიუხედავად იმისა რომ წლიურ გამოსახულებაში იგი 1998 წლიდან კლებას განიცდიდა (იხ. სტატისტიკური დანართის ცხრილი A7.1). როგორც ჩანს, მონაწილეობის კოეფიციენტი ამსახველი სურათი არც ახლო და არც საშუალო

⁴ დასაქმების კანონის თანახმად, ერთი ან მეტი პექტარი სამუშაო მიწის მფლობელი და მისი ოჯახის წევრები თვითდასაქმებულებად ითვლებიან.

პერსპექტივაში არ შეიცვლება. ჩვეულებრივ, მონაწილეობის კოეფიციენტის კლებას განაპირობებს ორი სხვადასხვა, მაგრამ მჭიდროდ დაკავშირებული პროცესი: ერთის მხრივ უფრო მაღალი მწარმოებლურობა, ხოლო მეორეს მხრივ - ხანგრძლივი უმუშევრობა. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ეს უფრო უკანასკნელი მიზეზითაა გამოწვეული: ხანგრძლივი უმუშევრობა ფართოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს და იმავდროულად, წარმოების დონე სოფლის მეურნეობაში, რომლის წილადაც მთლიანი დასაქმების ნახევარზე მეტი მოდის, უკიდურესად დაბალი რჩება. სოფლის მეურნეობაში წარმოების დონის ამაღლება და "1 ჰექტარი მიწის შესახებ" ცნობილი განმარტების გაუქმება, რომელიც სოფლად თვითდასაქმებას განსაზღვრავს, მონაწილეობის კოეფიციენტის მკვეთრ ვარდნას და უმუშევრობის დონის მნიშვნელოვან ზრდას გამოიწვევდა. მაშასადამე, მნიშვნელოვანია მრეწველობის კერძო სექტორის როლის გაფართოება, რადგანაც იგი ჩვეულებრივ უფრო მაღალი მწარმოებლურობით ხასიათდება. უნდა შეიქმნას და შენარჩუნდეს საშუალო და მცირე საწარმოთათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები, რაც ხელს შეუწყობს ამ საწარმოთა რიცხვის ზრდას.

ეკონომიკური მდგრმარეობის ამსახველ მონაცემებს კიდევ ერთი სპეციფიკური თვისება ახასიათებთ: ეს არის შეო-ს "მქაცრი" და "შერბილებული" შეფასების კრიტერიუმებს შორის არსებული ყოველწლიურად მზარდი სხვაობა. 1999 წელს იგი, საშუალოდ, შეადგენდა 2 პროცენტულ პუნქტს 2000 წლის 4,9 პროცენტულ პუნქტაზე შედარებით, ხოლო 2001 წელს კი - 5,2 პროცენტულ პუნქტს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სამუშაოს აქტიურ მაჩიებელთა რაოდენობა სულ უფრო კლებულობს და ეს ადამიანები აკლდებიან სამუშაო ძალის რიცხვს. მართალია ამ პროცესის შედეგად უმუშევრობის დონე უფრო დაბალია, მაგრამ შესაბამისად დაბალია მონაწილეობის კოეფიციენტიც, რაც არ იძლევა საფუძველს თპრიმისტური დასკვნების გასაპეტებლად, ვინაიდან წარმოადგენს ხანგრძლივი უმუშევრობის ზრდის სტატისტიკურ ასახვას.

ხანგრძლივად უმუშევრები სოციალური იზოლაციისა და სოციალური განდგომის საფრთხის წინაშე დგანან, რადგან რაც უფრო ხანგრძლივია უმუშევრობის პერიოდი, მით უფრო ნაკლები შანსი აქვთ ასეთ მუშაკების იშოვონ სამუშაო. ხანგრძლივად უმუშევრების სამუშაოს შოვნის სუსტი პერსპექტივა აქვთ საერთო მაკროეკონომიკური მდგრმარეობის გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი, ვინაიდან ეს მოქმედებს მათი პროფესიული კვალიფიკაციის დონეზე და კომპანიები ასეთი მუშაკების დაქირავებას ეჭვით უდგებიან. ხანგრძლივი უმუშევრობა სიღარიბის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ამ მუდმივი და სერიოზული პრობლემის როგორც ეკონომიკური ასევე სოციალური მასშტაბები კოლოსალურია და ამ პრობლემის დაძლევა უნდა მოხდეს ხანგრძლივად უმუშევრობისა და შრომის ბაზარზე მათ დაბრუნებაზე გამიზნული პოლიტიკური ზომებისა და პროგრამების მეშვეობით.

დასაქმება


დასაქმებასა და სამუშაო ძალაში კვლავაც ჭარბობს თვითდასაქმების წილი. აქვდან, მასზე სამუშაო ძალის 57 პროცენტამდე მოდის, ხოლო თვითდასაქმების - 50 პროცენტი (იხ. წინამდებარე ცხრილი). თვითდასაქმებულთა უმეტესობა სოფლად თვითდასაქმებულებითაა წარმოდგენილი (2001 წლის პირველ კვარტალში - 82,5 პროცენტი), საიდანაც ბევრი ამ სტატუს მიეკუთვნება მხოლოდ მოქმედ კანონში დასაქმების შესახებ მოცემული განმარტების საფუძველზე, რომლის თანახმადაც 1 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელი და მისი ოჯახის წევრები თვითდასაქმებულებად ითვლებიან. პრაქტიკული თვალსაზრისით ეს

განმარტება ეჭვს ბადებს, რადგანაც მნელია დაამტკიცო რომ 1 ჰექტარზე შეიძლება ოჯახის რამდენიმე წევრის დასაქმება (საქართველოში საშუალო ოჯახის როცხულიანი ოჯახი ითვლება, ხოლო სოფლად ჩვეულებრივ საშუალოზე უფრო დიდი ოჯახებია) ან რომ 1 ჰექტარი სასფლო-სამეურნეო მიწა უზრუნველყოფს მათ თუნდაც საარსებო მინიმუმით. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, თვითდასაქმება სოფლად ერთგვარი სოციალური ამორტიზატორის როლს თამაშობს. შრომის ბაზარზე არსებული საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ თვითდასაქმებულთა დანარჩენი 17,5 პროცენტი - არა სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულები - მეტწილად მცირეანაზღაურებადი და არასტაბილური საქმიანობით არიან დაპავებულები, მირითადად არაფორმალურ სექტორში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნათელი ხდება, რომ გარკვეული ინფორმაციის გარეშე, უმუშევრობის მონაცემთა საფუძველზე შეიძლება მცდარი წარმოდგენა შეიქმნას, მაშინ როცა სინამდვილეში, თვითდასაქმებულთა დიდი არმიიდან ბევრი მხოლოდ მომუშავე დარიბია.

მთლიან დასაქმებაში დაქირავებულ მუშაკთა წილი კლებულობს. 2000 წელს, 1999 წლის 1,6 პროცენტიანი წლიური ვარდნის შემდეგ, მან 6,5 პროცენტიანი წლიური კლება განიცადა. თუ კი 1999 წლის პირველ კვარტალში მის წილად მთლიანი დასაქმების 42,7 პროცენტი მოდიოდა, ერთი წლის წინ მისი წილი 39,8 პროცენტამდე დაცა და 2001 წლის პირველ კვარტალში სულ 37,5 პროცენტი შეადგინა. როგორც ჩანს, ეს ტენდენცია შენარჩუნდება ახლო მომავალში მაინც, არსებული არახელსაყრელი საქმიანი გარემოს გაუმჯობესებამდე.

კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს დასაქმების მოდელებში გამოვლენილი ცვლილება - სულ უფრო ფართოდ გამოიყენება მუშაკთა არასრულად დასაქმების და მოკლევადიანი კონტრაქტების საფუძველზე დაქირავების მოდელი. დასაქმების არსებითი წილი სულ უფრო მარგინალური, დროებითი ან არაფორმალური ხასიათის ხდება. დაქირავებული დასაქმების საკმაოდ მნიშვნელოვანი წილი წარმოდგენილია კ.წ. "მოწვევული მუშაკების ჯგუფებით" - რომლებიც არიან დროებითი სამუშაოს შესასრულებლად მოწვევული მუშაკები, სუბკონტრაქტორები. ეს პროცესი იწვევს ამ სეგმენტებში სამუშაო ძალის სიღარიბის დონის ზრდას, ხოლო დასაქმების შესაძლებლობის შემცირებას, კარიერის გაკეთების პერსპექტივის და კონკურენციის უნარის შეზღუდვას და ასევე უარყოფითად მოქმედებს მათი დასაქმების პირობებზეც. არასრული და დროებითი სამუშაოს დიდი ნაწილი იძულებითი ხასიათისა და უფრო დაბალი ხარისხისაა ვიდრე სრული დასაქმების სამუშაო, ანაზღაურების, უსაფრთხოებისა და სამუშაო აღგილზე პროფესიული მომზადების თვალსაზრისით.

ნახ.7.1: დასაქმების მაჩვენებლები 15 წელს ზემოთ მოსახლეობისთვის, 2001 წ. სტ.



წერილი: სსრ-ს შინამეურნეობათა გამოკვლევის მონაცემები
შენიშვნა: სამუშაო ძალის მიღმა დარჩენილი მოსახლეობის წილი მოცემულია შემო-ს „მეცნიერი“ სტანდარტით შევასების მიხედვით, ანუ „იმედგაცრუებულ“ მუშაკთა რიცხვის ჩათვლით.

ზრდასრული მოსახლეობის ორი უმსხვილესი ჯგუფი წარმოდგენილია სამუშაო ძალის მიღმა დარჩენილი მუშაკებით და ოვილდასაქმებულებით (უმეტესად მათ ძალიან მწირი შემოსავალი აქვთ) - 2001 წლის პირველ კვარტალში, შესაბამისად, 38 და 32 პროცენტი (იხ. ნახ.7.1). დარჩენილი 30 პროცენტიდან, 2001 წლის პირველ კვარტალში, 15 პროცენტი სახელმწიფო სექტორში იყო დაკავებული (63,7 პროცენტი მუშაობდა საბიუჯეტო ორგანიზაციებში დაბალი და არასისტემატური ხელფასით. ამასთან, დიდია იმის აღბათობა, რომ ოჯახის სარჩენად ისინი დამატებითი საქმიანობით იქნებიან დაკავებული), რაც დაქირავებულ მუშაკთა საერთო რიცხვის 67,3 პროცენტს და სამუშაო ძალის 23,5 პროცენტს უქადგენს, ხოლო 8 პროცენტი უმუშევარი იყო ("იმედგაცრუებულ" მუშაკთა რიცხვის გარეშე). უნდა აღინიშნოს, რომ 15 წელს ზემოთ მოსახლეობის წილი, რომელიც სამუშაო ძალის მიღმა დარჩა, კვარტლის განმავლობაში გაიზარდა 3 პროცენტული პუნქტით, უმუშევართა წილი კი - 1 პროცენტული პუნქტით, მაშინ როცა ოვილდასაქმებულთა და კერძო სექტორის მუშაკთა წილი, კვარტლის განმავლობაში შემცირდა, შესაბამისად, 3 და 1 პროცენტული პუნქტით. ზრდასრული მოსახლეობის მხოლოდ 7 პროცენტს (სამუშაო ძალის 10,3 პროცენტს) დამატებითი სამუშაო ჰქონდათ კერძო კომპანიებში. ეკონომიკური მდგრმარეობის არასტაბილურობის გამო, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოებთან მიმართებაში, რომელთაგანაც ბევრი არაფორმალურ სექტორს მიეკუთვნება, ასეთი სამუშაო ადგილები ხშირად დაბალანაზღაურებადი და დაუცველია.

სამუშაო ადგილების უმეტესობა, განსაკუთრებით კი ქალაქებში, არაფორმალურ და სუსტად განვითარებულ სოფლის მეურნეობის სექტორებში იქმნება; აქედან ბევრი სამუშაო ადგილი არასრულ დასაქმებას და დროებით სამუშაოს წარმოადგენს. უმუშევრობის მაჩვენებლებში ასახული კლების ტენდენციები ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ სამუშაო ძალის ათვისება არაფორმალურ სექტორში ხდება. თუმცა, მნელია ამ პროცესის ზუსტი ანალიზი შინამეურნეობათა გამოკვლევის ციფრებზე დაყრდნობით. არაფორმალური საქმიანობა დიდ წილად არააღისტრირებულ, არარეგისტრირებულ და არადარეგულირებულ

საქმიანობას წარმოადგენს, რომელიც მცირე მასშტაბითა და დაბალი ანაზღაურებით ხასიათდება. აქ, ისევე როგორც მთლიანად დასაქმებაში, არარეგულარული თვითდასაქმების წილი ჭარბობს. არასრული დასაქმება ფართოდ გავრცელებული მოვლენაა, დასაქმებულთა უმრავლესობა დაკავებულია შრომის ბაზრის მცირეანაზღაურებად და არაუსაფრთხო სექტორებში, სადაც ცუდი სამუშაო პირობებია.

სტატილური, ხანგრძლივი, სრული განაკვეთის სამუშაო ადგილები იშვიათობას წარმოადგენს როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ სექტორებშიც. ფარული და შენიდბული უმუშევრობა ფართოდა გავრცელებული, ხოლო ხანგრძლივ უმუშევრობას რომელიც სულ უფრო მზარდი ხდება, შედეგად სამუშაო ძალის წილის კლება მოსდევს, რის გამოც უმუშევრობის დონის ამსახველი მაჩვენებელი მეტისმეტად დაბალია. ეკონომიკური მდგომარეობის ციფრები სრულად ვერ ასახავენ არსებული ვითარების მთელ დრამატიზმს, ვინაიდან უმუშევართა აღრიცხვის შსრ-ს მეთოდი არ ითვალისწინებს შრომის ანაზღაურების ზომას და მის შესაბამისობას საარსებო მინიმუმთან.

სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის შეაღედური პროგრამის შესაბამისად, დასაქმების ეფექტური სისტემის შემოღება, კარგიდ დაბალანსებული საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკის გატარება და ხელფასების გადახდის ეფექტური მექანიზმების განსაზღვრა დაეხმარება ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ხელს შეუწყობს ოჯახური, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

სელფასები

როგორც სსდ-ს მიერ განხორციელებული შინამეურნეობათა გამოკვლევის ციფრები გვიჩვენებს, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაქირავებულ მუშაკთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასები 2001 წლის პირველ კვარტალში 82,8 ლარს შეადგენდა, რაც 3 პროცენტია კვარტალურ კლების აღმნიშვნელია. 2001 წლის პირველ კვარტალში საბიუჯეტო ორგანიზაციების⁵ მუშაკთა საშუალო თვიური ხელფასის განაკვეთი – რაც დაქირავებულ მუშაკთა საერთო რიცვის 43 პროცენტამდე შეადგენს - თვეში 57,3 ლარს შეადგენდა. მას შემდეგ, რაც 1999 წლის ივნისში, პრეზიდენტის დადგენილების თანახმად, ოთხწლიანი ინტერვალის შემდეგ, მინიმალური ხელფასის პრინციპი ხელახლა იქნა შემოღებული, ამ კატეგორიის დაქირავებულ მუშაკთა ხელფასები 20-66 ლარის ფარგლებში მერყეობს. დაქირავებულ მუშაკთა დანარჩენი 25 პროცენტის ხელფასი (მათი, ვინც სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში იყო დაკავებული), საშუალოდ, 72 ლარამდე იყო.

კერძო სექტორში დაქირავებულ მუშაკთა თვიური ანაზღაურება, საშუალოდ, 107 ლარს შეადგენდა (დაქირავებულ მუშაკთა საერთო რიცხვის 28 პროცენტი), ხოლო უცხოურ ორგანიზაციებში ან ერთობლივ საწარმოებში დაქრავებულ მუშაკთა ანაზღაურება კი, საშუალოზე გადანგარიშებით, 262 ლარი იყო (დაქირავებულ მუშაკთა სულ 2 პრცენტი).

სახელმწიფო სექტორში ხელფასები მეტიდად დაბალი რჩება. კერძო სექტორშიც კი ხელფასები, უმეტესად, საარსებო მინიმუმზე დაბალია. ხშირია ხელფასების დროულად არგაცემის შემთხვევები, რაც დაგალიანების დაგროვებას იწვევს, ხოლო ინფლაციის გამო ვერხდება ხელფასების ზრდა რეალურ გამოსახულებაში.

⁵ საბიუჯეტო ორგანიზაცია ეწოდება სახელმწიფო ორგანიზაციას, რომლის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის სებიდიგებით ხდება.

მინიმალური საარსებო დონე

მას შემდეგ, რაც 1999 წლის აგვისტოში მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება “გაანგარიშების მეთოდში ცვლილებების შეტანისა და მინიმალური საარსებო დონის გადაანგარიშების” თაობაზე და აგრეთვე შემუშავდა პრეზიდენტის დადგენილების პროექტი “საარსებო მინიმუმის განსაზღვრისა და გამოყენების” შესახებ, არანაირი ცვლილებები ადარ მომხდარა. მიუხედავად იმისა, რომ სსდ-ში საარსებო დონის გაანგარიშების ახალი მეთოდი უკვე შემუშავდა და გამოქვეყნდა როგორც “ალტერნატიული საარსებო მინიმუმი”, დღესაც გრძელდება ძველი, 90-ან წლებში შემოღებული მეთოდის გამოყენება და მისი გამოქვეყნება როგორც “ოფიციალური” მეთოდისა. მართალია აღნიშნული მეთოდებიდან რომელი უკეთ ასახავს რეალურ კალათას, რომელიც მიზანშეწონილ საარსებო მინიმუმს უზრუნველყოფს, საკამათო საკითხია, მაგრამ ნათელია, რომ ახალი “ალტერნატიული” მეთოდის საფუძველზე გაანგარიშებული ნომინალური საარსებო დონეები უფრო ახლოსაა ქვეყანაში საშუალო ხელფასის დონეებთან. თუ კი საშუალო თვიური ხელფასის წილი ოთხსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმში, ძველი “ოფიციალური” მეთოდით გაანგარიშების შედეგად, 2001 წლის პირველ კვარტალში 41 პროცენტს შეადგენდა, ახალი მეთოდით გაანგარიშებისას საარსებო მინიმუმში ეს წილი 67 პროცენტამდე იქნებოდა.

სსდ-ს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მინიმალური საარსებო დონეები 2001 წლის პირველი კვარტლის ბოლოსათვის შეადგენდა: 115,8 ლარს ერთი მომუშავისათვის, 101,6 ლარს საშუალო მომხმარებლისთვის და 201,6 ლარს - ოთხსულიანი ოჯახისათვის რაც, საშუალოდ, წარმოადგენს 0,6 პროცენტ წლიურ კლებას, და 1,3 პროცენტ კვარტალურ ზრდას. (2001 წლის ბოლოს მდგომარეობით დონეები შესაბამისად 119,2, 104,5 და 207,3 ლარს შეადგენდა). როგორც ყოველთვის, თბილისში მინიმალური საარსებო დონე საერთო ეროვნულ საშუალო დონეზე მაღალი იყო.

სოციალური უზრუნველყოფის სისტემა

მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა, თვითდასაქმებულთა და უმუშევართა რიცხვის გათვალისწინებით და მათი ოჯახის წევრთა ჩათვლით, სოციალური დაცვა საერთოდ არ გააჩნია. განსაკუთრებით მწვავედ დგას ხანდაზმულთა სიდარიბის პრობლემა, ვინაიდან დღეს არსებული საპენსიო სისტემა არაგადახდისუნარიანი აღმოჩნდა. მოქმედი სოციალური დაცვის სისტემა დიდწილად საბჭოური წარსულის შემკვიდრეობას წარმოადგენს და გარდამავალი ეკონომიკის პირობებში სიღარიბის დასაძლევად როგორც ჩანს არაეფექტურია. არსებული სისტემის ქმედითუნარიანობის ამაღლებაზე გამიზნული სოციალური პოლიტიკის რეფორმა ქვეყანაში უმთავრეს პრიორიტეტებს შორის არის დასახული. სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემა საფუძლიან გარდაქმნას მოითხოვს და ამასთან, საჭიროა ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი, ხელმისაწვდომი და სამართლიანი სოციალური დაცვის სისტემის შექმნა.

მთავრობა აღიარებს, რომ სოციალური რეფორმები ხანგრძლივ სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს. 2000 წლის ნოემბერში მთავრობამ სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის შეაღებურ პროგრამაში გამოცემ ის სტრუქტურული რეფორმები, რომლებიც სიღარიბის დასაძლევად და ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით, ხუთ მთავარ სფეროში უნდა განხორციელდეს: 1) სოციალური სექტორის რეფორმები დარიბი მოსახლეობისათვის

გამოყოფილი დახმარებების უფრო ეფექტური განაწილების მიზნით; 2) სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება, მაგ. საგადასახადო და საბაჟო სექტორების მართვა-ადმინისტრირების გაუმჯობესება გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების ზრდისა და შესაბამისად, საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების მიზნით; 3) სახელმწიფო მართვის რეფორმა, რომელიც დაფუძნებული იქნება ანტიკორუფციული კომისიის რეკომენდაციებზე; 4) კერძო სექტორის განვითარება ინფრასტრუქტურაში, ისევე როგორც სხვა სფეროებში, ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით; და 5) აგრარული რეფორმა.

ამჟამად, სიღარიბესთან ბრძოლის და ეკონომიკური ზრდის პროგრამის შემუშავების სამთავრობო კომისიის სამდიგნოს მიერ მზადდება აღნიშნული პროგრამის საბოლოო ვარიანტი. პროგრამა მიზნად ისახავს სიღარიბის დაძლევას ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის გზით, რასაც შედეგად მოპყვება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; ცხოვრების დონის ამაღლებას და ქვეყნის განვითარების პროცესში ყველა მოქალაქის მონაწილეობის უზრუნველყოფას. სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის შეადლებური პროგრამის თანახმად, სიღარიბის დაძლევის მისაღწევად სხვა განსახორციელებელ ზომებთან ერთად უნდა განხორციელდეს აგრეთვე დასაქმების ეფექტური პოლიტიკა, კონკურენტუნარიანი პერსონალის მოსამზადებლად ადგევატური სისტემის დაფუძნება, ბავშვებისათვის უნივერსალური საოჯახო კომპენსაციის სისტემის შემოღება. აუცილებელია მიზანმიმართული სოციალური დაცვის მექანიზმების შემუშავება რაც შეიძლება მეტი დაუცველი ადამიანისთვის დახმარების გასაწევად.

სახელმწიფო სოციალური დახმარება

სახელმწიფო სოციალური დახმარება გამიზნულია ყველაზე გაჭირვებულ ოჯახთა მხოლოდ ერთ კატეგორიაზე - მარტოხელა არამომუშავე პენსიონერებზე, რომელთაც ოფიციალური მარჩენალი არა ჰყავთ და/ან ობოლ ბავშვებზე და ფაქტობრივად, წარმოადგენს ერთგვარ დამატებას, რომელიც ყველაზე დარიბ ხანდაზმულთა ნაწილმა სიმბოლურ პენსიებთან ერთად უნდა მიიღოს და მცირეოდენ ბავშვთა დახმარებას ყველაზე დაუცველი ბავშვებისათვის. სახელმწიფო სოციალური დახმარება, რომელიც გაიცემა პრეზიდენტის 2001 წლის 10 თებერვლის განკარგულების თანახმად, შესაბამისი 1 სულიანი ოჯახისთვის ან თითოეული მეურვეობაში მყოფი ობოლი ბავშვისთვის 22 ლარს, ხოლო 2 და მეტ სულიანი ოჯახისათვის 36 ლარს შეადგენს.

უმუშევრობის დახმარება

სტანდარტული თვიური უმუშევრობის შემწეობა, რომელიც რეგისტრირებული უმუშევრობის პირველი ექვნი თვის მანძილზე გაიცემა, შეადგენს 14 ლარს უმუშევრობის პირველი ორი თვისთვის, 12 ლარს შემდგომი ორი და 11 ლარს ბოლო ორი თვისთვის. ამ დახმარების მიმღებთა სტატუსის მისაღებად უმუშევრმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია და, შესაბამისად, უნდა ჰქონდეს სახელმწიფო სექტორში მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი საბუთი. ამის შედეგად, უმუშევრთა ის ნაწილი, რომელიც თავს იწუხებს რეგისტრაციის გავლით ჩვეულებრივ, რეალურზე ორჯერ მაინც დაბალია და დახმარების მიმღებთა რიცხვი უმნიშვნელოა (რეგისტრირებულ უმუშევრთა 2,5 პროცენტი – 2001 წლის პირველი კარტლის მდგომარეობით და 2,8 პროცენტი – მეორე კვარტლის მდგომარეობით).

საპენსიო სისტემა

ამჟამად, „უნივერსალური pay-as-you-go საპენსიო სისტემა ხანდაზმულთა უდიდეს ნაწილს თანაბრად დაფიქსირებული სიმბოლური განაკვეთის პენსიებით უზრუნველყოფს (თვეში – 14 ლარი, რაც დაახლოებით 7 აშშ დოლარის ექვივალენტია). პენსიების დაფინანსება სახელმწიფო გაერთიანებული სოციალური უზრუნველყოფის ფონდიდან ხდება, რომლის შეგსება ხელფასის დაბეგვრიდან შემოსული თანხის ხარჯზე ხორციელდება⁶, რასაც ბიუჯეტიდან გადარიცხვებიც ემატება. მწირი საგადასახადო ბაზის, ჩრდილოვანი ეკონომიკის ფართო მასშტაბების, გადასახადების არასაქმარისი ოდენობით შეგროვების პირობებში, საპენსიო სისტემა დიდი ხანია არაქმედითურნარიანი და გადახდისუნარო გახდა და იგი კვლავაც აგრძელებს დავალიანების დაგროვებას.

დღეს-დღეობით დამოკიდებულების კოეფიციენტი⁷ არის 1:1,2, მაშინ როდესაც pay-as-you-go საპენსიო სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის შეფარდება სულ მცირე 3:1-თან უნდა იყოს. დიდია მათი რიცხვი (როგორც მუშავთა ასევე საწარმოთ), ვინც გეერდს უკლის ხელფასიდან გადასახადების გადახდას: საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასების გაცემა ხშირად გვიანდება, ბევრი საწარმო გაჩერებულია, ხოლო ზოგიერთი გადამხდელი გადასახადებს არასრული ოდენობით იხდის. როდესაც ხელფასის დონე დაბალია და მიმდინარე შენატანებისა და მომავალში მისაღებ სარგებელს შორის კავშირი არ არსებობს, მოსახლეობის დასაქმებულ ნაწილს საჭირო სტიმული არა აქვს რათა გადასახადები გადაიხადოს. საწარმოების მიერ გადასახდებიდან თავის არიდებას ისიც განაპირობებს, რომ საგადასახადო განაკვეთები შედარებით მაღალია.

საპენსიო სისტემა დაბალი ჩანაცვლების კოეფიციენტი⁸ ხასიათდება. 2001 წლის პირველი კვარტლის ბოლოს მდგომარეობით, ხანდაზმულთა უმეტესობისთვის საშუალო პენსია დაქირავებულ მუშავთა საშუალო თვიური ხელფასის სულ 17 პროცენტს შეადგენდა⁹. 2001 წლის პირველი კვარტლის ბოლოს მდგომარეობით, პენსიები საშუალო მომხმარებლის მინიმალური საარსებო დონის მხოლოდ 13,7 პროცენტს, ხოლო 2001 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით კი - 13,4 პროცენტს შეადგენდა.

კრიზისი, რომელსაც მოქმედი საპენსიო სისტემა განიცდის, მწვავედ და მტკიცნეულად მიმდინარეობს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისით. დღევანდელი მდგომარეობის მოკლე და გრძელვადიანი შედეგების უგულველყოფა სერიოზული ეკონომიკური რისკის წინაშე დააყენებს უკიდურესად გაჭირვებულ მოსახლეობას და შეიძლება გამოიწვიოს სიდარიბის ზრდა, სოციალური დეზინტეგრაცია, გამიჯვნა და სოციალური იზოლაცია. ამავდროულად, ეფექტური სოციალური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ხანგრძლივი ეკონომიკური განვითარებისთვის უფრო მყარ საფუძველს გვთავაზობს.

⁶ სახელმწიფო გაერთიანებული სოციალური უზრუნველყოფის ფონდის (სბსშ-ს) შემოსავალს შეადგენს გადასახადები მუშავთა ხელფასიდან: საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის – ნომინალური ხელფასის 26 პროცენტი, სხვა ტიპის დამქირავებული ორგანიზაციებისთვის – 27 პროცენტი, ხოლო დაქირავებული მუშავისთვის -- 1 პროცენტი.

⁷ პენსიონერთა რიცხვის პროცენტული შეფარდება დასაქმებულთა რიცხვთან.

⁸ საშუალო პენსიის შეფარდება საშუალო ხელფასთან.

⁹ იმ დროისათვის, როდესაც სემ-ს გამოცემა მზადდებოდა დასაბეჭდად, შინამეურნეობის გამოკლევის შედეგები 2001 წლის მეორე კვარტლისთვის ხელმისაწვდომი არ იყო.

დღეს, საპენსიო სისტემის რეფორმა მთავრობის მიერ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად არის დასახული. მთავრობა მუშაობს საპენსიო სისტემის გრძელვადიანი რეფორმის პროგრამაზე, რომელიც გამიზნულია ფინანსურად მყარი, თანამედროვე საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებაზე, რომელიც მოერგება გარდამავალი ეკონომიკის ცვალებად მოთხოვნებს. მთავრობის სიღარიბესთან ბრძოლის და ეკონომიკური განვითარების შეუალებური პროგრამის შესაბამისად, მნიშვნელოვანია საპენსიო სისტემაში გამჭვირვალე გარემოს უზრუნველყოფა; შესაფერისი კანონის შემუშავება და არსებული ნორმატიული აქტების გაუმჯობესება; გასაცემი პენსიების რეგულარული გადახდის და დაგროვილი დავალიანების თანდათანობით დაფარვის უზრუნველყოფა; პერსონიფიკაციის გამოყენება და საიდენტიფიკაციო ბარათების შემოღება; და საბოლოოდ, სადაზღვევო პრინციპებსა და დიფერენცირებულ საპენსიო სისტემაზე ეტაპობრივი გადასვლის უზრუნველყოფა.

მოქმედი საპენსიო სისტემა, ნებისმიერი PAYG სისტემის მსგავსად სოლიდარობის შენატანების¹⁰ პრინციპზეა დაფუძნებული და რადგანაც იგი სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს, მას შეუძლია მხოლოდ ძირითადი მინიმალური პენსიებით უზრუნველყოს პენსიონერები. იგი ვერ ახერხებს დამოუკიდებლად პენსიონერების უზრუნველყოფას შესაბამისი დახმარებებით. მათვის, ვისაც შესაძლებლობა გააჩნია ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში იზრუნოს თავის მომავალ პენსიაზე, ხდება მრავალსაფეხურიანი სისტემის¹¹ შემოღება, რომელიც უზრუნველყოფს შესაძლებლობათა ნაირსახეობას და არჩევანის შესაძლებლობას. მოსალოდნელია, რომ ამას შედეგად მოჰყვება პირადი პასუხისმგებლობის ამაღლება და ინვესტიციების განსახორციელებლად საჭირო დანაზოგების ფონდის შექმნა. მრავალსაფეხურიანი სისტემა ითვალისწინებს სამ საფეხურს: უნივერსალურ სახელმწიფო საპენსიო სისტემას, საგალდებულო კერძო საპენსიო სისტემასა და ნებაყოფლობით კერძო საპენსიო სისტემას.

19	ergb	99,85	45,96		wel i	4,81%			
	reabilitaciis proeqti-saqenergo	18,10	18,09					19.12.1994	
	aeroportis krediti	11,00	11,00	6,59%	3 wel i	0,53%	10 wel i	13/07/95	30/10/98
	TBC banki	3,00	2,68	LIBOR+1%	2,5 wel i	0,14%	9,5 wel i	12.12.1996	30/05/97
	Tbil kombanki	3,00	2,44	LIBOR+1%	2,5 wel i	0,14%	9,5 wel i	12.12.1996	30/05/97
	Tbil kreditbanki	3,00	3,00	LIBOR+1%	2,5 wel i	0,14%	9,5 wel i	12.12.1996	30/05/97
	Tbil universal banki	1,00	0,77	LIBOR+1%	2,5 wel i	0,05%	9,5 wel i	18/03/97	
	intel eqtbanki	2,00	0,67	LIBOR+1%	2,5 wel i	0,10%	9,5 wel i	10.11.1997	
	enguris								
	hidroel eqtrosadguris	38,75	1,163	7,30%	4 wel i	1,87%	15 wel i	22/12/98	22/07/99
	reabilitaciis mroanti								
	trans-kavkasiuri rkinigzis proeqti	20,00	0,20	LIBOR+1%	3 wel i	0,96%	12 wel i	22/12/98	23/07/99
20	sofli meurneobis ganvi Tarebis saerTaSoriso fondi (IFAD)+B31	6,29	3,20	0,75%	10 wel i	0,30%	40 wel i	15/05/97	27/06/97
	sul	2077,29	1662,99						

* am qveynebis valis restrukturizacia moxda 2001 wlis martSi

**pirveli 4 wel i - 1,5%. Semdegi 25 wel i - 2,0%.

cxril Si gaTval iswinebuli araris parizis klubSi miRweul i val ebis restrukturizacisasi miRweul i pirobebi, radgan maT Sesaxeb xel Sekrul ebebi

cxril i Sedgenil ia saqarTvel os erovnuli bankis Semdegi kroskursebis gaTval iswinebi T

1 USD= 2.06 GEL

1 EUR= 0.84730 USD

1 SFR= 0.55660 USD

1 ATS= 0.06160 USD

1 JPY= 0.00810 USD

1 KWD 3.24480 USD

1 DEM= 0.43320 USD

1 SDR= 1.24584 USD

საქართველოს მიერ მიღებული კრედიტები სამ ჯგუფად იყოფა:


- **ტექნიკური კრედიტები**, რომელსაც საფუძვლად დაედო უოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი) სავაჭრო კონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანება (თითქმის 228,77 მილიონი აშშ დოლარი).
- **სასაქონლო კრედიტები**, რომელსაც საფუძვლად დაედო მოწოდებული პროდუქციის (ბუნებრივი აირი, ხორბალი, სურსათი, მედიკამენტები, ტრაქტორები და სხვა) შედეგად წარმოქმნილი დავალიანება (თურქმენეთის, უკრაინის, ჩინეთის, თურქეთის, ირანისა და ევროგაერთიანების კრედიტები).
- **სარგაბილიტაციო კრედიტები** (რუსეთის მეორე და მესამე, გერმანიის, სსრ-ს, მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ხოვლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის კრედიტები), რომლებიც უნდა მიმართულიყო კონომიკის ამა თუ იმ დარგის საჭიროებისათვის.

საგარეო ვალის მომსახურების სიძნელეები დაიწყო თურქმენეთის კრედიტზე ძირითადი თანხის გადახდით. 1998-1999 წლებში ყოველწლიურად გადასახდელი იყო 78,8 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ძირითადი თანხა, თუმცა ორი წლის განმავლობაში გადახდილია მხოლოდ 39,4 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო 118,2 მილიონი აშშ დოლარი ითვლება ვადაგადაცილებულ დავალიანებად. 2000 წლისათვის, უკვე თურქმენეთისა და ევროგაერთიანების კრედიტის გარდა, ძირითადი თანხის გადახდა იწყება რუსეთის, უკრაინისა და ჩინეთის კრედიტებზეც.

ვაქტიურად, 2000 წლს ვადადამდგარი გადასახდელების დასაფარვად ბიუჯეტიდან საჭირო იყო 131 მილიონი აშშ დოლარის გადახდა, რომლიდანაც 101,9 მილიონი აშშ დოლარი ვალის ძირითადი თანხის ნაწილი უნდა დაეფარათ, ხოლო დაახლოებით 29 მილიონი აშშ დოლარი სარგებლის სახით უნდა გადაეხდათ. ჯამში ეს თანხა 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯების 31 პროცენტს შეადგენს. მიმდინარე საბიუჯეტო კრიზისის პირობებში ასეთი მდგომარეობა ძალზე მძიმე აღმოჩნდა ქვეყნისათვის.

ამრიგად, 1998 წლიდან საქართველო შეძლებისდაგვარად თავს არიდებს ვადადამდგარი დავალიანებების სრულ დაფარვას. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება სავსებად გასაგებია, ვინაიდან მომსახურების თანხების სრულად დაფარვისას, მისი წილი საერთო ხარჯებში ფაქტიურად გაორმაგდება (იხ. ნახ. 2) და ქრონიკული საბიუჯეტო დეფიციტის პირობებში მყოფ ქვეყანას უმძიმეს სიტუაციაში ჩააგდებს.

ნახ. 2: საქართველოს საგარეო ვალების მომსახურების წილი კონსოლიდირებულ ბიუჯეტში



2. სუვერენული მოგალებების ეკონომიკური პროცესები ვალდებულებების შესრულებლობისას

სავალო კრიზისის გადაჭრისათვის აუცილებელია იმ ეკონომიკური მიზეზების გამოყვევა, რომელთა გამოც ესა თუ ის ქვეყანა უარს ამბობს ვალის მომსახურებაზე. უმეტეს შემთხვევაში, სახელმწიფო ან უშუალოდ იღებს საგარეო ვალს, ან წარმოადგენს გარანტორს. ასე, რომ გადაწყვეტილება საგარეო ვალის გადაუხდელობის შესახებ სამთავრობო დონისაა და არა ცალკეული მოვალის.

მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საგარეო ვალის გადაუხდელობის შესახებ წარმოადგენს სუვერენული მოვალის მიერ ვალდებულებების შესრულებლობას, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, მთავრობის მიმართ არ შეიძლება ისეთივე იურიდიული სანქციების გატარება, როგორიც ტრადიციულად ტარდება კერძო პირისადმი ანალოგიურ სიტუაციაში. მნიშვნელოვანია ის, თუ რომელი გზა წარმოადგენს სახელმწიფოსათვის უფრო ხელსაყრელს – ვალის მომსახურების შეჩერების თუ მისი გაგრძელების.

საგარეო ვალის გადაუხდელობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს სამი ძირითადი დანაკარგი, რომელსაც ამ შემთხვევაში მიიღებს:

1. აქტივების დაპატიმრება. სავსებით რეალურია, რომ კრედიტორებმა დაარწმუნონ საქუთარი მთავრობა დებიტორი ქვეყნის აქტივების დაპატიმრების შესახებ. ზემოაღნიშნულ აქტივებში იგულისხმება სუვერენული მოვალეების ცენტრალური ბანკების საერთაშორისო რეზერვები, ამ ქვეყნის რეზიდენტების საკუთრებაში არსებული აქტივები, რომლებიც განთავსებულია კრედიტორ ქვეყნებში, აგრეთვე კრედიტორ ქვეყანაში იმპორტირებული საქონელიც კი.

2. კაპიტალის ბაზრიდან განდევნა. არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ საგარეო ვალის გადაუხდელობის გამოცხადების შემდეგ, სახელმწიფო დროებით არ დაიშვება კაპიტალის ბაზარზე. მომავალი კრედიტორები ეჭვით ეპიდებიან არასტაბილური ქვეყნის წინადაღებებს. იმ შემთხვევაში, როდესაც სუვერენული მოვალე შეძლებს ახალი სესხის მიღებას, მელი კრედიტორები შეეცდებიან ამ სახსრების ამოღებას ვალის დაფარვის მიზნით. აღნიშნული პროცესები ძალზე უარყოფით გავლენას ახდენენ განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკაზე. მთავრობას მოუწევს ყველა შიდა ინვესტიციის საქუთარი მწირი დაგროვების ხარჯზე განხორციელება. უფრო მეტიც, როდესაც ქვეყანა დაკარგავს უცხოური კაპიტალის მოზიდვის მოქნილ მექანიზმს, რეალური შემოსავლების მოზიდვაში წარმოქმნილი დროებითი შევერხებისას, აღარ ექნება მოხმარებისა და ინვესტიციების საშუალება. მსგავსი რეაგები გაზრდის ეკონომიკურ დანაკარგებს და ქვეყანაში პილიტიკური ვითარების გამწვავებას გამოიწვევს.
3. მოგების შემცირება საერთაშორისო ვაჭრობიდან. ქვეყნისათვის ყველაზე სერიოზულ დანაკარგს წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების შეზღუდვა. გარკვეულწილად ეს გამოწვეულია ზემოთ ნახსენები მიზეზებით. როგორც აღინიშნა, შესაძლებელია კრედიტორ ქვეყანაში იმპორტირებული საქონელის დაპატიმრება ვალის დაფარვის ანგარიშში. ამასთან, უცხოური კაპიტალის ბაზარზე მოვალე ქვეყნის პოზიციების გაუარესება შეზღუდავს მის შესაძლებლობას სავაჭრო კრედიტების მისაღებად და უცხოური ბანკების ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციების გასაკონტროლებლად (ვინაიდან შესაძლებელია ეს ანგარიშებიც დაპატიმრებული აღმოჩნდნენ). როდესაც ქვეყანას საგალუბო გადარიცხვების საშუალება აღარ ექნება, იგი იძულებული გახდება განახორციელოს ბარტერული ვაჭრობა.

თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, გადაუხდელობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას თავისი უპირატესობაც აქვს – ქვეყანას აღარ მოუწევს საგარეო ვალზე დარიცხული პროცენტებისა და ძირითადი თანხის დაფარვა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში საგარეო ვალის მომსახურების ხვედრითი წილის განსაზღვრისათვის არსებობს შემდეგი ინდიკატორი – რესურსების წმინდა გადინება კრედიტორიდან მოვალეზე (RT). ეს ინდიკატორი გამოითვლება როგორც ქვეყნის მიერ მიღებული ახალი კრედიტების მოცულობას (L) გამოკლებული მის მიერ გადახდილი პროცენტები და ძირითადი თანხა (S), ასევე ნებისმიერი ფორმით ქვეყნიდან კაპიტალის წმინდა გადინება (O), ანუ:

$$RT = L - S - O$$

თუ RT დადებითი სიდიდეა, მოვალის მიერ აღებული ახალი კრედიტები აღემატება კრედიტორებისათვის გადახდილ მომსახურების თდგნობას, ანუ საგადამხდელო ბალანსში ადგილი აქვს კაპიტალის შემოდინებას უცხოეთიდან. თუ RT უარყოფითი სიდიდეა, ე. ი. ხდება კაპიტალის გადინება, ანუ ახალი კრედიტები არ აღემატება არსებული დავალიანების დასაფარავად საჭირო თანხას.

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოში წლების განმავლობაში რესურსების წმინდა გადინება კრედიტორიდან მოვალეზე დადგბით სიდიდეებს წარმოადგენს (იხ. ცხრილი 6). აშკარაა, რომ, ასეთ ვითარებაში, ქვეყანა არ მიიღებს გადაწყვეტილებას ვალის გადაუხდელობის შესახებ, სანამ კრედიტორებისაგან კაპიტალის წმინდა შემოდინება დადებითია. სახელმწიფო უოველოვის შეასრულებს ვალის მომსახურების ვალდებულებას, თუ ის ამ სახსრებს ახალი კრედიტორებისაგან უმტკივნეულოდ მიიღებს. ხოლო, თუ RT უარყოფითი გახდება, ყოველთვის იარსებებს სავალო ვალდებულებების შეუსრულებლობის ცდუნება. საერთოდ, მოვალე ქვეყანა გადაწყვეტილებას საგარეო ვალის გადაუხდელობის შესახებ იმ შემთხვევაში დებულობს, თუ ეს გადაწყვეტილება უფრო მომგებიანი იქნება საკრედიტო შეთანხმებების დარღვევის მოსალოდნელ დანაკარგებზე.

ცხრილი 6: საქართველოს შემთხვევაში რესურსების წმინდა გადინება კრედიტორიდან მოვალეზე

(მილიონი აშშ დოლარი)

დასახლება	1995	1996	1997	1998	1999	2000
ახალი კრედიტების მოცულობას (L)	216	198	161,1	243,9	286,6	201,3
გადახდილი პროცენტები და ძირითადი თანხა (S)	19,4	24,1	40,9	53,22	81,62	60,9
კაპიტალის წმინდა გადინება (O) *	-210,3	-323,6	-280,6	-126,4	-121,8	-108
რესურსების წმინდა გადინება კრედიტორიდან მოვალეზე (RT)	406,9	497,5	400,8	317,08	326,78	249,3

* საგადამხდელო ბალანსის კაპიტალის და ფინანსური ანგარიშების საფუძველზე.

3.სავალო პრიზისის დარებულირების გზები და მეთოდები. HIPC-ის ნიმუშითივა

სავალო კრიზისის დარეგულირება წარმოადგენს ურთელეს და არაერთგაროვან პროცესს, რომლის წარმართვაშიც მონაწილეობას იღებენ კრედიტორი და დებიტორი ქვეყნების მთავრობები, აგრეთვე, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და უმსხვილესი კომერციული ბანკები, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული პრეტენზიები განვითარებად ქვეყნებთან.

მსოფლიო საზოგადოებაში თანდათანობით მომწიფდა აზრი საგარეო ვალების ფართომასშტაბიანი ჩამოწერის შესახებ. ეს პროცესი 80-იანი წლების მსოფლიო სავალო კრიზისის შემდგომ, ეფოლუციურად ვითარდებოდა:

- 1982-1985 წლების განმავლობაში კრედიტორები ყველანაირი ძალისხმევით ცდილობდნენ ვალების ამოდებას;
- 1985-1989 წლებში მოქმედებდა “ბეიკერის გეგმა”, სავალო კრიზისის გადაჭრის პოსტერიული მეთოდი;
- 1989 წლიდან დღემდე მოქმედებდა “ბრეიდის გეგმა”, რომლის დროსაც განხორციელდა ვალების ნაწილობრივი ჩამოწერა.

1985 წლის ბოლოსათვის, კრედიტორმა ქვეყნებმა ამ სახელმწიფოებს შესთავაზეს ნაკლებად მკაცრი პოლიტიკა, რომელიც აშშ-ის იმჟამინდელი ფინანსთა მინისტრის (ხაზინის ხელმძღვანელის) ჯეიმს ბეიკერის გეგმის სახელითაა ცნობილი. ქალი გეგმის მიხედვით, კრედიტორმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ჯერ კიდევ არ თანხმდებოდნენ ვალების მოცულობის შემცირებაზე, უფლება მისცეს მოვალე ქვეყნებსა და კომერციულ ბანკებს თავად ეწარმოებინათ მოლაპარაკებები ვალების მომსახურების პირობების შესახებ. მოვალე ქვეყნებს უნდა მიედოთ გრძელვადიანი ფინანსური დახმარებები საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკისაგან. დაფინანსების სანაცვლოდ, მოვალე ქვეყნები საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ზედამხედველობით გრძელვადიანი რეფორმების გატარების ვალდებულებებს იღებდნენ.

თავის მხრივ, კრედიტორმა ქვეყნებმა უშუალოდ მათ მიერ გაცემული სესხების პირობები შეარბილეს. მაშინ, როცა კომერციული ბანკები და მოვალე ქმარები ლონდონის კლუბის საშუალებით მართვდნენ მოლაპარაკებებს, სახელმწიფოთაშორისო კრედიტები პარიზის კლუბში განიხილებოდა. ამ პერიოდიდან, სავალო კრიზისის გადაჭრის პროცესში საერთაშორისო სავალუტო ფონდი უკვე გადამზევდებოდა. მოვალე ქვეყნის რეფორმის პროგრამები სსფ-ს მიერ უნდა ყოფილიყო მიღებული.

ბეიკერის გეგმას განვითარებადი ქვეყნებისათვის შესამჩნევი პროგრესი არ მოუტანია, ვინაიდან ის ვალების გადახდის გადავადებას წარმოადგენდა. მოვალე ქვეყნების უმეტესობაში სავალო კრიზისი გრძელდებოდა და საჭირო იყო უფრო ქმედითი ზომების გატარება.

ბეიკერის გეგმის ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა ის ვარაუდი, რომ თანდათანობით მოხდებოდა ვალების მთლიანად დაბრუნება. აღიარა რა ამ ვარაუდის მცდარობა, 1989 წლის მარტში აშშ-ს ახალმა ფინანსთა მინისტრმა ნიკოლას ბრეიდიმ შეიმუშავა ახალი გეგმა. მან განაცხადა, რომ ვალების სრული დაბრუნება შეუძლებელია და საჭიროა ბანკებზე განხორციელდეს ზეწოლა, რათა მოხდეს სავალო ტვირთის გარკვეული შემსუბუქება. ამასთან, ის მოუწოდებდა გაზრდილიყო მეორადი ბაზრის მოცულობა, რათა შემცირებულიყო სავალო გადახდების მოცულობა.

ბეიკერის გეგმასთან შედარებით, ბრეიდის გეგმა წინგადაგმული ნაბიჯია, ვინაიდან ხდებოდა სავალო ვალდებულებების რეალური შემცირება. ბანკებს აღარ რჩებოდათ სხვა გამოსავალი, გარდა იმის აღიარებისა, რომ ვალების კოლოსალური ოდენობის სრულად დაბრუნება არასოდეს არ მოხდებოდა. ვალების სრულად დაბრუნების მცდელობისას, ბანკებს შეეძლოთ ისეთი დესტაბილიზაციის გამოწვევა მოვალე ქვეყანაში, რომ საბოლოო ჯამში მიღებული თანხა მოლაპარაკებების გზით მიღებულზე გაცილებით ნაკლები აღმოჩნდებოდა.

მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სტრატეგიულმა პოლიტიკამაც. აშკარა გახდა, რომ სავალო კრიზისი საფრთხეს უქმნიდა ლათინური ამერიკის ქვეყნების პოლიტიკურ სტაბილურობას. სახიფათო სიტუაცია შეექმნათ მექსიკის, არგენტინის, ბრაზილიის და სხვა სახელმწიფოების ძლიერ მიღწეულ დემოკრატიულ რეჟიმებს.

ამასთან, 1989 წლისათვის, ბანკებმა შეძლეს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებინათ საკუთარი მდგომარეობა და უდიდესი დანაკარგების მიუხდავად, სავალო კრიზისს აღარ შეეძლო გამოეწვია მსოფლიოს ფინანსური სისტემის კრახი, რისი საშიშროებაც 1982 წლისათვის რეალურად არსებობდა.

ბრეიდის გეგმა შეიცავდა სამ ძირითად პრინციპს:

1. კომერციულმა ბანკებმა უნდა “შესთავაზონ მოვალე სახელმწიფოებს ფინანსური მხარდაჭერის ალერნატიული ფორმების უფრო ფართო არჩევანი, ვალების ძირითადი თანხის და დარიცხული პროცენტების შემცირების ჩათვლით, ასევე უზრუნველყონ მათვის ახალი კრედიტების მიცემა”. ბრეიდი სარჩელების შეტანისაგან დროებით თავის შეგვებისაკენ მოუწოდებდა, რათა ცალკეულ ბანკსა და მოვალე ქვეყნას მოეგვარებინათ დაგალიანების პრობლემები.
2. სსვ და მსოფლიო ბანკი მოვალენი იყვნენ უზრუნველეყოთ დაფინანსება “ვალის ძირითადი ნაწილის და მისი მომსახურებისათვის საჭირო გადახდების შემცირების მიზნით”. პრაქტიკულად, საერთაშორისო ინსტიტუტებს შეეძლოთ საგარეო ვალის ნაცვლად მოვალის მიერ გამოშვებული ობლიგაციების გარანტორად გამოსულიყვნენ ან გაეცათ კრედიტი “მოვალე ქვეყნის რეზერვების შესავსებად”, რათა მათ მეორად ბაზარზე გამოესყიდათ საკუთარი სავალო ვალდებულებები.
3. უნდა შეცვლილიყო პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, მოვალე ქვეყნას სსფ-საგან სესხის ასაღებად ესაჭიროებოდა ძველი კრედიტორი კომერციული ბანკების თანხმობა.

1991 წლისათვის, ბრეიდის გეგმის მიხედვით, მოვალე რიგმა ქვეყნებმა მიაღწიეს შეთანხმებებს კომერციულ ბანკებთან. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდგომ, კრედიტორმა ბანკებმა მექსიკის საგარეო ვალის ოდენობა 35 პროცენტით, ვენესუელის – 9,9 პროცენტით, ურუგვაის – 18,8 პროცენტით, ფილიპინების – 4,7 პროცენტით, კოსტა-რიკის – 65 პროცენტით შეამცირეს, ხოლო ნიგერის საგარეო ვალის სრული, 100 პროცენტიანი ჩამოწერა მოახდინეს. შედარებით ნაკლები წარმატებით დამთავრდა მოლაპარაკებები სხვა განვითარებადი ქვეყნებისათვის.

ბრეიდის გეგმის გარდა, რომელიც კომერციული ბანკების პრობლემების გადაჭრისათვის იყო გამიზნული, კრედიტორი ქვეყნების მიერ მიღებული იქნა ზომები სახელმწიფოთაშორისო ვალების საკითხების დარეგულირების მიზნით. 1987 წელს დაიწყო საპარის სამხრეთით მდებარე უდარიბესი ქვეყნებისათვის სახელმწიფოთაშორისო ვალების შემცირების პოლიტიკის გატარება. 1991 წელს ეს ზომები გავრცელდა სხვა დარიბ სახელმწიფოებზეც, პირველ რიგში პოლონეთზე და უგვიპტეზე. პარიზის კლუბის მიერ ამ ქვეყნების სახელმწიფოთაშორისო ვალები განახევრდა.

მიუხედავად ბრეიდის გეგმის პოზიტიური მხარეებისა და დადებითი შედეგებისა, საერთო ჯამში, ისიც ბეიკერის გეგმის მსგავსად, სავალო კრიზისის პრობლემებს სრულყოფილად ვერ წყვეტს. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც პრობლემის გადავადება მოხდა, ვინაიდან სავალო კრიზისის მონაწილე ქვეყნების სრული რეაბილიტაცია ვერ განხორციელდა.

გაქრა, ილუზია იმის შესახებ, რომ შესაძლებელია განვითარებადი და პოსტსოციალისტური ქვეყნების ნორმალურ მოვალეებად ჩამოყალიბება. ამ ქვეყნებს არ შეუძლიათ დასავლეთის კომერციული ბანკების გრძელვადიანი და სახელმწიფოთაშორისო კრედიტების დაფარვა.

1999 წლის ზაფხულში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ინიციატივითა და „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების გადაწყვეტილებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის აქტიური მონაწილეობით დაიწყო ვალების პატიების ახალი ეტაპი. ეს ძირითადად შეეხო აფრიკის სახელმწიფოებს. განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც დემოკრატიული განვითარების და ეკონომიკური რეფორმების გზას ადგანან, ჩამოეწერებათ საგარეო ვალები. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაიწყო აქტიური მუშაობა ახალ პროგრამაზე სახელწოდებით: “ინიციატივა დიდი მოცულობის ვალების მქონე დარიბი ქვეყნებისათვის” (Heavily Indebted Poor Country (HIPC) Initiative).

საქართველოს მონაწილეობა ახალ მსოფლიო ინიციატივაში და მისი სავალო ტვირთისაგან განთავისუფლება აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეცნიერო მთავრობამ 2001 წლის ივლისში წამოაყენა წინადაღება საქართველოსა და სხვა რამდენიმე კოფილი საბჭოთა ქვეყნის (სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ტაჯიკეთი) ამ პროგრამასთან შეირთების შესახებ.

ამ ინიციატივის ფარგლებში, ვალების შემცირებასაქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. მიუხედავად ამისა, ისეთ ვითარებაში მყოფი ქვეყანისათვის, როგორიც საქართველოა, ვალების ჩამოწერის დადებითი ეფექტი აჭარბებს უარყოფითს, რომელიც დარიბი ქვეყნების რიგში მოხვედრით შეიძლება წარმოიქმნას. ნეგატიური მხარე მდგომარეობს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის შერყევაში და შესაბამისად უცხოური ინვესტორების მიერ ძალიან დაბალი საკრედიტო რეიტინგის მქონე ქვეყანასთან ურთიერთობისგან თავის შეკავებაში. გარკვეული სიმნელეები შეიძლება წარმოიქმნეს ახალი კრედიტების შიდების თვალსაზრისითაც.

დანართი II: საბალასახადო უელერალიზმი: თანხმობა სეპარატიზმი?

ვლადიმერ პაპავა, სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების საქართველოს ფონდის
უფროსი მკვლევარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

დღეს, როცა ქვეყანა იმყოფება უმძიმეს საბიუჯეტო კრიზისში უმთავრესი ამოცანაა მაქსიმალურად იქნება გამოვლენილი და გამოყენებული ყველა ის რეზერვი, რომელიც უზრუნველყოფს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას. ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფისკალური სისტემის რეგიონული მოწყობის ისეთი მოდელის შერჩევას, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ საბიუჯეტო შემოსავლებს.

თავიდანვე ხაზი უნდა გაესვას, რომ წინამდებარე სტატიის მიზანი არა გადასახადის ამა თუ იმ სახეობის, ან მისი შესაბამისი განაკვეთის მიზანშეწონილობის, არამედ ქვეყნის რეგიონებსა და ცენტრს შორის საგადასახადო შემოსავლების განაწილების სისტემის განხილვა.

საგადასახადო სისტემა საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი ქვესისტემაა, და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს. თავის მხრივ საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის ტერიტორიული ასპექტი მნიშვნელოვნად არის განპირობებული სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობისაგან. ეპონომისტები როგორც წესი იყენებენ ტერმინს “საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი” იმისდა მიუხედავად, თუ სახელმწიფო როგორია – ფედერაციული, თუ უნიტარული (Хьюитт, Михальек, 1993, с. 392). აქე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ არც იურიდიულ მეცნიერებაშია სრულად გადაწყვეტილი ფედერაციული სახელმწიფოს ცნების ჩამოყალიბების საკითხი, ხოლო ზოგიერთი ცნობილი იურისტი საერთოდ უარყოფს კიდევ მისი განმარტების შესაძლებლობას (მაგალითად, გოგიაშვილი, 2000, გვ. 23-28; ხუბუა, 2000, გვ. 212-216).

“საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი” მოიცავს ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო მოწყობის ორივე მხარეს: ერთის მხრივ არეგულირებს საგადასახადო შემოსავლების, ხოლო მეორეს მხრივ კი – სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი ხარჯების განაწილებას ქვეყნის ცენტრალურ (“ცენტრსა”) და ტერიტორიულ (“რეგიონებს”) სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის. ფედერაციული სახელმწიფოს პირობებში “რეგიონებიდან” ცალკე გამოიყოფა ფედერაციის სუბიექტები, რომელთაც პირობითად ვუწოდოთ “ფედერაციული რეგიონები”.

“საგადასახადო ფედერალიზმი”, ანუ საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნა “ცენტრსა” და “რეგიონებს” შორის უნიტარულ, და “ცენტრს”, “ფედერაციულ რეგიონებსა” და “რეგიონებს” შორის ფედერაციულ სახელმწიფოში, ეპონომიკური მეცნიერების ურთულესი პრობლემაა და შეიძლება ითქვას, რომ მისი რაიმე ერთიანი, ამავე დროს უველასოვის ერთნაირად მისაღები და ამდენად უნაკლო მოდელი არ არსებობს (Хьюитт, Михальек, 1993, с. 395). მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებას არ გააჩნია მეტნაკლებად დამაჯერებელი არგუმენტები საგადასახადო უფლებამოსილებათა ოპტიმალური გამიჯვნის შესახებ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ დასავლეთის უნიტარულ სახელმწიფოებში საგადასახადო ფუნქციათა “ცენტრსა” და “რეგიონებს” შორის განაწილების შესაძლო მიღების ნაკლები ნაირსახეობაა, ვიდრე “ცენტრს”, “ფედერაციულ რეგიონებსა”

და “რეგიონებს” შორის ფედერაციულ სახელმწიფოებში¹ (Хьюитт, Михальек, 1993, с. 410). აქედან გამომდინარე გასაგებია, თუ “საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი” და კერძოდ “საგადასახადო ფედერალიზმი”, რატომ არის უფრო საინტერესო ფედერაციულ, ვიდრე უნიტარულ სახელმწიფოებთან მიმართებაში.

“საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმის” ამა თუ იმ მოდელის არჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფუნქციების შესრულებას აპირებს თავად ცენტრალური ხელისუფლება და რა ფუნქციების დელეგირება ხდება ფედერაციის სუბიექტებზე. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ამოსავალია ცენტრალური ხელისუფლების ქ.წ. “მინიმალურ ფუნქციათა” განსაზღვრა, რომლის გარეშეც ერთიანი სახელმწიფო როგორც ასეთი ვერ იარსებებს. ამ “მინიმალურ ფუნქციათა” რიცხვს განეკუთვნება ქვეყნის თავდაცვა, ერთიანი სამართლებრივი სივრცის შექმნა, საგარეო ურთიერთობები, საგარეო ვაჭრობის ერთიანი რეჟიმის დამყარება, ერთიანი ვალუტის ემისია და მის ბრუნვაზე კონტროლის განხორციელება, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, რეგიონთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოთანაბრების უზრუნველყოფი ღონისძიებების გატარება. როგორც საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, ნებისმიერი “სხვა ფუნქცია” სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება განახორციელონ ფედერაციის სუბიექტებში.

დემოკრატიულ (ასევე “დემოკრატიულობაზე” პრეტენზის მქონე) ნებისმიერ სახელმწიფო ცენტრალური ხელისუფლების მიერ, როგორც წესი, დეკლარირებულია მისი მზადყოფნა რაც შეიძლება მეტი დამოკიდებლობა მისცეს ხელისუფლების ტერიტორიულ თრგანოებს, ანუ მოახდინოს “მეტი ფუნქციათა” დალეგირება მათზე, და ზუსტად ასევე ეს უკანასკნელი ხშირ შემთხვევაში საჯაროდ აფიქსირებენ თავის ერთგულებას ცენტრალური ხელისუფლების მიმართ და მისწრაფებას ერთიანი სახელმწიფოს გასაძლიერებლად. მიუხედავად ამისა, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს საჯაროდ დეკლარირებული ხსნებული განცხადები თითქმის ორცერთ ფედერაციულ სახელმწიფოში იდეალურად რეალიზებული არ არის: ყოველთვის რჩება პრობლემათა ის წრე, რომელიც მეტ-ნაკლები სიმწვავით განიხილება “ცენტრსა” და “რეგიონებს” (მათ შორის განსაკუთრებით “ფედერაციულ რეგიონებს”) შორის სახელმწიფო უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ გამართულ დისკუსიებში. იმ ცვედერაციულ სახელმწიფოებში, რომელთაც დემოკრატიული განვითარების შედარებით ხანგრძლივი ისტორია აქვთ, როგორც წესი, სადისკუსიო საკითხთა წრე შედარებით ვიწროა, ხოლო თავად დისკუსია ნაკლებად მწვავე.

“ცენტრსა” და “რეგიონებს” შორის ხსნებულ დაპირისპირებაში როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს გამოიყენება შემდეგი სახეობის პრინციპები მიდგომები.

“ცენტრი”, როგორც წესი, პრაქტიკულად არ სჯერდება მხოლოდ “მინიმალურ ფუნქციათა” განხორციელებას (თუმცა ის ამას ხმამაღლა რა თქმა უნდა არ აცხადებს) და ცდილობს შეინარჩუნოს სახელმწიფო მართვის დამატებითი ბერკეტები. ამ მიზნით “ცენტრის” ხელში არის ისეთი მექანიზმი, როგორიცაა ტრანსფერტები ცენტრალური ბიუჯეტიდან მთლიანად ქვეყანასა და მის ცალკეულ რეგიონებში არსებული პრობლემების დასარეგულირებლად. აქედან გამომდინარე ბუნებრივია, რომ “ცენტრი” ხშირ შემთხვევაში ცდილობს გააფართოვოს “სატრანსფერტო” სისტემა.

¹ მას ადასტურებს ცალკეულ უნიტარულ და ფედერაციულ სახელმწიფოთა მაგალითზე ჩატარებული ანალიზი (Русакова, Кашин (ред.), сс. 235-456).

პრინციპულად განსხვავებული მექანიზმით მოქმედებენ “რეგიონები” (განსაკუთრებით “ფედერაციული რეგიონები”). ისინი ითხოვენ საგადასახადო შემოსავლების რეგიონში დასატოვებელი ნაწილის გაზრდას, როგორც გადასახადების სახეობათა მოცვის, ისე საგადასახადო შემოსავლების განაწილების პროპორციის მათ სასარგებლოდ გადადების ხარჯზე. ეს თავის მხრივ იწვევს სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ფუნქციათა “გადაქაჩვას” რეგიონულ დონეზე. ამ ლეგალური მეთოდების გარდა “რეგიონები” (როგორც წესი “ფედერაციული რეგიონები”) ცალკეულ შემთხვევაში იყენებენ კანონსაწინააღმდეგო მექანიზმებსაც. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ განმაზოგადებელ გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთ ფედერაციულ სახელმწიფოში, სადაც ფედერაციის სუბიექტები შესაბამისი კანონების დაცვით სრულად და დროულად რიცხავებ ცენტრალურ ბიუჯეტში თავიანთ წილს, ხშირ შემთხვევაში გამოჩნდება ფედერაციის ისეთი ერთი სუბიექტი, რომელიც კანონის დარღვევით ადგილზე იტოვებს ცენტრალური ბიუჯეტის კუთხით საშმოსავლო თანხებს; ამ შემთხვევაში “ცენტრი” შესაბამისი ოდენობით უმცირებს ამ ურჩ “ფედერაციულ რეგიონს” ტრანსფერტებს, მაგრამ ამ დაპირისპირებაში მოგებული მაინც “ფედერაციული რეგიონი” რჩება, რადგანაც ამგვარი ქმედებით მას აქვს ძლიერი საფინანსო ბერკეტი “ცენტრის” მიერ გატარებულ პოლიტიკაზე ზემოქმედებისათვის; ამის საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ ერთიანი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე “ცენტრს” უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ფედერაციის სუბიექტებიდან თანხმობის მიღების გარეშე უშუალოდ ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეობა აკრიფოს გადასახადები (Хьюитт, Михальєк, 1993, с. 400).

სავარაუდოა, რომ საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, როდესაც დაუშვებელად ჩათვალა აჭარის ავტონომიური რესაუნდიკის ბიუჯეტში ანარიცხების გრძელვადიანი ნორმატივების მიხედვით დამატებული დირექტულების გადასახადის, აქციზისა და საბაჟო გადასახადის ნაწილის ადგილზე დატოვება (სპსო, 2000, გვ. 4).

როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხენებული გამოკვლევა გვიჩვენებს, ერთი შეხედვით ძნელია არ დაეთანხმო საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოყვანილ მოსაზრებას. უფრო დეტალურად ამ საკითხის განხილვას ქვემოთ მივუბრუნდებით.

ეკონომიკური მეცნიერებას, როგორც ეს უკვე აღინიშნა ზემოთ, არ გააჩნია მგაცრი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც მკაფიოდ იქნებოდა ჩამოყალიბებული, თუ რომელი სახეობის გადასახადი არის თავისი ბუნებით ფედერალური და რომელი ადგილობრივი. ერთადერთი, რაც ამ მიმართულებით შეიძლება ითქვას არის ის, რომ გადასახადის მხლოდ ორი სახეობის მიხედვით მოიძებნება მეტ-ნაკლები სიმკაცრის თეორიული მტკიცება მათი “იერარქიული” ბუნების შესახებ; კერძოდ, ესენია – გადასახადი საკუთრებაზე (მიწასთან ერთად) და საბაჟო გადასახადი. პირველი მათგანი ითვლება ადგილობრივ (რადგანაც საკუთრების დაგროვება გარკვეულ ტერიტორიაზე ხდება), ხოლო მეორე კი – ფედერალურ გადასახადად (რადგანაც საბაჟო გააჩნია მთლიანად სახელმწიფოს და არა მის ცალკეულ რეგიონებს) (Хьюитт, Михальєк, 1993, с. 410). ხშირია მცდელობა იმის ლოგიკური დასაბუთების, რომ ფედერალურ გადასახადად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე დამატებული დირექტულების გადასახადი და აქციზი (Хьюитт, Михальєк, 1993, с. 400-401), თუმცა ამის თეორიული არგუმენტაცია იმდენად ხელვნურია, რომ ის ნამდვილად არ შეიძლება სრულყვილად ჩაითვალოს.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში, რომელთაც აქვთ სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობა გამოიყენება საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნის სხვადასხვა სქემა და არ არსებობს რაიმე კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც შეიძლება შეირჩეს მათ შორის საუკეთესო (ეფექტიანობის თვალსაზრისით); ამავე დროს ისიც გასათვალისწინებელია, რომ ასევე არ არსებობს რაიმე ეკონომიკური არგუმენტაცია იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ არ შეიძლება ნებისმიერი გადასახადის “ერთდროული ამოღება” “ცენტრისა” და “რეგიონების” მიერ (Хьюитт, Михальек, 1993, с. 410).

საერთაშორისო გამოცდილებისა და ეკონომიკური მეცნიერების რეკომენდაციებზე დაყრდნობით განვიხილოთ საქართველოში შექმნილი კონკრეტული სიტუაცია, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება ამ ეტაპზე ყველაზე უფრო მისაღები გადაწყვეტილების მოძებნა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველის პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პოზიციის თანახმად დაუშვებელია აჭარის აგტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ანარიცხების გრძელვადიანი ნორმატივების მიხედვით დამატებული ღირებულების გადასახადის, აქციზისა და საბაჟო გადასახადის ნაწილის ადგილზე დატოვება. სავარაუდოა, რომ საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი მით უფრო იყოს დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილის თბილისში, ან საბაჟო გადასახადის ნაწილის ფორმი (რომლებიც ამ საკითხს ძალზედ მწვავედ აყენებენ), რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს სხვა რეგიონებზე (მაგალითად, იმერეთზე, რომლის ხელმძღვანელობა კომპლექსურად აყენებს ანალოგიური ხასიათის წინადადებებს), დატოვების წინააღმდეგი.

აქვე მიზანშეწონილია ისიც აღინიშნოს, რომ საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებში თანდათან სულ უფრო მეტ პოპულარობას იქნებს მიღება, რომლის თანახმადაც მკაცრად უნდა გაიმიჯნოს გადასახადები სახელმწიფო იერარქიის მიხედვით, როცა, დაფუშვათ, დამატებული ღირებულების გადასახადი ჩაითვლება ფედერალურ გადასახადად და ასივე პროცენტით ამოღებულ იქნება ცენტრალურ ბიუჯეტში, ხოლო, მაგალითად, საშემოსავლო გადასახადი ჩაითვლება ადგილობრივ გადასახადად და ასევე ასი პროცენტით ამოღებულ იქნება, შესაბამისად, ადგილობრივ ბიუჯეტში. ამ კონტექსტში ხაზგასახმელია, რომ როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს არაერთ ფედერაციულ და უნიტარულ სახელმწიფოში საშემოსავლო გადასახადი ასივე პროცენტით ფედერაციულია (და არა ადგილობრივი), ხოლო ზოგიერთ მათგანში ის განაწილებულია “ცენტრსა” და “რეგიონებს” შორის (იხ. ცხრილი 1).

ამგვარი მიღება, ჩვენი აზრით, “საგადასახადო ფედერალიზმის” უმარტივესი მოღელის საფუძველს წარმოადგენს. ის ერთის შეხედვით ერთობ მიმზიდველია, რამეთუ საკმაოდ გამარტივებულია საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნის სქემა, რაც მეტ-ნაკლებად ქმნის იმის საფუძველს, რომ პრაქტიკულად გამოირიცხოს ფედერაციის სუბიექტის მიერ ცენტრალურ ბიუჯეტში გადასარიცხოს საგადასახადო შემოსავლის ადგილზე უკანონოდ დატოვების “დამალვის” ობიექტური შესაძლებელობა: თუ კი ბოლო პერიოდის გამოცდილება ცხადყოფს, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის ავტონომიური რესუბლიკის ხელმძღვანელობას შორის ერთ- ერთი სადაო საკითხი იყო გადასახადის ყოველი სახეობის მიხედვით ცენტრალურ ბიუჯეტში გადარიცხული თანხების შესაბამისობა კანონით დადგენილ ნორმატივებთან, ზემოთმყვანილი მიღების პირობებში კამათის ობიექტი “ქრება”, რადგანაც კანონით დადგენილი ამა თუ იმ გადასახადით მიღებული შემოსავლები ან

ასივე პროცენტით უნდა იქნეს, ან საერთოდ არ უნდა იქნეს გადარიცხული ცენტრალურ ბიუჯეტში. ის, რომ ამ შემთხვევაში კამათის ობიექტი “ქრება” და “ფედერაციული რეგიონის” ქმედება ძალზედ გამჭვირვალე ხდება, ეს სულაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, ფედერაციის სუბიექტს არ დარჩეს კანონის დარღვევის შესაძლებლობა “ცენტრზე” ზემოხსენებული პოლიტიკური ზეგავლენის მიზნით.

ცხრილი 1: საშემოსავლო გადასახადის განაწილება ხელისუფლების დონეებს შორის²

	ქვეყნები	ზედა დონე (ცენტრალური ხელისუფლება)	საშემოსავლო დონე (შტატები, მიწები და ა.შ.)	ქვედა დონე (ადგილობრივი ხელისუფლება)
I.	უნიტარული სახელმწიფოები			
	განვითარებული			
	ბელგია	90,9	—	9,1
	დიდი ბრიტანეთი	100,0	—	0,0
	ნიდერლანდები	100,0	—	0,0
	ნორვეგია	47,6	—	52,4
	საფრანგეთი	100,0	—	0,0
	შვედეთი	24,7	—	75,3
	განვითარებადი და პოსტკომუნისტური			
	ზომბაბვე	100,0	—	0,0
	ისრაელი	100,0	—	0,0
	კენია	100,0	—	0,0
	პოლონეთი	75,9	—	24,1
	სამხრეთ აფრიკა	100,0	—	0,0
	ტაილანდი	100,0	—	0,0
	უნგრეთი	71,9	—	28,1
	ჩილე	100,0	—	0,0
II.	ფედერაციული სახელმწიფოები			
	განვითარებული			
	ავსტრიალია	100,0	0,0	0,0
	აშშ	81,1	17,2	1,7
	გერმანია	39,1	40,8	20,1
	ესპანეთი	92,9	1,2	5,9
	ქანადა	63,5	36,5	0,0
	განვითარებადი			
	არგენტინა	34,2	65,8	0,0
	ბრაზილია	100,0	0,0	0,0
	ინდონეზია	100,0	0,0	0,0
	მექსიკა	98,1	1,3	0,6

ამავე დროს აღნიშნული მიღვომა, როცა საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნა თავად გადასახადების სახეობათა მიხედვით ხდება პინციპით – “ან სულ, ან არაფერი”, საბოლოო ჯამში მიგვიყვანს “საგადასახადო სეპარატიზმამდე”, როცა ფედერაციის სუბიექტების “საგადასახადო ინტერესები” სრულად იქნება იზოლირებული საერთო-სახელმწიფო “საგადასახადო ინტერესებისაგან”, რაც უარყოფითად აისახება ფედერაციულ სახელმწიფოს მთლიანობაზე. აქედან გამომდინარე სენატული მიღვომის გამოყენებას საგადასახდო უფლებამოსილებათა გამიჯვნაში ჩვენ “საგადასახადო სეპარატიზმის დოქტრინას” ვუწოდებთ.

² ცხრილი შედგენილია (Norregaard, 1995, p. 250) ბაზაზე.

საკითხის სრულად დახასიათების მიზნით აუცილებელია იმასაც გაესვას ხაზი, რომ “საგადასახადო სეპარატიზმის დოქტრინა” ხელშეწყვეტილი ნაკლის გარდა პრაქტიკულად არარეალიზებადიცაა მისი ბუნებიდან გამომდინარე. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილეში ნებისმიერი ქვეყნის რეგიონები სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით არათანაბრად არიან განვითარებული, რის შედეგადაც თითოეული სახეობის გადასახადის ამოღების მიხედვით სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული მდგომარეობაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადასახადის რამოდენიმე სახეობისადმი “რეგიონული” “ტიტულის” მინიჭებისას სავსებით შესაძლებელია რომელიმე რეგიონში ამოღებულ და დატოვებულ იქნეს იმდენად მცირე თანხა, რომელიც მოითხოვდეს შევსებას ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერტის სახით, ხოლო რომელიმე სხვა რეგიონში კი გადასახადის იმავე სახეობის მიხედვით ამოღებულ იქნეს იმდენად დიდი თანხა, რომელიც აღმატება ამ რეგიონის მოთხოვნას მიმდინარე საბიუჯეტო ხარჯებზე და ამ ნამეტი ოდგნობით მისი გამოყენება მიზანშეწონილ იყოს ცენტრალური ბიუჯეტიდან ზემოხსენებული ტრანსფერტის განსახორციელებლად. ასე, რომ პრინციპი – “ან სულ, ან არაფერი” პრაქტიკულადაც შეიძლება მოვიდეს აშკარა წინააღმდეგობაში ქვეყნის სახელმწიფოებრივი ერთიანობის შენარჩუნება-განვითარებასთან.

უკველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ “საგადასახადო სეპარატიზმის დოქტრინა” საზოგადოდ მიუდებელია ნებისმიერი ფედერაციული სახელმწიფოსათვის და კონკრეტულად საქართველოსათვისაც.

საქართველოში სახელმწიფოებრივი მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ჩვენი სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობის საკითხი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ვერ წყდება, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენტება იმ გაონომიკურ ბერკეტებს, რომლებიც “რეგიონებს” შეუქმნიან სტიმულს ეწ. “რეგიონული თანხმობისაქენ”, როცა ისინი უწინარეს კოვლისა ეკონომიკურად იქნებიან დაინტერესებულნი საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს განმტკიცებაში, მის სიძლიერეში.

ამგვარი ბერკეტების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადასახადების ერთდროული მობილიზება, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ბიუჯეტებში.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, რომ კონომიკურ მეცნიერებაში არ არსებობს რაიმე თუნდაც მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი არგუმენტაცია იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ არ შეიძლება ამოღებულ იქნეს გადასახადის ესა თუ ის სახეობა სახელმწიფოებრივი იერარქიის ამა თუ იმ დონეზე (Хьюитт, Михальек, 1993, с. 410).

ზემოთ აღინიშნა, რომ ყველაზე უფრო “შთამბეჭდავი” დასაბუთება აქვს საკუთრებაზე გადასახადს, როგორც – ადგილობრივს, და საბაჟო გადასახადს, როგორც – ფედერალურს. მაგრამ საკმარისია გავითვალისწინოთ, რომ ფიზიკური, ან იურიდიული პირი უძრავ ქონებას შეიძლება ფლობდეს ქვეყნის (და არა მარტო მის შიგნით) სხვადასხვა რეგიონში, უკვე მნელია ერთმნიშვნელოვნად გადაწყდეს ამ გადასახადის ადგილობრივ, თუ ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზების საკითხი: საკუთრების ადგილმდებარეობის მიხედვით გადასახადი ლოგიკურია გადახდილ იქნეს ადგილობრივ ბიუჯეტში, მაგრამ რადგანაც ეს საკუთრება ან ფიზიკური პირისაა, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადაადგილდება საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე, ან – იურიდიული პირისა, რომელიც შეიძლება ერთდროულად ფუნქციონირებს რამდენიმე რეგიონში, არანაკლებ არგუმენტირებულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ეს გადასახადი მობილიზებულ უნდა იყოს ცენტრალურ ბიუჯეტში. როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს საკუთრებაზე გადასახადი ასივე პროცენტით ფედერალური მხოლოდ ზოგიერთ უნიტარულ სახელმწიფოშია, სხვა (კენიის გარდა, სადაც ასივე პროცენტით ადგილობრივია) ის განაწილებულია ხელისუფლების იერარქიულ დონეებს შორის (იხ. ცხრილი 2).

ანალოგიური მსჯელობა შესაძლებელია საბაჟო გადასახადის მიმართაც. კერძოდ, რადგანაც საბაჟო მთლიანად ქვეყნისა და არა მისი რომელიმე რეგიონის, ამიტომ საბაჟო გადასახადის მობილიზება მხოლოდ ცენტრალურ ბუჯეტში თეორიულად საქმაოდ არგუმენტირებულად ჩანს, მაგრამ საბაჟო-გამშვები პუნქტები განლაგებული არიან მხოლოდ ცალკეულ რეგიონებში (უშუალოდ ქვეყნის ტერიტორიულ საზღვართან, საზღვაო პორტებში, თუ აეროპორტებში), რაც უქმნის დამატებით “დატვირთვას” ამ რეგიონებს, ამიტომ არანაკლები წარმატებითაა შესაძლებელი იმის მტკიცება, თუ რატომ უნდა დარჩეს საბაჟო გადასახადიდან მიღებული შემოსავლის თუნდაც მცირედი ნაწილი შესაბამისი რეგიონის ადგილობრივ ბიუჯეტში.

მაშასადამე, ფედერაციულ სახელმწიფოში “რეგიონული თანხმობის” მიღწევის ქმედით ეკონომიკურ მექანიზმს წარმოადგენს ყველა სახეობის გადასახადის ერთდროული მობილიზება ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში; მათ შორის განაწილების პროპორციის დასადგენად უწინარეს ყოვლისა საჭიროა ფედერაციის სუბიექტის სტატუსის და ამავე დროს თითოეულ რეგიონში გადასახადის ამა თუ იმ სახეობის ამოღების ობიექტურად შესაძლებელი ოდენობის “ცენტრსა” და “რეგიონებს” შორის საბიუჯეტო ხარჯების განაწილებასთან თანაფარდობის გათვალისწინება.

ცხრილი 2: საკუთრებაზე გადასახადის განაწილება ხელისუფლების დონეებს შორის³

	ქვეყნები	ზედა დონე (ცენტრალური ხელისუფლება)	საშეადო დონე (შტატები, მიწები და ა.შ.)	ქვედა დონე (ადგილობრივი ხელისუფლება)
I.	უნიტარული სახელმწიფოები			
	განვითარებული			
	ბელგია	100,0	—	0,0
	დიდი ბრიტანეთი	99,2	—	0,8
	ნიდერლანდები	65,1	—	34,9
	ნორვეგია	37,9	—	62,1
	საფრანგეთი	100,0	—	0,0
	შვედეთი	100,0	—	0,0
	განვითარებადი და პოსტკომუნისტური			
	ზომბავე	11,5	—	88,5
	ისრაელი	12,3	—	87,7
	კენია	0,0	—	100,0
	პოლონეთი	48,3	—	51,7
	სამხრეთ აფრიკა	25,5	—	74,5
	ტაილანდი	81,9	—	18,1
	უნგრეთი	100,0	—	0,0
	ჩილე	19,7	—	80,3
II.	ფედერაციული სახელმწიფოები			
	განვითარებული			
	ავსტრალია	2,4	57,8	39,8
	აშშ	6,0	6,7	87,3
	გერმანია	2,0	61,2	36,8
	ესპანეთი	5,8	50,5	43,7
	კანადა	0,0	16,2	83,8
	განვითარებადი			
	არგენტინა	49,2	50,8	0,0
	ბრაზილია	2,2	40,5	57,3
	ინდონეზია	33,7	66,7	0,0
	მექსიკა	1,2	0,0	98,8

³ ცხრილი შედგენილია (Norregaard, 1995, p. 250) ბაზაზე.

რადგანაც აჭარას აქვს კონსტიტუციურად განსაზღვრული აგტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მისი პრეტენზია, რომ მას დარჩეს ამა თუ იმ გადასახადიდან მიღებული შემოსავლის შედარებით დიდი ნაწილი ხსენებული მიღვომიდან გამომდინარე სავსებით ბუნებრივია; არ უნდა იყოს გასაკვირი თბილისის, როგორც საქართველოს დედაქალაქის სტატუსის მქონე ქალაქის პრეტენზია, რომ მას დარჩეს შექმნილი და ამოღებული დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილი; ყურადსაღებია იმერეთის მხარის, ქვემო ქართლის მხარის, ქალაქ ფოთის და საქართველოს სხვა რეგიონების წინადაღებებიც ქვეყანაში “საგადასახადო ფედერალიზმის” ინსტიტუტის ფორმირებაში.

საგადასახადო შემოსავლების დამატებითი რეზერვების მობილიზების მიზნით ქვეყნის თითოეულ რეგიონს შესაბამის ბიუჯეტში ანარიცხების ბიუჯეტით განსაზღვრულ ნორმატივებთან ერთად უნდა დაუმტკიცდეთ გაზრდილი ნორმატივებიც, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს საბუჯეტო შემოსავლების გეგმის გადაჭარბების შემთხვევაში.

განხილულ მიღვომას, როცა პრაქტიკულად ყველა სახეობის გადასახადის მიხედვით დასაშვებია ამოღებული საგადასახადო შემოსავლების “ცენტრსა” და “რეგიონებს” შორის განაწილება ვუწოდოთ “საგადასახადო თანხმობის დოქტრინა”. მას შეუძლია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი საქართველოს ფედერაციული მოწყობის პროცესში ერთიანი სახელმწიფო საწისის გამლიერებაში. აქვე მხედველობაშია მისაღები აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოხეთის პრობლემათა მშეიქმნა დარეგულირების პროცესში “საგადასახადო თანხმობის” პრინციპების გამოყენების მნიშვნელობაც.

ზემოთ ხაზგასმით აღინიშნა, რომ “საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმის” არცერთი მოდელი არ გამორიცხავს ქვეყნის ამა თუ იმ ურჩი “რეგიონის” (უწინარეს ყოვლისა “ფედერაციული რეგიონის”) მხრიდან საბიუჯეტო კანონმდებლობის დარღვევას, როცა ის უკანონოდ დაიტოვებს ადგილზე ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილ თანხებს, მაგრამ “საგადასახადო თანხმობის დოქტრინა” პრინციპულად ამცირებს დაძაბულობას “ცენტრსა” და “რეგიონს” შორის, რამაც სხვა თანაბარ პირობებში შეიძლება მინიმუმამდე დაიყვანოს ხსენებული “ურჩობის” ფაქტები.

დასასრულს მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ დღეს საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუციურად არ არის მზად “საგადასახადო თანხმობის დოქტრინის” სრულფასოვანი მოდელის რეალიზებისათვის. ამას უწინარეს ყოვლისა ხელს უშლის ის, რომ ჯერ-ჯერობით შეუძლებელია საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის პროცესის დასრულება. აქვე უნდა მიექცეს ყურადღება, რომ “საგადასახადო თანხმობის დოქტრინის” სრულფასოვანი მოდელის რეალიზებისათვის აუცილებელია ქვეყანას პქონდეს ერთიანი, ძლიერი ფინანსთა სამინისტრო, რომლის შემადგნლბაში იქნება საგადასახადო, საბაჟო და სახაზინო სამსახურები, რათა ერთიან ჭრილში იქნეს აღქმული საქართველოს “საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმის” (ანუ არა მარტო ხარჯების, არამედ შემოსავლების) სისტემა. მიუხედავად იმისა, აუცილებელია საქართველოს ყველა რეგიონის მიხედვით ნაბიჯ-ნაბიჯ იქნეს რეალიზებული “საგადასახადო თანხმობის დოქტრინის” ელგმენტები, რაც თავის მხრივ მეტ სინათლეს მოჰყენს ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის მომავალს.

ლიტერატურა

- გოგიაშვილი გ., 2000. უფარებითი ფედერალიზმი. თბილისი, ინტელექტი.
- სპსო, 2000. მოხსენება საქართველოს 2000 წლის კორექტირებული სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. თბილისი, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი.
- ხუბუა გ., 2000. ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი. თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.
- Norregaard J., 1995. Intergovernmental Fiscal Relations. In: *Tax Policy Handbook*. Ed. by P. Shome. Washington, IMF.
- Русакова И.Г., Кашин В.А. (ред.), 1998. *Налоги и налогообложение*. М., Финансы, ЮНИТИ.
- Хьюитт Д., Михальек Д., 1993. Финансово-бюджетный федерализм. В кн.: *Налогово-бюджетная политика в странах с экономикой переходного периода*. Под ред. В. Танзи. Вашингтон, МВФ.

ეკონომიკური გლობალიზაცია

აბსოლუტური უპირატესობა (Absolute advantage)	ქვეყნის უნარი აწარმოოს უფრო მეტი საქონელი ვიდრე სხვა ქვეყანა აწარმოებს რესურსების იგივე მოცულობისას (ი.e. ვარდობითი უპირატესობა)
არასრული დასაქმება (Under-employment)	ეკონომიკური სიტუაცია, როდესაც მუშახელის მიწოდება აჭარბებს მასზე მოთხოვნას
აუთსაიდენტი (ბანკის) (Outsider)	არა-ინსაიდენტი
აქცია (Share, Stock)	სახსრების მოპოვების მიზნით საქციო საზოგადოების მიერ გამოშვებული გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდი. აქციის მყიდვები გადახდილი ფულის სანაცვლოდ ხდება კომპანიის სრულუფლებიანი თანამესაკუთრე, ანუ მონაწილეობს მის მართვასა და მოგებაში. (ი.e. ვასიანი ქაღალდები, ობლიგაცია, სახაზინო ვალდებულება)
ბალანსის აღრიცხვის ფურცელი - ბალანსი (Balance sheet)	დოკუმენტი, რომელიც ასახავს ფირმის აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობას და ხტრუქტურას.
ბიუჯეტური შეზღუდვა (Budget constraint)	ხარჯების შეზღუდვა გამოწვეული სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად, შემოსავლების სიმცირით.
გადასახადები (Taxes)	ბეგარა დაწესებული სახელმწიფოს მიერ კერძო პირების ან საწარმოების შემოსავალზე ან მოგებაზე (პირდაპირი გადასახადი), საქონლის გამოყენებზე ან მომსახურებით სარგებლობაზე (ირიბი გადასახადი) და ქონებაზე. საქართველოში არსებული ძირითადი გადასახადებია:
	<ol style="list-style-type: none"> 1. საწარმოს მოგებაზე გადასახადი (Profit tax); 2. კერძო პირების შემოსავალზე გადასახადი (Personal income tax); 3. დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი – დღგ (Value Added Tax). მისი ბაზაა იურიდიული თუ ფიზიკური პირების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება – სხვაობა საქონლის ან მომსახურების სარგებლიზაციო ფასსა და მის

- წარმოებასა და მოწოდებასთან დაკავშირებული მატერიალურ ხარჯებისა;
4. **საბაჟო გადასახადი (Customs duties)** – სახელმწიფო ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისათვის;
 5. **აქციები (Excise)** – გარკვეული სახის საქონლის მოხმარებაზე ირიბი გადასახადი, რომელიც ჩართულია ამ საქონლის ფასში;
 6. **გადასახადები ხელფასების ფონდიდან (Payroll taxes)** – სპეციალური სახელმწიფო ფონდების (ჯანდაცვის, სოცურულნებულყოფის და ა.შ.) მოსაკრებელი, რომლის გადახდა დამქირავებლისა და მუშაგის მიერ ხდება საწარმოს ხელფასების ფონდიდან, ფიქსირებული განაკვეთით.

(იხ. საბადასახადო ბაზა)

გამოშვება, წარმოების მოცულობა (Output)

საქონელი და მომსახურება წარმოებული გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

დეპოზიტი (Deposit)

კერძო პირის ან საწარმოს ანგარიში კომერციულ ბანკში, რომელზედაც მომხმარებელს შეუძლია ფულის ან ჩეკების განთავსება და მათი გამოტანა ბანკის წინასწარ გაფრთხილების პირობით.

დეფლატორი (მშპ-ის დეფლატორი) (Deflator - GDP deflator)

ფასების ინდექსი, რომელიც წარმოადგენს გარკვეულ წელს გამოშვებული საქონლის დირებულების ფარდობას საბაზისო წლის ფასებში გამოსახულ ლირებულებასთან. მშპ-ის დეფლატორი განსაზღვრავს დამოკიდებულებას ნომინალურ და რეალურ (საბაზისო წლის) მშპ-ს შორის.

დეფლაცია (Deflation)

ფასების საერთო დონის დაწევა. (იხ. 06ვლაცია)

ეკონომიკური ზრდა (Economic growth)

რეალური გამოშვების ზრდა.

ეროვნული ანგარიშები (National accounts)

დორის გარკვეულ პერიოდში (როგორც წესი, ერთი წლის განმავლობაში), ეროვნული ეკონომიკის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების ერთობლიობა. კერძოდ, ეროვნული ანგარიშები ასახავენ ქვეყნაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიან მოცულობას და ქვეყნის ეკონომიკური აქტიურობის ინდიკატორს წარმოადგენენ.

**ვალდებულება (პასივი)
(Liability)**

ვალი; პიროვნების ან საწარმოს განკარგვაში არსებული სახსრები და ქონება, რომელზედაც სხვა მხარეს გარკვეული პრეტენზია შეიძლება გააჩნდეს.

ქვეყნის ვალუტის სხვა ქვეყნის ვალუტაში გამოსახული ფასი, რომელიც დადგენილია ამ ვალუტების რეალური მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით.

**ვალუტის გამყარება (კურსის ზრდა)
(Appreciation)**

სავალუტო ბაზარზე ვალუტის ფასის ზრდა. (იხ. ვალუტის დაცვა)

**ვალუტის დაცვა (კურსის დაცვა)
(Depreciation)**

სავალუტო ბაზარზე ვალუტის გაიაფება სხვა ვალუტებთან შედარებით.

შენიშვნა: ეპონომიკურ ლიტერატურაში ხიტყვას „Depreciation“ შეიძლება ჰქონდეს სხვა მნიშვნელობაც – ცვეთა, ცვეთის საბუღალტრო ასახვა, ამორტიზაცია.

**ინვესტიცია (კაპიტალდაბანდება)
(Investment)**

1. ფიზიკური ქონების, მაგალითად ქარხნის, მანქანადანადგარების, შესაძენად გაწეული ხარჯი. (რეალური ინვესტიცია)

2. ფასიანი ქაღალდების, მაგალითად აქციების, შესაძენად გაწეული ხარჯი. (ფინანსური ინვესტიცია)

შენიშვნა: რეალური ინვესტიცია ქმნის ახალ აქტივებს, ე. ი. ზრდის ქვეყნის საწარმოო პოტენციალს; მაშინ როდესაც ფინანსური ინვესტიცია, უბრალოდ, აქტივების ფლობის უფლების გადაცემაა.

**ინსაიდერი (ბანკის)
(Insider)**

ბანკის ადმინისტრაციული მუშაკი ან აქციონერი, მისი ოჯახის წევრი ან მასთან საქმიანი ინტერესებით დაკავშირებული პირი. (საპირ. - აუთსაიდერი)

**ინტელექტუალური კაპიტალი
(Human capital)**

საერთო ცოდნა რომელიც გამოიყენება წარმოებაში. ინვესტიციებს ინტელექტუალური კაპიტალის გაზრდაში, ანუ სხვადასხვა სახის გამოკვლევებში, შედეგად სდევს ახალი, ტექნიკურად გაუმჯობესებული პროდუქციის წარმოება და ეკონომიკის ეფექტურობის ზრდა.

**ინტერვენცია
(Intervention)**

ამა თუ იმ ეკონომიკური სუბიექტის ერთჯერადი ინტენსიური ზემოქმედება ბაზარზე. მაგალითად ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის გაყიდვის მკვეთრი გაზრდა.

ინფლაცია
(Inflation)

ფასების საერთო დონის აწევა. (იხ. დეზლაცია)

კალათა
(Basket)

ამა თუ იმ სიდიდეთა კომპლექტი, ნაკრები, მაგ.:

- სამომხმარებლო კალათა** – პირობითი მომხმარებლის მიერ მოხმარებული საქონლისა და მისთვის გაწეული მომსახურების ერთობლიობა;
